ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმი“

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

ეკოტურიზმი საქართველოში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: გვანცა ყანჩაველი

ხელმძღვანელი: ეკ. აკ. დოქტორი ვალერი არღუთაშვილი

თბილისი

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია საქართველოს ეკოტურისტული პოტენციალი, კერძოდ, მოყვანილია ფაქტები იმის შესახებ თუ რამდენად განვითარდა და რამდენად არის შესაძლებელი ამ დარგის განვითარება მომავალში. განხილულია დაცული ტერიტორიები, მათზე არსებული ინფრასტრუქტურით და მომსახურებების სახეობებით. აღნიშნულია პრობლემები შემლებისდაგვარად მათი მოგვარების გზებით, რომლებიც ხელს უშლის საქართველოში ეკოტურიზმის განვითარებას. ამასთანავე გაკეთებულია ეკოტურიზმის დღევანდელი მდგომარეობის საერთო ანალიზი, დღეისათვის არსებულ სტატისტიკურ მონაცემებზე და დარგში მიმდინარე პროცესებზე დაყრდნობით.

ნაშრომი ასახავს ეკოტურიზმის განვითარების რა სტადიაზე იმყოფება საქართველო და რა არის საჭირო ტურიზმის ამ დაგრში უფრო მეტი წარმატების მისაღწევად.

Annotation

In the theme of the eco-tourist potential, particularly given the facts as to whether it is possible to develop this sector in Georgia. The paper aims to demonstrate protected areas with its infrastructure and services for the species. The problems that hinder the development of eco-tourism in Georgia, and as far as possible solutions to these problems. Ecotourism is also a general analysis of the current situation, the current statistical data.

This work describes the stage of development of eco-tourism Tourism in Georgia and what is needed to succeed in the future.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 4

თავი 1. ეკოტურიზმი და საქართველო……...9

1.1საქართველოს გეორგაფიული მდებარეობის და ბიომრავალფეროვნების გლობალური მნიშვნელობა.....15

1.2. ეკოტურიზმის ადგილი და როლი ტურიზმის განვითარების ინდუსტრიაში.....21

1.3. საქართველოს დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული პოტენციალი და პრობლემები24

თავი 2. საქართველოში ეკოლოგიური ტურიზმის ძირითადი სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები

2.1. ეკოტურიზმის და ტურიზმის საკანონმდებლო და სახელმწიფო რეგულირება.....37

2.2. ეკოტურიზმის როლი დანიშნულების ადგილის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში47

2.3. ეკოტურიზმით დაინტერესებული ვიზიტორების დინამიკა საქართველოში 51

2.4. საქართველოს ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგია.....55

თავი 3. ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების ძირითადი მიმართულებები და პრობლემატიკა საქართველოში

3.1. ეკოტურიზმის სფეროში არსებული პრობლემები საქართველოში.....61

3.2. საქართველოს ეკოტურისტულ მარშრუტებზე არსებული მდგომარეობა.....68

3.3 ეკოტურიზმის განვითარებოს პერსპექტივები საქართველოში 76

დასკვნა და რეკომენდაციები 86

გამოყენებული ლიტერატურა 88

შესავალი

ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება და ეკოსისტემის შენარჩუნება მნიშვნელოვანია როგორც მიმდინარე, ასევე მომავალი თაობების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამისათვის აუცილებელია ბუნებასთან ურთიერთობის კულტურის ამაღლება, ბუნებრივ გარემოში ქცევის ეთიკური ნორმების გამომუშავება. სწორედ ამ მხრივ ქმნის ეკოტურიზმი შემოსავლებს, რაც თავის მხრივ ქმნის ადგილობრივ ბიუჯეტს და ქმნის ეკოტურიზმის სტრატეგიების ფორმირებისა და რეალიზაციის შესაძლებლობას. ცნობიერების ამაღლება და ადგილობრივების აქტიურად ჩართვა ბუნებრივი გარემოს მდგრადი გამოყენებისთვის, რომელსაც შეუძლია დამატებითი ეკონომიკური სარგებლის მოტანა ადგილობრივებისთვის.

საქართველოში ეკოტურიზმის გამვითარების მნიშვნელობის კვლევა მიზნად ისახავს ყველა იმ უპირატესობის კიდევ ერთხელ ხაზგასმას, რომელიც მცირე ზომის, მაგრამ საოცრად მდიდარ და მრავალფეროვან საქართველოს გააჩნია ამ დარგის განვითარებისთვის. ასევე იმ პრობლემების ანალიზს, რომელიც ტვირთად აწევს არა მარტო ბუნებრივ გარემოს, არამედ ეკონომიკურ განვითარებასაც. რაც ხელს უშლის არა მარტო ჩვენი და ბუნების სრულფასოვან თანაარსებობას, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. საჭიროა ყველა ჩვენგანმა გაითავისოს ბუნებრივი გარემოს მდგრადი გამოყენების პრინციპი, მაქსიმალურად ჩაერთონ ეკოტურისტულ აქტივობებში, რაც თავის მხრივ დადებითად იმოქმედებს, როგორც მათ ყოველდღიურ გარემოზე, ასევე მათ ეკონომიკურ სიძლიერეზე.

მსოფლიოში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება, რომელიც გამოწვეულია კლიმატის შეცვლით, ოზონის სფეროს რღვევით, დემოგრაფიული აფეთქებით, ეკოსისტემის რღვევითა და ბიომრავალფეროვნების მკვეთრი შემცირებით, ენერგორესურსების დასუსტებით, გარემოს დაბინძურებით, სასმელი წყლის დეფიციტით, რედუცენტების კრიზისით, განსაკუთრებულად დაცული ბუნებრივი ტერიტორიების შემცირებით ან განადგურებით, ბიოსფეროში მიმდინარე ბუნებრივი პროცესების ცვალებოდობით, ყოველივე ეს ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს. გარემოს დეგრადაცია მიმდინარეობს დაჩქარებული ტემპით და შესაბამისად ამის

უარყოფითი შედეგები მოსახლეობის ყოფაზე აისახება. ეკოტურიზმი შესაძლოა იქცეს ქვეყნის ბუნებრივი რესურსების გაძლიერებულ ექსპლუატაციაზე ორიენტირებული ინდუსტრიის სერიოზულ ალტერნატივად. (ბერიძე...2012:196)

ტერმინი „ეკოტურიზმი“ პირველად 1988 წელს შემოვიდა მექსიკაში და დღეს მისი განმარტების მრავალი ინტერპრეტაცია არსებობს. ეკოტურიზსმი საერთაშორისო საზოგადოების (TIES)-ის მიხედვით ეკოტურიზმი ეს არის გონივრული მოგზაურობა ბუნებივ გარემოში, რომელიც ხელს უწყობს გარემოს დაცვასა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას. ეკოტურიზმი არის მოგზაურობა ტურისტებისა, რომლებსაც გარემოსადმი თავიანთი პასუხისმგებლობა მკაფიოდ აქვთ გათვიცნობიერებული. ასეთი ტურების მიზანია ველურ ბუნებასთან ურთიერთობა, რომელიც ხელს უწყობს დაცული ტერიტორიებისა და რეგიონების მოსახლეობის ეკონომიკური შემოსავლების ზრდას. [4]

ასევე ეკოტურიზმი შეიძლება განისაზღვროს როგორც ტურიზმის ნაწილი, რომელიც მოიცავს მოგზაურობას შედარებით ხელუხლებელ ბუნებრივ გარემოში სპეციფიკური მიზნებით: ველური ფლორისა და ფაუნის შესწავლა, განცდა და მისგან სიამოვნების მიღება.

ეკოტურიზმის ცნება მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

1. ბუნებრივი გარემო;
2. ეკოლოგიური და კულტურული მდგრადობა;
3. განათლება;
4. ადგილობრივი და ეროვნული შემოსავლის უზრუნველყოფა;

ეკოტურიზმისადმი ინტერესი წარმოქმნა საზოგადოების მზარდმა მისწრაფებამ - მოინახულოს და შეიცნოს ბუნებრივი გარემო და შემოიღოს მინიმალური ზემოქმედების პრაქტიკა იმისათვის, რომ შეინარჩუნოს მონახულებული გარემოს ხარისხი. დღეისათვის, როდესაც სულ უფრო მეტი მოგზაური ცდილობს მოინახულოს ხელუხლებელი ბუნება და კულტურული მემკვიდრეობა, ეკოტურიზმი მნიშვნელოვან ზრდას განიცდის. [4]

ეკოტურიზმი ჩვეულებრივ ტურიზმთან შედარებით მცირე კაპიტალს მოითხოვს, ასევე ის უფრო მრავალფეროვანია და უფრო დიდი მოგების მოტანაც შეუძლია სწორი წარმართვის შემთხვევაში.

შეიძლება გამოვყოთ ეკოტურიზმის სამი ძირითადი კომპონენტი:

- ,, ბუნების შემეცნება'' - ანუ ტურისტების მიერ ბუნების შესწავლა, ახალი ცოდნის და ჩვევების მიღება.
- ,,ეკოსისტემების შენარჩუნება'' - გულისხმობს ტურისტული ჯგუფის არამარტო შესაბამის ქცევას მარშუტის დროს, არამედ ტურისტების და ტუროპერატორების მონაწილეობას გარემოს დაცვით პროგრამებსა და ღონისძიებებში.
- ,,ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების პატივისცემა'' - გულისხმობს არამარტო ადგილობრივი კანონებისა და ადათ-წესების დაცვას, არამედ ტურიზმის წვლილის შეტანას ტურისტული დანიშნულების ადგილების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

განარჩევენ ეკოტურიზმის შემდეგ სახეებს: სამეცნიერო ტურიზმი, ბუნების ისტორიის ტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი, მოგზაურობა ბუნებრივ რეზერვატებში, ტურიზმი კემპინგებში და ქარავნებით, აგროტურიზმი, ფერმერული და სასოფლო ტურიზმი. [1]

ეკოტურიზმი უზრუნველყოფს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის ურთიერთდაკავშირებულ განვითარებას და ქმნის დამატებით სამუშაოს იმ ადგილებში, სადაც მოგზაურობენ ეკოტურისტები. ეკოტურიზმის განვითარებაში საჭიროა ადგილობრივი მოსახლეობის მჭიდრო ჩართულობის უზრუნველყოფა, საჭიროა მათი სწავლება, სუბსიდირება და მცირე ბიზნესის განვითარებაში ხელშეწყობა. ეკოტურიზმი ქმნის ადგილობრივთათვის დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობებს, განსაკუთრებით ეს ეხება სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას. [2]

1992 წლის 14 ივნისს გაეროში ჩატარებულ კონფერენციაზე 182 სხვადასხვა ქვეყნის მთავრობის მიერ მიღებულ და ხელმოწერილ იქნა დოკუმენტი ტურიზმის ინდუსტრიაში გარემოს დაცვისა და განვითარებისათვის. ეს დოკუმენტი ცნობილია „დღის წესრიგი 21"–ის სახელით. მასში შემდეგი პრინციპებია ასახული:

- მოგზაურობა და ტურიზმი უნდა ეხმარებოდეს ადამიანს ბუნებასთან ჰარმონიულ დამოკიდებულების მიღწევაში.
- მოგზაურობამ და ტურიზმმა უნდა შეიტანოს თავისი წვლილი ეკოსისტემების დაცვის, შენახვის და აღდგენის საქმეში.

- მოგზაურობა და ტურიზმი უნდა ეფუძნებოდეს წარმოებისა და მოხმარების სიცოცხლისუნარიან მოდელებს.
- პროტექციონიზმის პოლიტიკა მოგზაურობასა და ტურისტული მომსახურების ვაჭრობაში ნაწილობრივ ან სრულად უნდა შეიცვალოს.
- გარემოს დაცვა ტურიზმის განვითარების პროცესის უცილობელ ნაწილს უნდა შეადგენდეს.
- ტურიზმის განვითარების პრობლემები უნდა წყდებოდეს ადგილობრივი დაინტერესებული მოსახლეობის მონაწილეობით, დაგეგმარების თაობაზე საკითხების ადგილობრივი გადაწყვეტით.
- სახელმწიფოები მოვალენი არიან გააფრთხილონ ერთმანეთი ბუნებრივი სტიქიური უბედურებების შესახებ, რომლებიც შესაძლოა უშუალოდ ტურისტებს შეეხოს.
- მოგზაურობამ და ტურიზმმა ხელი უნდა შეუწყონ ქალებისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის სამუშაო ადგილების შექმნას.
- ტურიზმის განვითარებამ უნდა უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს ადგილობრივი მოსახლეობის კულტურისა და ინტერესების შენარჩუნებას. [3]

ეკოტურიზმი არ ახდენს რესურსების დეგრადაციას და ზიანს არ აყენებს ბუნებას, გამომდინარე იქიდან, რომ ეკოტურისტებს აინტერესებთ ესა თუ ის ბუნებრივი გარემო იმ სახით, როგორითაც ის არსებობს და არ მოელიან მის ცვლილებას; ასევე ეკოტურიზმი ხელს უწყობს დადებითი ეთიკისა და ქცევების ჩამოყალიბებას ბუნებასთან მიმართებაში;

განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს სახელმწიფო თავისი მხარდამჭერი პოლიტიკით, რაც მოიცავს ინფრასტრუქტურის მოწყობას, საგანმანათლებლო პროგრამებსა და ინვესტორების მოძიებას. ამ მიმართულებით სახელმწიფოს საბოლოო მიზანს წარმოადგენს ფინანსურად მომგებიანი ეკოტურიზმის ინდუსტრიის ჩამოყალიბება ბუნებრივი გარემოს დაცვისა და გაუმჯობესების პირობებში.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) ვარაუდით 2030 წლისათვის საერთაშორისო ტურისტების რიცხვი 1.8 მლრდ. ადამიანამდე გაიზრდება. როგორც ყველა ინდუსტრია ტურიზმიც საჭიროებს რესურს, რომელიც ამოწურვადია, ამიტომ უმნიშვნელოვანესია ამ

რესურსების მდგრადი გამოყენება და დაცვა. ამ პროცესის ალტერნატიული გზა ეკოტურიზმის როლის გაზრდაა. ეკოტურიზმი ტურიზმის “მზარდი” დარგია, და ამიტომ მისი ძირითადი პრინციპები ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაშია. ამიტომ გთავაზობთ ეკოტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციის (TIES) სპეციალისტების მიერ შემუშავებულ ეკოტურისტის ე.წ. 10 მცნებას, რომელიც დაგვეხმარება მომავალში უკეთ გავიაზროთ და შეძლებისდაგვარად დავამატოთ ტურიზმის ამ დარგისათვის უკვე კონკრეტულ რეგიონზე, კერძოდ კი საქართველოზე ორიენტირებული თავისებურებები:

1. გახსოვდეს, რომ დედამიწა მოწყვლადია;

2. დატოვე მხოლოდ ნატერფალი, წამოიღე მხოლოდ ფოტოები, მოკალი მხოლოდ დრო;

3.შეიცანი, ის სამყარო, რომელშიც მოხვდი: ადგილის კულტურა, პეიზაჟები, ბიომრავალფეროვნება;

4. პატივი ეცი ადგილობრივ მოსახლეობას;

5. არ იყიდო ნაწარმი, რომლის დამზადებაც ზიანს აყენებს ბუნებას;

6. იარე მხოლოდ გათელილი ბილიკებით;

7. მხარი დაუჭირე ადგილობრივ ბუნებისდაცვით პროგრამებს;

8. მაქსიმალურად ეცადე გამოიყენო ბუნებისათვის ნაკლებად ზიანის მომტანი მეთოდები;

9.მხარი დაუჭირე და შეძლებისდაგვარად დაეხმარე ადგილობრივ ბუნებისდაცვით ორგანიზაციებს;

10.ისარგებლე მხოლოდ იმ ფირმების მომსახურებით, რომლებიც აღიარებენ ეკოტურიზმის მთავარ პრინციპებს. [3]

თავი 1. ეკოტურიზმი და საქართველო

ეკოტურიზმის კუთხით საქართველოს, და ზოგადად, კავკასიის რეგიონს, ძალიან დიდი პოტენციალი გააჩნია: ლანდშაფტი, ფლორა, ფაუნა და სხვა. პოტენციალი დიდია და სწორედ ეს არის ასათვისებელი. ეკოტურიზმი საქართველოს ტურიზმის ძალიან დიდ ნაწილს მოიცავს, 2018 წელს ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავალმა 8 536 125 ლარი შეადგინა, რაც 2017 წლის შემოსავალს 87%-ით აღემატება.[10] ქვეყანაში ჯერ ინფრასტრუქტურაც კი არ იყო ტურისტები საქართველოს ბუნების, ეკომდგომარეობისა და ბიომრავაფეროვნების გამო რომ სტუმრობდნენ. ახლა, უკვე კვლევებმა აჩვენა, რომ მსოფლიოში არსებული 32 “hot spot”-დან, ბიომრავალფეროვნების კუთხით, ერთ-ერთი საქართველოა. ამიტომ, ჩვენს ქვეყანას, ეკოტურიზმის მხრივ, ძალიან დიდი პოტენციალი აქვს. საქართველოში ეკოტურისტების რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება. ეკოტურიზმი ძალიან პოპულარული და მოთხოვნადია.

საქართველო, თავისი თვალწარმტაცი ბუნებით, მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობითა და მრავალფეროვანი ტოპოგრაფიით ეკოტურისტებისათვის ერთ–ერთი ყველაზე მიმზიდველი ქვეყანაა. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე კარვებით გასეირნება ტურისტებს იმის გათვითცნობიერების საშუალებას აძლევს, თუ რა ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანს გარემოზე, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს, რომ უფრო მეტად დავაფასოთ ჩვენი სამშობლო. ამჟამად, ასეთ დაცულ ტერიტორიებს ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის 9,5% უჭირავს. დაცული ტერიტორიების დაახლოებით 75% ტყით არის დაფარული. [10]

დაცული ტერიტორიების რაოდენობა და ალპური ტყეები საქართველოს მსოფლიოს მასშტაბით, მასობრივი ტურიზმის ერთ ერთ მიმზიდველ ქვეყანად აქცევს, რაც ტურისტებს იმის საშუალებას მისცემს, რომ თვალწარმტაცი ფლორა და ფაუნა ნახონ და მისი სილამაზით დატკბნენ.

საქართველოს ულამაზესი ბუნება აქვს, მაგრამ ჩვენ მას სათანადოდ ვერ ვინარჩუნებთ და ვუვლით. ნებისმიერი პოლიტიკა, რასაც ხელისუფლება ნერგავს, ვერ იქნება ეფექტური საქართველოს მოსახლეობის დახმარების გარეშე.

მდგრადი ტურიზმის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, რადგან ეს ნიშნავს განვითარებას იმ საშუალებებით, რომლებსაც უაროფითი გავლენა არ ექნება გარემოსა და ადგილობრივ მოსახლეობაზე.

საქართველოს უნიკალური და მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტი აქვს. ასევე მრავალფეროვანია ტურიზმის მიმართულებები. ამ მიმართულებებში შედის: სათავგადასავლო ტურიზმი, კულტურული ტურიზმი, ღვინის ტურიზმის, სოფლის ტურიზმის, ეკო ტურიზმი, ტურიზმი გურმანი და ა.შ. საქართველოში ყველა ეს სფერო მეტ – ნაკლებად განვითარებულია. თუმცა ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ახალი პროქტების განვითარება, რათა კონკურენტული უპირატესობა მოვიპოვოთ მსოფლიო ბაზრებზე. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყანა ასეთი მდიდარია ბუნებრივი რესურსებითა და ველური ბუნებით. ჩვენ ეს შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, რათა განვავითაროთ არამარტო ეკო – ტურიზმი, არამედ მდგრადი კულტურული და „მწვანე“ ტურიზმი. თანამედროვე ტურისტული ბაზარი მუდმივი ინოვაციების ძიებაშია. [1]

დღეს ძალიან პოპულარულია სიტყვა „მწვანე“. სიტყვები, როგორიცაა „მდგრადობა,“ „პასუხისმგებლობა და მწვანე“ ძალიან ხშირად გამოიყენება. ამ სიტყვებს სხვადასხვა მნიშვნელობებია აქვთ. თუმცა საერთო აქვთ ის, რომ ყველა სიტყვაში იგულისხმება გარემოს დაცვა, კონსერვაცია, ნეგატიური ზეგავლენის შემცირება გარემოზე.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ინფრასტრუქტურა, ტურისტებისთვის კომფორტული და მიმზიდველი გარემოს შექმნა. ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარება სხვა სახეობებისგან იმით განსხვავდება, რომ მოითხოვს ისეთი ღონისძიებების გატარებას, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ბუნებრივი გარემო პირობების ავთენტურობის შენარჩუნება. ასევე, აუცილებელია, სერვისი, მომსახურების დონე იყოს მაღალი. ეს ორი რამ არის მინიმუმი და ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უნდა გაკეთდეს ამ ეტაპზე. მთავრობისა და ტურიზმის დეპარტამენტის ძირითადი მიზანი იმ ადგილების ინფრასტუქტურის განვითარება უნდა იყოს, სადაც ეკოტურისტები დადიან. [5]

აგრეთვე, ადგილობრივი მოსახლეობის სერვისების გაუმჯობესება. მნიშვნელოვანია, ადგილობრივმა მოსახლეობამ ისწავლოს, როგორ მოეპყრას ტურისტებს. ეკოტურიზმში მოსახლეობის ჩართულობა და, ამ მხრივ, მათი ინფორმირებულობაც, განათლების დონეც არის ძალიან დაბალი. ქართველებს, ზოგადად, ცოტა არ სიამოვნებთ მოსამსახურე ერის ფუნქცია, არადა, ეს ცუდს არაფერს ნიშნავს, პირიქით, ამით მათ დიდი სარგებლის მიღება შეუძლიათ.

საერთოდ, საქართველოში დიდი პრობლემა ის არის, რომ ტურისტმა არ იცის, სად დახარჯოს ფული. სტიმულირება სჭირდება ადგილობრივ ბიზნესს, რომ ხალხმა თავიანთი დამზადებული პროდუქციის რეალიზება შეძლოს. ეკოტურიზმისას, მთავრია, ადგილობრივ მოსახლეობას მივცეთ სტიმული, მეწარმეობას მიჰყოს ხელი. უყუროს ამ ყველაფერს, როგორც საკუთარ ბიზნესს. რადგან ეკოტურიზმი, განსაკუთრებით, უწყობს ხელს ეკონომიკის განვითარებას კონკრეტულ ადგილებში. უბრალოდ, ამ ყველაფერს მეტი ორგანიზება და მონდომება სჭირდება. როგორც საერთაშორისო კვლევები აჩვენებს, ეკოტურიზმი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. [3]

ზოგადად, ქართულ რეალობას საოჯახო სასტუმროები უფრო შეეფერება. დაცული ტერიტორიების ავთენტურობის შესანარჩნებლად არც არის რეკომენდირებული სასტუმროების და სხვა კომპლექსების მშენებლობა, ამ შემთხვევაში ტურისტების განთავსება მიმდებარედ მცხოვრებმა მოსახლეობამ უნდა უზრუნველყოს. საქართველოში ეკოტურისტი სასტუმროში ძალიან დიდ თანხას არ დახარჯავს. ერთია, თანხა და მეორე, სურვილი. მას ურჩევნია, საოჯახო სასტუმროებში გაჩერდეს, იმიტომ, რომ ეკოტურიზმი უფრო გულისხმობს ბუნებასთან და ადგილობრივ კულტურასთან ურთიერთობას. ამით, უფრო მეტს ისწავლიან და ნახავენ ჩვენ შესახებ. ეს იქნება უფრო “გამოცდილებითი” ტურიზმი მათთვის, ჩვენს ტრადიციებს ადგილზე გაეცნობიან. სახელმწიფო მაქსიმალურად უნდა ეცადოს, საოჯახო სასტუმროების განვითარების სტიმულირებას. ეს გამოიხატება მათი მხრიდან მაგ. ტრენინგების ჩატარებით იმაზე, თუ როგორ უნდა მოემსახურონ სტუმარს, მეორე მხრივ ისეთი სუბსიდირებით, როგორიცაა „აწარმოე საქართველოში“. [1]

ასევე ჩვენ ქვეყანაში პროფესიონალი გიდების დიდი ნაკლებობა გვაქვს. ამასთან, აღსანიშნავია ენის არცოდნის პრობლემაც. ადგილობრივ ტურისტულ ბაზარს პრობლემად დააწვა სხვა ქვეყნიდან უკონტროლოდ შემოსული გიდები, რომლებიც თავიანთი სურვილისამებრ და ცოდნის შესაბამისად აცნობენ ჩვენს ქვეყანას ტურისტებს. ტუროპერატორი სააგენტოები ყოველთვის ცდილობდნენ, თავიანთი გიდები თვითონ გადაემზადებინათ. არ არსებობდა უწყება, რომელიც გიდებისთვის კურსებს გააკეთებდა. ყოველთვის იყვნენ თვითნასწავლი გიდები. მაგრამ აღსანიშნავია რომ უკვე არსებობს გიდების ასოციაცია, სადაც არის კურსები და ნებისმიერ მსურველს შეუძლია მისვლა და კვალიფიკაციის ამაღლება.

საქართველოში ეკოტურიზმის მნიშვნელობის გაზრდაზე, ამ დარგში მოღვაწე, სხვადასხვა ცენტრის დაარსებაც მიუთითებს. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანია "ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების ცენტრი" — არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 2012 წელს შეიქმნა. ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების ცენტრი წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლის წევრი შეიძლება ნებისმიერი ადამიანი გახდეს, რომელიც იზიარებს ცენტრის მიზნებს და სურვილი აქვს თავისი წვლილი შეიტანოს მათ განხორციელებაში. ამ ცენტრის მიზნებია:

- საქართველოში ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
- ტურისტული რესურსების იმგვარად გამოყენება, რომ გარემოს მინიმალური ზიანი მიადგეს;
- ბუნების გარემოს შეცნობა და მისი დაცვა;
- საზოგადოებაში ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება;
- საქართველოს რეგიონების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის ხელშეწყობა;
- საქართველოს ისტორიული კუთხეების წეს-ჩვეულებების და ტრადიციების პოპულარიზაცია;
- ზემოაღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმაციული უზრუნველყოფა. [15]

მსგავსი ცენტრების სიმრავლე და მათი სწორი ფუნქციონირება დიდად შეუწყობს ხელს ეკოტურიზმის განვითარებას და მოსახლეობისა და ტურისტების ინფორმაციით უზრუნველყოფა.

საქართველოს ეკოტურიზმის განვითარებისთვის, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი საუკეთესო პირობები გააჩნია. უბრალოდ, საჭიროა, ამ რესურსის უკეთ კვლევა და, ამის საფუძველზე, ახალი პროდუქტების შექმნა. ეკოტურისტების ინტერესი ჩვენი ქვეყნის მიმართ საკმაოდ მაღალია, რაც, მეტწილად, აქაური ბუნების უნიკალურობით და კულტურის თვითმყოფადობით არის გამოწვეული. სამწუხაროდ, ამ მხრივ, დაბალია თავად ქართველების ინტერესი, რისი გამოსწორებაც, ალბათ, დამატებით საგანმანათლებლო ღონისძიებებს მოითხოვს.

ტურისტების დაცვასთან ერთად, მნიშვნელოვანია თავად ბუნების დაცვაც. 2011 წელს მყინვარწვერიდან ჩამოტანილმა ნარჩენების რაოდენობაბამ თითქმის 9ტონა შეადგინა. ეკოტურიზმი კი განსაკუთრებით არის მოტივირებული ველური ბუნების დაცვისა და შენარჩუნებისათვის. ეკოტურისტების ეკოლოგიური შეგნება კი საკმაოდ მაღალია. [15]

ამრიგად, ტურიზმის სფეროში საქართველოს გარკვეული გამოცდილება, კარგი წინაპირობები და ხანგრძლივი პერსპექტივა გააჩნია. ამას ძალიან ბევრი რამ განაპირობებს, იქნება ეს განუმეორებელი და მრავალფეროვანი ბუნებრივი ლანდშაფტები, ჯერ კიდევ ხელუხლებელი ბუნება, ენდემებით მდიდარი ფლორა და ფაუნა, მრავალი უნიკალური ძეგლი, მრავალფეროვანი კულტურა, ფოლკლორი, ტრადიციები და ა.შ. ამ მიზნით საქართველოში უკვე დაწყებულია სამეცნიერო კვლევები ფლორისა და ფაუნის ინვენტარიზაციის სფეროში, იქმნება მონაცემთა ბაზა ბუნებრივი რესურსების შესახებ, რაც საგრძნობლად შეუწყობს ხელს ეკოტურიზმის განვითარებას. ეკოტურიზმის განვითარებასთან ერთად იზრდება ტუროპერატორების რაოდენობა და მათი გამოცდილება. იქმნება კანონები ბუნებრივი რესურსების მოხმარებისა და დაცვის შესახებ, რომელთა შორის განსაკუთრების მნიშვნელოვანია კანონი დაცული ტერიტორიების შესახებ.ეკოტურიზმის განვითარების ყველაზე მძლავრი პლაცდარმი სწორედ დაცული ტერიტორიები იქნება, რომელთა დაარსებისთვის უკვე ბევრი რამ არის გაკეთებული და ასევე ბევრი რამის გაკეთება იგეგმება.

საქართველოში ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივების განხილვისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ეკოტურიზმის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები.

ეკოტურიზმის უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს მაგალითად ის, რომ ის დამოკიდებულია ისეთ გაუთვალისწინებელ ფაქტორებზე როგორიცაა პოლიტიკური სტაბილურობა, ამინდი და ა.შ. ასევე ნაკლს წარმოადგენს მისი სეზონური ხასიათი, ასევე ვიზიტორთა გადაჭარბებული რაოდენობა იწვევს ბუნებრივი ლანდშაფტების დეგრადირებას, ხოლო დაუსაქმებელი მუშახელი და აღჭურვილობა წლის დანარჩენ დროს არაეფექტურია. პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ხშირად ეკოტურიზმისგან შემოსული მოგება გვერდს უვლის ლოკალურ მოსახლეობას. [2]

ეკოტურიზმის განვითარებისას სოფლის ტრადიციული აქტივობა, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ნადირობა, მეთევზეობა, შეიძლება საგრძნობლად შეიზღუდოს ამ ადგილებში ნაკრძალებისა და პარკების დაარსებით. მიუხედავად იმისა რომ ამ ტერიტორიების დაარსება გამართლებულია ეკოლოგიური და ეკონომიკური თვალსაზრისით, გარდაუვალია კონფლიქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან. ამიტომ აუცილებელია ადგილობრივი მოსახლეობის და სახელმწიფოს ინტერესები მაქსიმალურად თანხვედრაში რომ იყოს.

1.1 საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობისა და ბიომრავალფეროვნების გლობალური მნიშვნელობა

საქართველო (ფართობი 69,700კვ.კმ.) ევროპისა და აზიის გასაყარზე, კერძოდ, კავკასიაში მდებარეობს. დასავლეთიდან მას ესაზღვრება შავი ზღვა, ჩრდილოეთით — რუსეთის ფედერაცია, სამხრეთ-აღმოსავლეთით — აზერბაიჯანი, სამხრეთით — სომხეთი და თურქეთი. საქართველო იმ უძველეს სატრანსპორტო გზაჯვარედინზე მდებარეობს, რომელიც აკავშირებდა და აკავშირებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის, დასავლეთისა და აღმოასვლეთის ქვეყნებს. სწორედ მასზე გადიოდა ევროპა -აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო მაგისტრალი - ძველი აბრეშუმის გზა. საქართველო შავი ზღვით უკავშირდება შავიზღვისპირეთის ქვეყნებს, ხოლო ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებით - ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებს; გიბრალტარის სრუტით შესაძლებელია კავშირი მთელს მსოფლიოსთან, მდინარე დუნაის მეშვეობით კი - აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპის ქვეყნებთან. [9]

საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით. მის ტერიტორიაზე მიედინება 26060 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე 60 ათას კმ-ს აღწევს. ამ მდინარეების დაახლ. 99.4% ძალიან მცირე სიგრძისაა (25 კმ-ზე ნაკლები). შავი ზღვის აუზს მიეკუთვნება 18109 მდინარე, ხოლო კასპიის ზღვის აუზს - 7951. საქართველოს მდინარეთა მთავარი წყალგამყოფია ლიხის ანუ სურამის ქედი. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს მდიანარეთა უმრავლესობას დამოუკიდებელი წყალშემკრელი აუზი არ აქვს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ყველა მდინარე მტკვრის აუზს მიეკუთვნება. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედით დასავლეთ საქართველოს მდინარეები მდ. ყუბანის აუზისგან და აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეები მდინარეების - თერგისა და სულაკის აუზებისგან არის გამოყოფილი. საქართველოს მდინარეებიდან წყლიანობით გამოირჩევა მდ. რიონი (13.2 კმ3), ჭოროხი (8.58 კმ3), მტკვარი (თბილისთან 6.5 კმ3), კოდორი (3.97 კმ3), ალაზანი (3.23 კმ3) და სხვ. საქართველოს უგრძესი მდინარეა ალაზანი - 406 კმ[4][5], შემდეგი ადგილები უკავია მდ. იორსა (343 კმ) და რიონს (327 კმ). მტკვარი (1384 კმ) სამხრეთ კავკასიის უგრძესი მდინარეა. მისი სიგრძე საქართველოს ტერიტორიაზე 351 კმ-ია[22]. საქართველოს მდინარეები წვიმის, მიწისქვეშა, თოვლისა და მყინვარის ნადნობი წყლებით საზრდოობენ. მდინარეთა საზრდოობაში თითოეული ამ წყაროს მონაწილეობა და წვლილი

განისაზღვრება წყალშემკრები აუზის სიმაღლის, ტერიტორიის გეოლოგიური აგებულების, რელიეფისა და ჰავის შესაბამისად. მაღალმთიან ადგილებში მდინარეები, ძირითადად, თოვლისა და მყინვარების ნადნობი წყლებით საზრდოობენ, საშუალომთიან ზონაში - წვიმისა და სეზონური თოვლის ნადნობი წყლებით, კოლხეთის დაბლობსა და მის მიმდებარე გორაკ-ბორცვებზე მდებარე მდინარეები კი - წვიმისა და, ნაწილობრივ, მიწისქვეშა წყლებით. ბევრი მდინარის საზრდოობაში ამა თუ იმ წყაროს წვლილი იცვლება მდინარის სიგძისა და წელიწადის დროის მიხედვით. გაზაფხულზე საქართველოს მდინარეთა უმეტესობა თოვლის ნადნობი წყლებით საზრდოობს, საფხულსა და ზამთარში კი - მიწისქვეშა წყლებით. [9]

საქართველოს ტერიტორიაზე მყინვარები, ძირითადად, გავრცელებულია კავკასიონის ქედზე. ქვეყანაში 786 მყინვარია. მათი საერთო ფართობი 556 კმ2-ია, რაც საქართველოს მთელი ტერიტორიის 0.73%-ს შეადგენს. მყინვარები საქართველოს ფარგლებში არათანაბრადაა განაწილებული. მათი უმრავლესობა ოთხი მდინარის: კოდორის, ენგურის, რიონისა და თერგის აუზებშია თავმოყრილი.

საქართველოს, თავისი ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად, მეტად მრავალფეროვანი და უნიკალური ბუნებრივი რესურსები გააჩნია. ბუნებრივ რესურსებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მინერალური რესურსები. სწორედ ისინი განსაზღვრავენ ქვეყნის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარებას. მინერალური რესურსები ამოწურვადი და აღუდგენელი რესურსებია. ნებისმიერი ქვეყნის წიაღისეული სიმდიდრეებიდან მნიშვნელოვანია სათბობ-ენერგეტიკული რესურსები: ნავთობი, ქვანახშირი, ბუნებრივი აირი და ტორფი. აღნიშნული რესურსებიდან, საქართველოში დღეს ექსპლუატაციაში არსებულ საბადოებში ნავთობის მარაგი არასაკმარისია, რის გამოც ქვეყანა მის იმპორტს აწარმოებს. ნავთობის დაზვერილი მარაგი საქართველოში მხოლოდ 13 მლნ ტონას შეადგენს, თუმცა მაღალია მისი ხარისხი. სავარაუდო რეზერვი 580 მლნ ტონაა, აქედან 200 მლნ ტონას ვარაუდობენ დასავლეთ საქართველოში შავი ზღვის სანაპიროზე და მის შელფზე, 380 მლნ ტონას კი - ხმელეთზე. ძალზე პერსპექტიულად ითვლება ტარიბანის ნავთობის საბადოც. წინასწარი გათვლებით, ერთი მილიარდი ბარელი ნავთობის მარაგია. ქვანახშირის მრეწველობას საქართველოში თითქმის ორი საუკუნის ისტორია აქვს. პირველი ინფორმაცია ტყიბულის მიდამოებში არსებული ქვანახშირის შესახებ XIX ს.-ის 20-

იან წლებს მიეკუთვნება, თუმცა მისი შესწავლა გაცილებით გვიან დაიწყო. XIX ს.-ის 80-იანი წლებიდან ცნობილია ტყვარჩელის ქვანახშირის საბადო. 2009 წლისთვის, საქართველოში ქვანახშირის არსებული რეზერვი 450 მლნ ტონა იყო, რომელიც შეიძლება კიდევ 700 ტონით გაიზარდოს. ქვანახშირის უმეტესი ნაწილი შედარებით დაბალი ხარისხისაა. პერსპექტიული ენერგეტიკული რესურსებიდან აღსანიშნავია ჰელიორესურსები, რომლითაც მდიდარია მესხეთ-ჯავახეთი, აღმოსავლეთი საქართველო და დასავლეთ კავკასიონის მაღალმთიანეთი. ასევე მნიშვნელოვანია ქარის ენერგია, რომლის მნიშვნელოვანი პოტენციალით მდინარეების მტკვრისა და რიონის ხეობები გამოირჩევა. ტორფის საბადოები, ძირითადად, კოლხეთის დაბლობზეა წარმოდგენილი. აქ ტორფიან ფენებს დაკავებული აქვს 20 ათასი ჰა, ხოლო მისი მარაგი 60 მლნ ტონას აღემატება. ტორფი შეიძლება გამოყენებული იქნას ქიმიურ მრეწველობაშ და საწვავად, საქართველოში კი სოფლის მეურნეობაში სასუქად იყენებენ. ნავთობის თანმხლები ბუნებრივი აირის მოპოვება წარმოებს სამგორ-პატარძეულისა და თელეთის საბადოებზე. აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის საქართველოს შელფურ ზონაში ბუნებრივი აირის მარაგი 1.8 მლრდ მ3-ია საქართველოს მადნეული რესურსებიდან აღსანიშნავია: რკინა, სპილენძი, ტყვია-თუთია, ვერცხლისწყალი და სხვ.

საქართველოს ბიომრავალფეროვნება მნიშვნელოვანია, როგორც ეროვნული, ასევე რეგიონალური და გლობალური თვალსაზრისით. საქართველო, როგორც კავკასიის ეკორეგიონის ნაწილი, ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთ „ცხელ წერტილად" არის აღიარებული. კავკასიის ეკორეგიონი ერთ-ერთია იმ ორას ეკორეგიონს შორის, რომლებიც ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ აღიარებულია კონსერვაციისათვის პრიორიტეტულ ადგილებად შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით: სახეობრივი მრავალფეროვნება, ენდემიზმის დონე, ტაქსონომიური უნიკალურობა, ევოლუციური პროცესები, ფლორისა და ფაუნის ისტორიული განვითარების თავისებურებები, მცენარეულობის ტიპების მრავალფეროვნება და ბიომების იშვიათობა გლობალურ დონეზე. [6]

რელიეფის სირთულე და არსებითად განსხვავებული კლიმატი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების მრავალფეროვნებას განაპირობებს. საქართველოს **ძირითადი ბიომებია:** ჭალის ტყეები, ნახევარუდაბნო, სტეპი, არიდული მეჩხერი

ტყე, ფართოფოთლოვანი, წიწვოვანი და შერეული ტყის ბიომები, სუბალპები, ალპები, სუბნივალური და ნივალური ბიომი, ჭაობები და შიდა წყლები.

საქართველო ფლორისტული თვალსაზრისით ზომიერი კლიმატის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი უმდიდრესია.**საქართველოს ფლორა** ჭურჭლოვან მცენარეთა 4 100-ზე მეტ სახეობას აერთიანებს (მთელს კავკასიაში 6 350-მდე სახეობაა აღწერილი). ფლორის დაახლოებით 21% (900-მდე სახეობა) ენდემურია (600 კავკასიის, 300 საქართველოს ენდემი). მაღალია საქართველოს ფლორის გვარობრივი ენდემიზმიც. აქ 16 ენდემური და სუბენდემური გვარია წარმოდგენილი.

საქართველო კულტურულ მცენარეთა წარმოშობისა და მრავალფეროვნების ერთ-ერთი ცენტრია. აქ ჩამოყალიბდა ვაზის, მარცვლოვნების, ხეხილის მრავალი შესანიშნავი ჯიში.

მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებითაა განაპირობებული საქართველოს ფაუნის სახეობრივი მრავალფეროვნება. საქართველოს მტკნარ წყლებში თევზების 80-ზე მეტი სახეობაა გავრცელებული, რომელთა შორის ბევრი ენდემურია. შავი ზღვის აუზში ზუთხისებრთა ოჯახის 5 სახეობა გვხვდება, რომელთა შორისაა გადაშენების პირას მყოფი ატლანტური ზუთხი *(Acipenser sturio).* საქართველოში ამფიბიების 12, ქვეწარმავლების 50-ზე მეტი და ფრინველების 300-ზე მეტი სახეობაა გავრცელებული. ფრინველთა მიგრირებადი სახეობებისთვის მნიშვნელოვანი დასასვენებელი და გამოსაზამთრებელი ადგილებია კოლხეთის დაბლობი (სანაპირო ზოლისა და პალიასტომის ტბის ჩათვლით) და ჯავახეთის ზეგანის ტბების სისტემა. საქართველოში გავრცელებული ფრინველებიდან 3 კავკასიის ენდემია: კავკასიური როჭო *(Tetrao mlokosiewiczi),* კავკასიური შურთხი *(Tetraogalus caspius)* და კავკასიური ყარანა*(Phylloscopus lorenzi). [9]*

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოს ბიომრავალფეროვნება მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც უკავშირდება ისეთ ანთროპოგენურ და ბუნებრივ ფაქტორებს, როგორიცაა ჰაბიტატების კარგვა, ფრაგმენტაცია და დეგრადირება, უკანონო ნადირობა და თევზჭერა, უცხო სახეობების ინტროდუქცია, ბიოლოგიური რესურსების არამდგრადი გამოყენება.

საქართველოს ფლორისა და ფაუნის დაცვისა და შენარჩუნების მიზნით 2005 წლის თებერვალში საქართველოს მთავრობის მიერ **„საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და**

მოქმედებათა გეგმა" იქნა დამტკიცებული. დოკუმენტი განსაზღვრავს საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის და მდგრადი გამოყენების სტრატეგიას მომავალი 10 წლისათვის და კონკრეტულ ქმედებებს ხუთწლიანი პერიოდისთვის.

2006 წელს საქართველოს პრეზიდენტის №303 ბრძანებულებით დამტკიცდა საქართველოს **„წითელი ნუსხა",** რომელიც შემუშავებულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების" კომისიის მიერ. მასში შესულია მერქნიანი მცენარეების 56 სახეობა (მათ შორის ფარულთესლოვანთა 52 და შიშველთესლოვანთა 4 სახეობა). ამჟამად მიმდინარეობს მცენარეთა დანარჩენი სახეობების შეფასება ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის **(IUCN)** კრიტერიუმების მიხედვით, რის შემდეგაც წარმოდგენილი იქნება მცენარეთა დამატებითი ნუსხა საქართველოს „წითელ ნუსხაში" შესატანად.

"წითელ ნუსხაში" ცხოველთა 135 სახეობა და 4 ქვესახეობაა შეტანილი. ძუძუმწოვრებიდან „წითელ ნუსხაში" 33 სახეობაა, რომელთაგან 4 - გადაშენებულია ეროვნულ დონეზე, 5 სახეობა - გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშეა (ფოცხვერი, ჯიქი, აფთარი, ირემი, ნიამორი), ხოლო 6 - გადაშენების საფრთხის წინაშე (წითური მემინდვრია, მურა დათვი, აფალინა, დასავლეთკავკასიური ჯიხვი, არჩვი). ფრინველთაგან წითელ ნუსხაში 35 სახეობაა შეტანილი. მათგან გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე იმყოფება გავაზი და მცირე კირკიტა. გადაშენების საფრთხის წინაშეა - ქოჩორა ვარხვი, პატარა ღერღეტი, გარიელი, თეთრკუდა ფსოვი, თეთრთვალა იხვი, სვავი, თვალშავი, ბუხრინწა. რეპტილიებიდან „წითელ ნუსხაში" შეტანილია 11 სახეობა, ამფიბიებიდან - 2 სახეობა და თევზის 11 სახეობა, მათ შორის ზუთხისებრთა ყველა სახეობა. [13]

საქართველოში გადამფრენი ფრინველების გარდა, ნადირობა ნებადართულია მხოლოდ სამონადირეო მეურნეობებში.

ძალზე მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება, რაც ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმით ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანადაა აღიარებული. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის ინდიკატორებისა და შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად.

ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში საქართველო არის ყველა **გლობალური კონვენციის მხარე**, მათ შორის:

- კონვენცია „ბიომრავალფეროვნების შესახებ" (რატიფიცირებულია 1994 წელს);
- კონვენცია „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ" (რატიფიცირებულია 1996 წელს);
- კონვენცია „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" (CITES) (რატიფიცირებულია 1996 წელს);
- კონვენცია „ველურ ცხოველთა მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ" (საქართველოს მიუერთდა 2000 წელს).

საქართველოს ტყე არის ეროვნული საგანძური. საქართველოს კონსტიტუცია ავალდებულებს მის მოქალაქეებს, დაიცვან, გაუფრთხილდნენ და იზრუნინ ბუნებაზე. ქვეყნის ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 6.95 მლნ. ჰექტარს. აქედან, სახელმწიფო ტყის ფართობი 3005.3 ათას ჰექტარია. ტყით დაფარული ფართობი 2772.45 ათას ჰექტარის შეადგენს, რაც მთლიანი ფართობის 40 %-ია. [13]

1.2. ეკოტურიზმის ადგილი და როლი ტურიზმის განვითარების ინდუსტრიაში

ბოლო ასწლეულში მსოფლიოში შექმნილმა ეკოლოგიურმა პრობლემებმა ტურიზმის განვითარების პარალელურად ხელი შეუწყო ეკოტურიზმის განვითარებას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. დაცული ტერიტორიების მიმდებარედ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მიღებულმა შემოსავალმა 2018 წლის განმავლობაში 6 435 774 ლარი, რაც 2017 წლის მონაცემებთან შედაბით 12%-ით არის გაზრდილი. 2018 წლის განმავლობაში 2017 წლის მონაცემებთან შედარებით დაცული ტერიტორიების მიმდებარედ საოჯახო სასტუმროების რაოდენობა გაზრდილია 37%-ით, მაღაზიების რაოდენობა 20%-ით, კვების ობიექტების რაოდენობა 16%-ით. [10]

ეკოტურისტული პროდუქტი შედარებით ხელუხლებელი ბუნებრივი გარემო და მასზე დაკვირვებით მიღბული სიამოვნებაა, ნებისმიერი ბუნების თუ ადამიანის მიერ შექმნილი უძველესი კულტურული ძეგლები და ღირებულებებია. ტურიზმის ეს მიმართულება საკურორტო და მასობრივი ტურიზმისაგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ არ საჭიროებს განსაკუთრებულ ინფრასტრუქტურას. ეკოტურიზმი არსით ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის მიერ შექმნილი ფასეულობების ზიანის მიუყენებლად მოგზაურობას ნიშნავს. მოგზაურობა რომლის დროსაც ბუნება მთავარი ფასეულობაა, მოგზაური სწავლობს გარემოს, შემოსული ფინანსები გამოიყენება გარემოს დაცვის დასაფინანსებლად, ეკოტურისტები თავად იღებენ მონაწილეობას აქტივობებში, რომლებიც მიმართულია გარემოს მოვლასა და დაცვაზე. [1]

ეკოტურიზმში ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება ბუნებას, მის ეკოლოგიურობას და მრავალფეროვნებას. იგი ხელს უწყობს ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული გარემოს დაცვას, მოაქვს დამატებითი შემოსავალი ადგილობრივი მოსახლეობისთვის და მოითხოვს გარემოს მკაცრ კონტროლს და უსაფრთხოების ზომების დაცვას.

ეკოტურიზმი გამიზნულია დამსველებელთა შედარებით მცირე ჯგუფებზე, რომლებსაც კარგად აქვთ გააზრებული საკუთარი პასუხისმგებლობა გარემოს მიმართ. ზოგადად კი მსოფლიოში შექმნილმა მძიმე ბუნებრივმა პრობლემებმა საზოგადოებაში დიდი ინტერესი გააღვივა პრეფიქსი

„ეკო“-ს მიმართ. ბევრ შემთხვევაში კი მხოლოდ მარკეტინგული დატვირთვაც კი შეიძინა მისი აქტუალურობის გამო.

გარემოს დაცვა ეკოტურიზმის განვითარების განუყოფელი ნაწილია. ეკოტურიზმი ჯანსაღად ვითარდება მაშინ, როდესაც გარემოს და ბიზნესიც ჯანსაღია. გარემოს დაცვას ზოგჯერ მოსახლეობის ინტერესებიც კი ეწირება, მაგალითად მაშინ როდესაც მათ შეიძლება აეკრძალოთ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შესრულება, მოკლევადიან მოგებაზე უარის თქმას შეუძლია შეინარჩუნოს ეკოსისტემა და არ მოხდეს ტურისტული რესურსის დეგრადაცია. [7]

აუცილებელია მხედველობაში იმის მიღება, რომ ტურიზმი გარემოზე ზემოქმედების გარეშე ვერ განვითარდება. მთავარი აქ იმ ოქროს შუალედის მოძებნაა, სადაც არც ტურიზმზე არ იქნება უარი ნათქვამი და არც ეკოლოგიაზე ზრუნვაზე.

ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი პირობა მოსახლეობის ამ პროცესში ჩართვაა. ეს მხოლოდ ტურიზმიდან შემოსული თანხებით ადილობრივების დაფინანსებაში და ფინანსურ დახმარებებში არ უნდა იყოს გამოხატული, არამედ სანახაობრივიც უნდა იყოს.

ეკოტურიზმის როლი ასევე მნიშვნელოვანია ქვეყანაში და ზოგადად მსოფლიოში ბიომრავალფეროვნების დაცვისთვის. ბიომრავალფეროვნებას ეკოტურიზმი ეკონომიკურ ღირებულებასაც ანიჭებს, ამიტომ მოსახლეობისთვის გარკვეული ინტერესიც ხდება მისი დაცვა და შენარჩუნება თუ არ ჩავთვლით იმ ფაქტს, რომ ეკოტურიზმი თავის მხრივ მოიცავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას გარემოსა და მათ შორის ბიომრავალფეროვნების დაცვაზე. [7]

ეკოტურიზმი გარემოს მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს და გამოავლენს მდგრადი ბიზნესის განვითარების საშუალებასაც, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა იღებს ეკონომიკურ სარგებელს და ინარჩუნებს ბუნებრივ კულტურას, ტრადიციებს, ღირებულებებს.

ეკოტურისტები არიან ადამიანები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ სამეცნიერო, სათავგადასავლო, სპეციალიზებულ, სოფლის, ფერმერულ და აგროტურიზმს, წყალზე

დაფუძნებულ ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებეს, კემპინგს თუ კიდევ სხვა უამრავ ტურისტულ მიმართულებას, სწორედ ამიტომ ეკოტურიზმიც უამრავი მიმდინარეობით გამოირჩევა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გაერომ 2002 წელი ეკოტურიზმის საერთაშორისო წლად გამოაცხადა რის შემდეგაც უამრავი ქვეყნისთვის უფრო მნიშველოვანი გახდა ამ მიმართულებით მუშაობა და ღონისძიებების გატარება. დადგენილების ფარგლებში მსოფლიოს 48 ქვეყანამ ჩამოაყალიბა ეკოტურიზმის განვითარების ეროვნული სტრატეგია, ზოგიერთმა ქვეყანად იგი ძირითად სტრატეგიად წარმოაჩინა ტურიზმის სტრატეგიაში, ზოგიერთმა კი ეკოტურიზმი ეკონომიკის განვითარების ეროვნულ სტრატეგიაში ჩართო.

საქართველოში ეკოტურიზმი დაცული ტერიტორიების მენეჯმენტით დაკავებული ხალხის მიერ განისაზღვრება. ზოგიერთი ქვეყანა მწვანე პროგრამების შემუშავებას ანიჭებს უპირატესობას, ნაწილი ქვეყნებისა მაგალითად ეგვიპტე ეკოტურიზმის ერთიანი ეროვნული გეგმის არქონია მიუხედავად ეკოტურიზმის ადგილობრივ გეგმებსა და პროგრამებს იყენებს.

ეკოტურიზმი სამთავრობო დონეზე ინტერესებით აერთიანებს რამოდენიმე სამინისტროებს, მათ შორის გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის, განათლების, ტრანსპორტის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროებს. იგი აუცილებლად მოითხოვს მათ ერთმანეთთან ჰორიზონტალურ ინტეგრაციას. ამავდროულად სახელმწიფო და კერზო ინტერესები უნდა იყოს თანხვედრაში და სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი ბიზენს გარემო სადაც კერძო სექტორი სერიოზული სარგებლის მოტანას შეძლებს. [7]

საქართველოს სხვა უამრავ პრივილეგიასთან ერთად აქვს ის უპირატესობა, რომ გეოგრაფიულად მდებარეობს მსოფლიოს მთავარ ტურისტულ ბაზართან, ევროპასთან ახლოს. ეკოტურიზმის მდგრადი განვითარება ქვეყანაში არა მარტო ეკონომიკას წაადგება, არამედ მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე შევუნარჩუნოთ ჩვენს მომავალ თაობას მათი კეთილდღეობისა და ეკონომიკური სარგებლიანობისთვის.

1.3. საქართველოს დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული პოტენციალი და მისი გამოყენების პრობლემები

ტურიზმის და მომსახურების სფერო კომპლექსულ ინდუსტრიას წარმოადგენს და ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან, კლიმატური და რელიეფური პირობებიდან გამომდინარე ტურიზმის განვითარების უდიდესი პოტენციალი გააჩნია. ბუნებრივი პირობების სწორედ ასეთი მრავალფეროვნებაა ის საჭირო რესურსი, რომელიც ეკოტურიზმის განვითარებას სჭირდება. ვინაიდაც ეკოტურიზმის ერთ-ერთი აქტუალური დესტინაცია დაცული ტერიტორიებია, ეს ფაქტი საშუალებას იძლება ეკოტურიზმის განვითარების პარალელურად ხელი შევუწყოთ სატყეო ფონდის დაცვას, რადგან დაცული ტერიტორიების დაახლოებით 75%-ს ტყე შეადგენს. დღეისათვის საქართველოსი არსებობს იურიდიულად 88 დაცული ტერიტორია, (14 სახელმწიფო ნაკრძალი, 12 ეროვნული პარკი, 19 აღკვეთილი, 40 ბუნებრივი ძეგლი, 1 დაცული ლანდშაფტი და 2 მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია). თუმცა სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიხედვით 86 დაცული ტერიტორიაა საქართველოში. ეს სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ დაცული ტეიროტირიების სააგენტო არ ითალისწინებს ორ მრავალმხრივი გამოყენების დაცულ ტერიტორიას, ჯავახეთისას და ფშავ-ხევსურეთისას. მათი საერთო ფართობი 627104.7255 ჰა-ს უდრის (9% ქვეყნის ტერიტორიისა). ფაქტობრივად კი საქართველოში დაცული ტერიტორიების რიცხვი შეადგენს 94-ს, რადგაც 6 ნაკრძალი საქართველოს კუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობს, მათი საერთო ფართობი 67.141 ჰა-ს შეადგენს (გუმისთის ნაკრძალი, ფსხუს ნაკრძალი, სკურჩის ნაკრძალი, რიწის ნაკრძალი, ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალი, ლიახვის ნაკრძალი). [6]

ეკოტურიზმის განვითარების მიმართულებით დაცულ ტერიტორიებს გააჩნიათ მთელი რიგი უპირატესობები:

-ადგილმდებარეობიდან გამომდინარე ტურისტებს სთავაზობენ საინტერესო, მიმზიდველი, გამორჩეული ლანდშაფტებით ტკბობის საშუალებას;

-გააჩნიათ ტურისტული ჯგუფების მომსახურების და ტურისტული მარშრუტების კარგად ორგანიზების უნარი;

-ფლობენ საჭირო ინფრასტრუქტურას და ჰყავთ კვალიფიციური პერსონალი;

-აქვთ როგორს იურიდიული ისე ფაქტობრივი შესაძლებლობა გარემო დაიცვას მავნე ზემოქმედებისაგან; [7]

ეკოტურიზმზე მოთხოვნის ზრდამ განაპირობა დაცული ტერიტორიების და ეროვნული პარკების დაარსების აუცილებლობა. განსაკუთრებით დაცული ტერიტორიები წარმოადგენენ ობიექტებს, სადაც ბუნებრივი და თავისებული მახასიათებლების შენარჩუნების მიზნით ბუნებრივი ობიექტის მართვა და გამოყენება რეგულირდება სპეციალურად შემუშავებული ნორმატიული აქტით. სადაც დაწესებული რეჟიმი სრულ ან ნაწილობრივ, მუდმივ ან დროებით შეზღუდვებს აწესებს ბუნებათსარგებლობაზე.

განასხვავებენ დაცული ტერიტორიების შედგედ სახეობებს:

1. სახელმწიფო ნაკრძალი
2. ეროვნული პარკი
3. ბუნებრივი ძეგლი
4. აღკვეთილი
5. დაცული ლანდშაფტი
6. მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია

ტურიზმის განვითარების ხელშეწყოაბ დაცულ ტერიტორიებზე ეროვნული პარკების შექმნით დაიწყო და განვითარების ტენდენციით ხასიათდება. დაცული ტერიტორიების უმთავრეს დანიშნულებას ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია წარმოადგენს, თუმცა ეს უნიკალური რესურსი ამავდროულად ეკოტურიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელი ნიადაგიცაა. შედეგად კი დადებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია როგორც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ, ასევე სხვა რიგ ფაქტორებზე. მაგალითად განვიხილოთ თუშეთის დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბების პროცესი 2003 წელს. დიდ კავკასიონზე არსებული ეს ტერიტორია უგზოობისა

და საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო საკმაოდ იზოლირებული იყო. მთიან რელიეფზე ზღვის დონიდან 3000 მეტრს ზემოთ არსებული გზა უხვთლოვლიანობის და ზვავსაშიშროების გამო 6 თვის განმავლობაში გადაკეტილია. გახსნილ მდგომარეობაშიც კი კახეთიდან სოფელ ქვემო ალვანიდან ომალომდე ადგილობრივები სამხიდიანი მანქანებით 10 საათს ანდომებდნენ მისვლას. უგზოობის, უდენობის, სოციალური და სამედიცინო მომსახურების არარსებობის პირობებში უნიკალური რეგიონი დაცლის პირას აღმოჩნდა.

2003 წლიდან დაცული ტერიტორიის გამოცდახების პარალელურად საერთასორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით დაიწყო ტურიზმისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება. დაიგეგმა მარშრუტები, ხელი შეეწყო საოჯახო სასტუმროებისა და სხვა დამატებითიი ტურისტული პროდუქტების განვითარებას. ეროვნული ოარკის მიერ ინიცირებული პროექტის ხარჯზე ადგილობრივი სასტუმროების აბსოლუტური უმრავლესობა ელექტროენერგიით მზის ენერგიის ხარჯზე მომარაგდა. 2017 წელს ტერიტორიის ინტერნეტიზაციამ დადებითად იმოქმედა როგორც ტურისტების კმაყოფილების ხარისხზე, ასევე ადგილობრივების კეთილდღეობაზე. ტურისტების მიერ აკუმულირებული თანხები ბუნების კონსერვაციაზე ნაწილდება, რადგან მოსახლეობას გარემოს შენარჩუნების მიზეზი გაუმტკიცდათ. ამავდროულად ისევ და ისევ უნდა ავღნიშნოთ, რომ შეუძლია ტურიზმის განვითარება გარემოზე გარკეული ზეგავლენის მოხდენის გარეშე, ამიტომ სწორად უნდა იქნას გაკეთებული აქცენტები როგორც ტურისტული ნაკადების მართვაზე, ასევე ეკოლოგიაზე. [13]

დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის განვიტარება ხელს უწყობს საქართველოს ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების პოპულარუზაციას, ამავდროულად ის იწვევს დამატებით დატვირთვას, რაც დაკავშირებულია ახალი ინფრასტრუქტურის, პროდუქტებისა და დამატებთი ღირებულებების შექმნასთან. დღის წესრიგში დგას ბუნების, ბიომრავალფეროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობების შესახებ ტურისტების ინფორმირება და სტუმრის გაზრდილი რაოდენობის პარალელურად ისეთი გამოწვევების მართვა, როგორიცაა ცუდი გზები, პრობლემები წყალმომარაგებასა და ელექტრო მომარაგებაში. ინტერნეტით უზრუნველოყოფასა და ნარჩენების მართვაში. დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები ცდილობენ ბალანსის დაცვას ბუნების კონსერვაციისა და მართვის პარალელურად ვიზიტორების მოთხოვნილებების

და მოლოდინების მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის. აღსანიშნავია, რომ დაცული ტერიტორიების პრაქტიკა შეიძლება გამოყენებულ იქნას ეროვნულ სატყეო სააგენტოს მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ტყის მასების ტურისტულად გავნითარებისათვის. ტყეების ტურიზმის შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს რეგიონულ ღირსშესანიშნაობებზე და ისეთ ტურისტულ აქტივობებზე, რომელიც თავიანთი ხასიათით დაცული ტერიტორიების მიზნებს არ შეესაბამება.

დაცული ტერიტორია – ეს არის ტერიტორია, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური სტატუსი, რათა დაცული იყოს აღნიშნული ტერიტორიის ფიზიკური მახასიათებლები, დაცული იყოს როგორც კულტურული მემკვიდრეობა. დაცული ტერიტორია შეიძლება იყოს სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, აღკვეთილი, ბუნების ძეგლი, დაცული ლანდშაფტი და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია. [13]

სახელმწიფო ნაკრძალი – დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი სახე.

სახელმწიფო ნაკრძალი შეიძლება დაარსდეს ბუნების, ბუნებრივი პროცესებისა და გენეტიკური რესურსების დინამიური და ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნებისა და მათზე უმნიშვნელო ზეგავლენის მქონე მეცნიერული კვლევა-ძიების, საგანმანათლებლო საქმიანობისა და გარემოს მონიტორინგის მიზნით.

სახელმწიფო ნაკრძალისათვის უნდა შეირჩეს ისეთი სიდიდის და მდგომარეობის სახელმწიფო ტერიტორია ან აკვატორია, რომელიც უზრუნველყოფს ბუნების ობიექტებისა და პროცესების შენარჩუნებას ადამიანისაგან სპეციალური მოვლისა და აღდგენის გარეშე.

სახელმწიფო ნაკრძალი შეიძლება შედიოდეს რომელიმე დაცული ტერიტორიის (ბიოსფერული რეზერვატი, მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია) შემადგენლობაში და მოიცავდეს თავის თავში რომელიმე მათგანს (ბუნების ძეგლი).

ეროვნული პარკი – დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი სახე, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური სტატუსი. ეროვნული პარკი იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი და ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად სასიცოცხლო და რეკრეაციული საქმიანობისათვის. [13]

ეროვნული პარკისათვის შეიძლება შეირჩეს შედარებით დიდი ბუნებრივი სახმელეთო ტერიტორია ან/და აკვატორია, სადაც წარმოდგენილია უნიკალური, იშვიათი ან საფრთხის წინაშე მყოფი ერთი ან რამდენიმე დაუზიანებელი ან ნაკლებად დაზიანებული ეკოსისტემა, ბიოცენოზი და „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობა.

ეროვნულ პარკში შეიძლება მოეწყოს შემდეგი ძირითადი ზონები:

1. **ბუნების მკაცრი დაცვის ზონა** – ბუნების მკაცრი დაცვის ზონა ეწყობა ხელუხლებელი ბუნების შენარჩუნების, არამუნიციპალური მეცნიერების კვლევის და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის.
2. **ბუნების მართვავდი დაცვის ზონა** – ბუნების მართვადი დაცვის ზონა ეწყობა სასიცოცხლო გარემოს დაცვის, მოვლა-პატრონობისა და აღდგენის, აგრეთვე მანიპულაციური მეცნიერული კვლევის, ტურიზმისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის.
3. **ვიზიტორთა ზონა** – ვიზიტორთა ზონა ეწყობა ბუნების დაცვის, რეკრეაციისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის.
4. **აღდგენის ზონა** – აღდგენის ზონა ეწყობა ანთროპოლოგიური ჩარევით დაზიანებული ბუნების ობიექტების და ტერიტორიების დაცვა-აღდგენისათვის.
5. **ისტორიულ-კულტურული ზონა** – ისტორიულ-კულტურული ზონა ეწყობა ბუნებრივი გარემოს, ისტორიულ-კულტურული ობიექტებისა და/ან არქიტექტურული ძეგლების დაცვა-აღდგენის, რეკრეაციის, ტურიზმისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის (ზონა არ მოიცავს დასახლებებს).
6. **ადმინისტრაციის ზონა** – ადმინისტრაციის ზონა ეწყობა ეროვნული პარკის ადმინისტრირებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის განსათავსებლად.
7. **ტრადიციული გამოყენების ზონა** – ტრადიციული გამოყენების ზონა ეწყობა ბუნების დაცვის და განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციულად გამოყენებასათან დაკვშირებული სამეურნეო საქმიანობისათვის. ზონაში დაიშვება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებით და ბუნებრივი პროდუქტულობით ლიმიტირებული თიბვა,

ძოვება, საშეშე მერქნის მოპოვება და სხვა. დაუშვებელია ხვნა-თესვა და სასოფლო-სამეურნეო ნაგებობების განთავსება. [14]

ეროვნული პარკი შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა კატეგორიის დაცულ ტერიტორიას (ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, მსოფლიოს მემკვიდრეობის უბანი) და/ან თვითონ ითავსებდეს ბიოსფერული რეზერვატის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ან საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიის კატეგორიას.

ბუნების ძეგლი – დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი სახე, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური სტატუსი. ბუნების ძეგლი შეიძლება დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის, შედარებით მცირე უნიკალური ბუნებრივი ტერიტორიებისა და იშვიათი ბუნებრივი და ბუნებრივ-კულტურული წარმონაქმნების დასაცავად.

ბუნების ძეგლი საჭიროებს ეროვნული მნიშვნელობის შედარებით მცირე ტერიტორიას, სადაც იშვიათი, უნიკალური და მაღალი ესთეტიკური მახასიათებლების მქონე კომპაქტური ეკოსისტემები, ცალკეული გეოგრაფიული და ჰიდროლოგიური წარმონაქმნები, მცენარეთა ცალკეული ეგზემპლარები, ცოცხალ ორგანიზმთა ნამარხი ობიექტებია წარმოდგენილი.

ბუნების ძეგლი შეიძლება შედიოდეს ნებისმიერი დაცული ტერიტორიების შემადგენლობაში. [13]

აღკვეთილი – დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი სახე, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური სტატუსი.

აღკვეთილი შეიძლება დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის მქონე ცოცხალი ორგანიზმის ველური სახეობების, სახეობათა ჯგუფების, ბიოცენოზების და არაორგანული ბუნების წარმონაქმნების შესანარჩუნებლად საჭირო ბუნებრივი პირობების დასაცავად, რაც ადამიანის მხრიდან მოითხოვს სპეციალურ აღდგენით და მოვლით ღონისძიებებს. აღკვეთილში მკაცრი კონტროლის პირობებში დაშვებულია ცალკეული განახლებადი რესურსის მოხმარება.

აღკვეთილი საჭიროებს ეროვნულ და, ცალკეულ შემთხვევებში, საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე სახმელეთო ტერიტორიას ან/და აკვატორიას, სადაც ცოცხალ ორგანიზმთა

იშვიათი, უნიკალური, დამახასიათებელი და „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობები და ეკოსისტემის ცალკეული მნიშვნელოვანი კომპონენტებია წარმოდგენილი.

აღკვეთილი შეიძლება შედიოდეს ბიოსფერული რეზერვატის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის და სხვა დაცული ტერიტორიის შემადგენლობაში და ასევე მოიცავდეს ბუნების ძეგლს.

აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია აღკვეთილში მოეწყოს სხვადასხვა ზონა.

დაცული ლანდშაფტი – დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი სახე, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური სტატუსი.

დაცული ლანდშაფტი შეიძლება დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის მქონე, მაღალი ესთეტიკური ღირებულებით გამორჩეული, როგორც ბუნებრივი, ასევე ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დასაცავად, სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნების, რეკრაციულ-ტურისტული, და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისათვის.

დაცული ლანდშაფტი საჭიროებს ეროვნული მნიშვნელობის მქონე ფართო სახმელეთო ტერიტორიას და/ან აკვატორიას, სადაც თვითმყოფადი ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტი გამოიჩევა მაღალი ისტორიული და ესთეტიკური ღირებულებით.

დაცული ლანდშაფტი შეიძლება შედიოდეს სხვა დაცული ტერიტორიის (ბიოსფერული რეზერვატი, მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი) შემადგენლობაში ან მოიცავდეს დაცულ ტერიტორიას (ბუნების ძეგლი). [13]

შესაძლებელია დაცულ ლანდშაფტში მოეწყოს სხვადასხვა ზონა:

მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია – დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი სახე, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური სტატუსი.

მარავალმხრივი გამოყენების ტერიტორია იქმნება გარემოს დაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ორგანიზებული და განახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ორიენტირებული სამეურნეო საქმიანობისათვის.

მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია საჭიროებს ხმელეთის შედარებით დიდ ფართობს და/ან აკვატორიას, რომელიც წარმოადგენს წყლის აკუმულაციის, ტყეებისა და საძოვრების პროდუქტიულობას, ნადირობის, თევზჭერისა და ნადირ-ფრინველის გავრცელებას, აგრეთვე, ტურიზმისათვის საჭირო ბუნებრივ საფუძვლებს. დასაშვებია, იგი იყოს ნაწილობრივ სახეცვლილი და მოიცავდეს დასახელებებსაც. ტერიტორიაზე არ უნდა ხდებობეს ეროვნული მნიშვნელობის უნიკალური ბუნებრივი წარმონაქმნები.

განახლებადი ბუნებრივი რესურსების მუდმივობისა და გარანტირებული მოხმარების უზრუნველსაყოფად შეიძლება ბუნების დაცვისა და მრავალმხრივი გამოყენების სხვადასხვა დასაშვები შეფარდების მქონე ზონების გამოყოფა.

საქართველოში დაცული ტერიტორიების დაარსებას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი დაცული ტერიტორია – ლაგოდეხის სახემწიფო ნაკრძალი შეიქმნა ჯერ კიდევ 1912 წელს. ამჟამად საქართველოს დაცული ტერიტორიების საერთო ფართობია 520 273 ჰა, რაც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 7,46 %-ია. დაცული ტერიტორიების დაახლოებით 75 % ტყით არის დაფარული.

დაცული ტერიტორიების უპირველესი დანიშნულება უნიკალური ბიომრავალფეროვნების, დამახასიათებელი ეკოსისტემების დაცვა-შენარჩუნებაა.

საქართველოში 87 სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორია[1], მათ შორის:

- 14 სახელმწიფო ნაკრძალი
- 11 ეროვნული პარკი
- 41 ბუნების ძეგლი
- 19 აღკვეთილი
- 2 დაცული ლანდშაფტი

[1] დაცული ტერიტორიების სააგენტო- http://eiec.gov.ge

სახელმწიფო ნაკრძალი არის დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი სახე. საქართველოში დღეის მონაცემებით 14 სახელმწიფო ნაკრძალია.

ეროვნული პარკი -დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი სახე. თანამედროვე ეროვნულ პარკს თავისებურებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი დადებით ეფექტი აქვს რეგიონის გარემო-ბუნების დაცვის, ასევე სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. კერძოდ: ნიადაგის დაცვა, წყალმარეგულირებელი მნიშვნელობა, კლიმატის სტაბილიზება, ბიოლოგიური რესურსების შენარჩნება, გენეტიკური რესურსების დაცვა, ჯანმრთელი სასიცოცხლო გარემოს შექმნა, ტრადიციული ფასეულობების შექმნა, საგანმანათლებლო ფუნქცია, ტურიზმის განვითარება და ადგილობრივებისათვის სამუშაო ადგილების შექმნა, ტერიტორიის რეკრეაციული განვითარება. საქართველოში 2015 წლის მონაცემებით 11 ეროვნული პარკია:

ბუნების ძეგლი -2015 წლის მდგომარეობით საქართველოში ბუნების ძეგლების საერთო ფართობი არის 2257,74 ჰა. დღეისათვის უკვე 41 ბუნების ძეგლს აქვს მინიჭებული სტატუსი.

აღკვეთილი -აღკვეთილის კატეგორიის დაცულ ტერიტორიაზე საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ჩატარდეს სპეციალური აღდგენითი და მოვლითი ღონისძიებები. მკაცრი კონტროლის პირობებში დაშვებულია ცალკეული განახლებადი რესურსის მოხმარებაც. დღესდღეობით საქართველოში 19 აღკვეთილია და მათი საერთო ფართობი 66,449 ათას ჰა-ს შეადგენს.

დაცული ლანდშაფტი არის დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი სახე. 2017 წლის მონაცემებით საქართველოში 2 დაცული ლანდშაფტია: თუშეთის დაცული ლანდშაფტი და კინტრიშის დაცული ლანდშაფტი;

როგორც ვხედავთ საქართველოში ძალიან ბევრი დაცული ტერიტორია გვაქვს და ამ რიცხვის გაზრდა კიდევ შესაძლებელია. დაცული ტერიტორიების განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადად ტურიზმისთვის და განსაკუთრების ეკოტურიზმისთვის, რადგან ეკოტურისტების მთავარ დანიშნულების ადგილს სწორედ დაცული ტერიტორიების წარმოადგენს.

კოლხეთის ეროვნული პარკი - მდებარეობს დასავლეთ საქარათველოში. იგი მოიცავს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლსა და პალიასტომის ტბის აუზს.კოლხეთის ეროვნული პარკი შეიქმნა კოლხეთის საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ეკოსისტემების დაცვისა და გადარჩენის მიზნით. ეროვნული პარკის უბნები ხუთი ადმინისტრაციული რაიონის: ზუგდიდის, ხობის, სენაკის, აბაშისა და ლანჩხუთის ტერიტორიაზეა განლაგებული და საქართველოს ორი ისტორიული მხარის - სამეგრელოსა და გურიის ნაწილია. კოლხეთის დაბლობი საერთაშორისო ყურადღების ცენტრში პირველად 1996 წელს მოექცა, როდესაც საქართველო საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით – წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ არსებულ რამსარის კონვენციას შეუერთდა.

2000 წლიდან კოლხეთის ეროვნულმა პარკმა სრულმასშტაბიანი ფუნქციონირება დაიწყო. კოლხეთის ეროვნულ პარკი არ არის მონოლითური წარმონაქმნი და ის წყვეტილი ტერიტორიებისგან - უბნებისგან შედგება. პარკი იყოფა ანაკლია-ჭურიის (მდინარეების ჭურიისა და ხობისწყლის ხეობების ზღვისპირა მონაკვეთებს შორის), ნაბადასა (მდინარეების ხობისწყლის და რიონის ხეობების დასავლეთ მონაკვეთებს შორის) და იმნათის (მდინარეების რიონის და სუფსის ხეობების დასავლეთ მონაკვეთებს შორის) ბუნებრივ გეოგრაფიულ უბნებად. ეს ის ადგილებია, სადაც ჭარბტენიანი ეკოსისტემები ყველაზე უკეთ არის შემორჩენილი. ანაკლია-ჭურიის უბნის ფართობი შეადგენს 13 713 ჰექტარს; ნაბადის უბნის სიდიდე 10 697 ჰექტარია, ხოლო იმნათის უბნის – 19 903 ჰექტარი. სულ ეროვნული პარკის სახმელეთო ფართობის სიდიდე 28 571, ხოლო ზღვის აკვატორიის – 15 742 ჰექტარია. ეროვნული პარკის უბნები ხუთი ადმინისტრაციული რაიონის – ზუგდიდის, ხობის, სენაკის, აბაშის და ლანჩხუთის ტერიტორიაზეა განლაგებული და საქართველოს ორი ისტორიული მხარის – სამეგრელოსა და გურიის ნაწილია.

პარკის ტერიტორიაზე აღსანიშნავია პალიასტომის ტბა, მისი საერთო ფართობი 18,2 კვ.კმ, ხოლო მაქსიმალური სიღრმე 3,2 მეტრს აღწევს. ტბა მდიდარია თევზით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ფარგა და კეფალი, პალიასტომის ტბა შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში ფარგის გავრცელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყალსატევად. საერთო ჯამში კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე 88 თევზის სახეობაა ცნობილი, მათ შორის შავი ზღვის მობინადრეა 44,

მტკნარი წყლისა-21, ხოლო 23 სახეობა გამსვლელია. სხვა თევზებიდან აღსანიშნავია შავი ზღვის ორაგული, ქაშაყი, ატლანტური ზუთხი პალიასტომის ტბა შავი ზღვის აკვატორიასთან ერთად აფრიკა-ევრაზიის წყლისა და ჭაობის ფრინველთა მიგრაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენს.

ტენიან ტყეებში, ჭაობებსა და მდინარეებში ბუდობს და იზამთრებს 194 სახეობის ფრინველი, მათ შორის მიმომფრენია 76 სახეობა, მობინადრე 62 და 56 მაზამთრე სახეობაა. მოზამთრე სახეობებიდან აღსანიშნავია მეკალოტე ბატი, თეთრშუბლა ბატი, გარეული იხვი, მყივანი გედი, ხუჭუჭა ვარხვი შავი ყარყატი,მცირე თეთრი ყანჩა, თეთრკუდა არწივი.

ფლორა - ფლორიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მურყანი, ლაფანი, იმერული მუხა, ნეკერჩხალი, წითელ წიგნშია შეტანილი კოლხური სურო. თეთრი დუმფარა, წყლის კაკალი, ლემნა, სალვინია, ძუძუმწოვრებიდან გავრცელებულ სახეობას წარმოადგენს ტურა, კავკასიური თხუნელა, წითელ წიგნშია შესული გარეული ღორი, ზღვის ღორი, აფალინა, თეთრგვერდა დელფინი.

დაცულ ტერიტორიაზე შემდეგი სახის ინფრასტრუქტურაა განთავსებული: პარკის ვიზიტორთა ცენტრი; ადმინისტრაციული შენობები; მცველთა თავშესაფრები; ფრინველების სათვალთვალო კოშკი; ფრინველთა სათვალთვალო; ფრინველთა დარგოლვის ცენტრი; საინტერპრეტაციო დაფები; საინტერპრაციო კიოსკები; ნავმისადგომები; შესასვლელები; ტურისტული ბილიკები.

კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრი და სხვა ინფრასტრუქტურა საგანგებოდ ისე დაპროექტდა, რომ მისი მშენებლობის პროცესში გამოყენებული მასალა და ტექნოლოგიები უვნებელი ყოფილიყო გარემოსა და იმ ადამინებისათვის, რომლებიც მის დასათვალიერებლად მოდიან, ან ამ შენობაში მუშაობენ. ვიზიტორთა ცენტრში განთავსებულია 60 ადამიანზე გათვლილი საკონფერენციო დარბაზი , ბიბლიოთეკა, ელექტროენერგიის ჰელიო სისტემა, 4 სასტუმრო ნომერი, საგამოფენო დარბაზი და კაფეტერია.

ცენტრის დანიშნულებაა დაინტერესებული პირებისათვის დაცული ტერიტორიების სრული და თვალსაჩინო ინფიორმაციის მიწოდება. მისი ადგილმდებარეობა სატრანსპორტო მომსახურეობისა და ტურისტულ ინფრასტრუქტურასთან კავშირის თვალსაზრისით მაქსიმალურად შეესაბამება ვიზიტორების ინტერესებს. პარკის ტერიტორიის ფუნქციური ზონირებიდან გამომდინარე ოპტიმალურად იქნა მიცნეული მისი განთავსება ქ. ფოთის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში, მალთაყვაზე, ადმინისტრაციული ცენტრის შენობასთან ერთიან კომპლექსში. აღნიშნული ტერიტორია განლაგებულია ქ. ფოთზე გამავალ სატრანზიტო ავტომაგისტრალთან და ამდენად , მოხერხებული კავშირი აქვს როგორც სამეგრელოს , ასევე გურიის რეგიონებთან. აღსანიშნავია აგრეთვე ფოთის საზღვაო პორტთან და აეროპორტთან სიახლოვე, რაც აადვილებს ტურისტთა ნაკადების სატრანსპორტო მომსახურეობას . ფუნქციიდან გამომდინარე ვიზიტორთა ცენტრის გეგმარებითი, არქიტექტურული და კონსტრუქციული გადაწყვეტა, ინტერიერების, კეთილმოწყობისა და აღჭურვილობის დიზაინი მაქსიმალურად ეფუძნება ადგილობრივ, ისტორიულად ჩამოყალიბებულ სამშენებლო ტრადიციებს, თავისებურებებსა და პრინციპებს.

ეკოტურიზმი, ისევე როგორც ტურიზმის სხვა სახეობები მუდმივად ახალ იდეების და ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნას უწყობს ხელს. თანამედროვე ეკოტურისტულ პროდუქტებად შეიძლება ჩაითვალოს „ეთნო სოფლები“, ტერიტორია, სადაც ადგილობრივების ტრადიციები, ადათ-წესები, კულინარიული თავისებურებები, ფოლკლორი და ყველა დანარჩენი თავისებურება არის წარმოდგენილი. საქართველოშ უკვე შემდგარი მაგალითია ეთნო სოფელი „სისა ტურა“ სამეგრელოში, კერძოდ მარტვილში. ტერიტორიაზე წარმოდგენილია ძველი მეგრული ოდები, წისქვილები, პატარა კუნძულები, საყოფაცხოვრებო ნივთები და ექსპონატები. ვიზიტორებს შეუძლიათ ჩაერთონ მეგრული კერძების მომზადებაში და შემდოგ დააგემოვნონ ადგილობრივი კულინარიული შედევრები. ეთნო სოფლის მშენებლობა მაჭახელას ხეობაშიც არის დაგეგმილი და პროექტის განხორციელებისთვის 423 000 ლარია გამოყოფილი.

ეკოტურიზმის განვითარების უდიდესი პოტენციალი გააჩნია ეროვნულ პარკებს, რომლის ძირითად მიზანს ეკოსისტემის დაცვასთან ერთად წარმოადგენს ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბება.

ყველა ტიპის განსაკუთრებიც დაცულ ტერიტორიებზე შესაძლებელია ეკოტურიზმის განივთარება, მაგრამ დაცულ ტერიტორიაზე სხვებთან შედარებით დაწესებულია ეკოტურიზმის განვითარების უფრო მკაცრი რეჟიმები. აუცილებლად უნდა იყოს ნორმირებული ვიზიტორთა რაოდენობა. ეკოტურიზმის რესურსს ასევე წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, რომლებიც როგორც წელი დაცულ ტერიტორიებზეა თავმოყრილი. დაცულ ტერიტორიებზე ტურისტული მარშრუტის განხორციელება შემოისაზღვრება მხოლოდ ბუფერულ ზონაში მკაცრად რეგულირებადი მიმართულებებით.

ეკოტურიზმის განვითარებისათვის და ტურისტული პოტენციალის მდგრადი გამოყენებისათვისა საჭიროა: 1) დაცულ ტერიტორიებსა და ეროვნულ პარკებში ვიზიტორთა რაოდენობა მკაცრად განსაზღვრული და რეგულირებული უნდა იყოს 2) საჭიროა დაცული ტერიტორიების ზონირება 3) უშუალოდ დაცულ ტერიტორიაზე მარშრუტის განხორციელების შემთხვევაში უნდა ხორციელდებოდეს ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება და კონტროლი 4)არ საჭიროებს დაცულ ტერიტორიებზე ახალი სასტუმროების მშენებლობას, ვიზიტორთა განთავსება შესაძლებელია ირგვლის მდებარე დასახლებულ პუნქტებში. თანამედროვე ეროვნულ პარკის მნიშვნელონა შემდგომ თავისებურებებში ვლინდება: ნიადაგის დაცვა, წყალმარეგულირებელი მნიშვნელობა, კლიმატის სტაბილიზება, ბიოლოგიური რესურსების შენარჩუნება, გენეტიკური რესურსების დაცვა, ჯანმრთელი სასიცოცხლო გარემოს შექმნა, ტრადიციული ფასეულობების შენარჩუნება, საგანმანათლებლო ფუნქცია, ტურიზმის განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა, რეკრეაციული განვითარება.

თავი 2. საქართველოში ეკოლოგიური ტურიზმის ძირითადი სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები

2.1. ეკოტურიზმი და ტურიზმის საკანონმდებლო და სახელმწიფო რეგულირება

ჩვენი სახელმწიფოსთვის ტურიზმის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რადგან ეს სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ აღმავლობას. ტურიზმის სფერო აერთიანებს მრავალ სხვადახვა დარგს, ამიტომ მისი განვითარებისთვის გადამწყვეტია მჭიდრო უწყებათაშორისი კოორდინაცია. ასევე, თანამშრომლობა კერძო და არასამთავრობო სექტორებთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, ტურიზმის სტრატეგიის შემუშავება მკაფიოდ წარმოაჩენს სფეროს წინაშე არსებულ გამოწვევებს და განსაზღვრავს იმ ძირითად მიმართულებებს, რომლებიც საფუძვლად დაედება ქვეყანაში ამ მნიშვნელოვანი სექტორის განვითარებას.

საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციას გააჩნია სამოქმედო სტრატეგია ტურისტული ბაზრის განვითარებისათვის. „ საქართველოს ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2015“ შემუშავდა მთავრობასა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის მეშვეობით, დარგის მდგრადი მომგებიანობის და ზრდის უზრუნველსაყოფად და სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობების მაქსიმალურად გასაზრდელად. ხედვა 2025 წლისათვის შემდეგია: „2025 წლისთვის საქართველო კარგად იქნება ცნობილი როგორც პრემიერ კლასის, ყველა სეზონის, მაღალი ხარისხის ტურისტული დანიშნულების ადგილი, გამორჩეული თავისი უნიკალური კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობით, მსოფლიო კლასის სერვისით და სტუმარ–მასპინძლობის უკვდავი ტრადიციით. [12]

ინფრასტრუქტურაში განხორციელებული სტრატეგიული ინვესტიციების, განათლების, მარკეტინგის და უნიკალური ქართული შთაბეჭდილებების შეთავაზების გზით საქართველო ტურიზმის დარგში კონკურენტუნარიანი ქვეყნების პირველ რიგებში იქნება და მსოფლიოს მასშტაბით ტურისტების ყველაზე მაღალი ხარჯვითი პოტენციალის მქონე სეგმენტს მოიზიდავს. ვიზიტორების მიერ დახარჯული თანხების ზრდის შედეგად ტურიზმის წვლილი საქართველოს

ეკონომიკის ზრდასა და განვითარებაში მნიშვნელოვნად ამაღლდება. აქცენტი გაკეთდება ჩამოსული ვიზიტორების ხარისხსა და მრავალფეროვნებაზე და არა მათ რაოდენობაზე.

სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანია ქვეყნის ტურიზმის ხელშეწყობა რაც თავის თავში გულისხმობს შემდეგს:

- საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობის და მისგან მიღებული შემოსავლების ზრდა
- მშპ-ში ტურიზმის წილის ზრდა
- ტურიზმთან ასოცირებულ ინდუსტრიებში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა
- ვიზიტორის საშუალო დანახარჯის და საშუალო გაჩერების ხანგრძლივობის ზრდა
- ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების რაოდენობის ზრდა

ყოველივე ზემოთხსენებულის მისაღწევად საჭიროა

- კერძო და სახელმწიფო სექტორის პროცესში სრული ჩართვა
- ბაზრის პრიორიტეტულობის განსაზღვრა
- მდგრადი განვითარების ხელშეწყობა
- საქართველოს სტუმართმოყვარეობის კულტურის განვრცობა მომსახურების სფეროზე

საერთო ჯამში გამოიყო 8 ძირითადი სტრატეგიული ამოცანა:

- ტურიზმის სფეროშ სახელმწიფო და კერძო ინვესტიციებსი გაზრდა
- ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება
- ეფექტრუსი საერთაშორისო და ადგილობრივი მარკეტინგული კამპანიის წარმოება
- კონკურენტუნარიანობის გაზრდა მსოფლიო დონის მომსახურების შეთავაზებით
- საქართველოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის პატივისცემა, დაცვა და სათანადოდ წარმოჩენა
- ტურიზმის სექტორში მონაცემთა მოპოვების და ანალიზის გაუმჯობესება
- ზემოთხსენებული ამოცანების მისაღწევად აქტიური თანამშრომლობა სახელმწიფოს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მოსახლეობას შორის. [7]

აღსანიშნავია რუსეთთან ამა წლის ივნისის თვეში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები, რომელსაც რათქმაუნდა თავისი შედეგი ექნება საქართველოს ტურისტულ ბაზარზე. რუსეთის მხრიდან საქართველოში ფრენების აკრძალვამ, მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა საქართველოს ტურისტული ბაზრის დივერსიფიკაციას, ასევე რუსი ტურისტებისათვის ალტერნატიული გზების შექმნას საქართველოში ჩამოსასვლელად. ვინაიდან უცხო ქვეყნის ვიზიტორთა უდიდეს რაოდენობას რუსული ბაზარი ქმნის, ამიტომ ქვეყანამ აქტიური კამპანია წამოიწყო „Spend your summer in Georgia"-ს სახელწოდებით. მსოფლიოს უამრავი ქვეყანა ჩაერთო ამ კამპანიაში და აქყიურად ახორციელებენ მარკეტინგულ ღონისძიებებს საქართველოსათვის. მაგალითისათვის ტალინისა და რიგის ქუჩებში აჭარის სურათებით გაფორმებული ტრამვაი იმოძრავებს მთელი ზაფხულის განმავლობაში. ჩარტერული ფრენები დაემატა ტალინიდან, ესტონეთიდან, ვილნიუსიდან. ავიაკომპანია WIZZ AIR-მა 12 ახალი პირდაპირი მიმართლება დაამატა ევროპის მიმართულებებს. [17]

ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ საიმიჯო მარკეტინგული კამპანია დაიწყო CNN-ზე, BBC-ის, Euronews-ის და Deutche Welle-ს ეთერში. წელს ასევე აჭარის საიმიჯო რგოლების ჩაშვება იგეგმება National Geographic- ის და Travel Channel-ის სატელევიზიო ეთერში.

ვიდეორგოლების გარდა, საზღვარგარეთ ქვეყნის პოპულარიზაციისთვის კიდევ რამდენიმე მეთოდი გამოიყენება. მათ შორისაა საერთაშორისო გამოფენები, დაახლოებით 24 გამოფენაში იღებს ქვეყანა ყოველწლურად მონაწილეობას, სადაც ხდება საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია. ამ გამოფნებზე ჩვენთან ერთად დადის კერძო სექტორიც, ტურისტული კომპანიები, სასტუმროები და ისინი ამყარებენ უშუალოდ კონტაქტს საზღვარგარეთ პარტნიორებთან და მუშაობენ ტურისტული ნაკადების შემოყვანაზე. [24]

ასევე, თითქმის უწყვეტ რეჟიმი, საქართველოს სტუმრობენ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჟურნალისტები, ტელევიზიის ასევე პრესის წარმოამდგენლები, ბლოგერები, მათ უტარდებათ პრესს-ტურები, ეცნობიან მთელ საქართველოს და საკუთარ ქვეყნებში დაბრუნების შემდეგ ისინი აკეთებენ გადაცემებს ან წერენ სტატიებს საქართველოს შესახებ რაც, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციას. [11]

რაც შეეხება მარკეტინგულ აქტივობებს მიზნობრივ ბაზრებზე, ტურიზმის ადმინისტრაციამ წინასწარ დაიწყო მომზადება ზაფხულის ტურისტული სეზონისათვის. ამისათვის ჩატარდა აქტიური მარკეტინგული კამპანიები აზერბაიჯანში, თურქეთში, უკრაინაში, ყაზახეთში, ბელორუსიაში, ლატვიაში, უნგრეთში, ისრაელში, რუსეთში. ამასთანავე იგეგმება დამატებით მრავალი პრეს და გაცნობითი ტურები წამყვანი საერთაშორისო ჟურნალისტებისა და ტურ-ოპერატორებისათვის.

ახალი დაცული ტერიტორიების დაარსებსი მიზნით 2018 წელს მომზადდა და პარლამენტში გადაგზავნილია დასამტკიცებლად შემდეგი პროექტები: 1. რაჭის ეროვნული პარკის შექმნა 2. ერუშეთის ეროვნული პარკის შექმნა 3. პონტოს მუხის აღკვეთილი 4. არაგვის დაცული ლანდშაფტების შექმნა 5. თრუსოს დაცული ლანდშაფტის შექმნა 6. რიონის აღკვეთილის შექმნა (სულ 184500 ჰა). [18]

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და ზოგადად საქართველოს მთავრობა დაინტერესებულია ტურისტულ ინფრასტრუქტურაში საინვესტიციო შესაძლებლობების გაფართოებით. ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს სამი ტურისტული ზონა: ქობულეთში, ანაკლიასა და განმუხურში. აღნიშნული ზონები სასტუმროს ბიზნესში ინვესტირებით დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მთელ რიგ შეღავათებს, თავისუფალ ტურისტულ ზონებში მოქმედებს შემდეგი საშეღავათო პირობები: ინვესტორი თავისუფლდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ქონების გადასახადისა და მოგების გადასახადის ვალდებულებისაგან 15 წლის ვადით კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ინვესტორი ასევე თავისუფლდება მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან. ინვესტორს შესაბამისი ფართობის მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადაეცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სიმბოლურ ფასად – 1 ლარად. გარდა ამისა საქართველოს საპარტნიორო ფონდთან თანამშრომლობით შესაძლებელია ინვესტიციების განხორციელება ტურისტულ სექტორში. ფონდი კერძო ინვესტორებს სთავაზობს თანადაფინასებას და თანამონაწილეობას.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დამოკიდებულება ეკოტურიზმის განვითარების მიმართ განსხვავებულია. ზოგიერთ ქვეყანას კონკრეტულად ეკოტურიზმის განვითარების ეროვნული სტრატეგია გააჩნია, ზოგიერთს კი იგი ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ძირითად სეგმენტად აქვს მიჩნეული (კამბოჯა, ჰაიტი, მოლდოვა, ყაზახეთი, ურუგვაი, ეკვადორი, შვედეთი). პორტუგალიაში იგი ბუნებრივი ტურიზმის სტრატეგიის ნაწილია, მაროკოშ კი სოფლის ტურიზმის სტრატეგიის. [7]

საქართველოში ეკოტურიზმის სტრატეგია დაცული ტერიტორიების მენეჯმენტით დაკავებული ხალხის მიერ განისაზღვრება.

რაც შეეხება საკანონმდებლო რეგულირებას, ზოგიერთ ქვეყანას მიღებული აქვს კონკრეტული კანონებული ეკოტურიზმთან დაკავშირებით (ეკვადორი, პუერტო რიკო, ფილიპინები). ზოგიერთ ქვეყანას კი ეკოტურიზმი უბრალოდ მოხსენიებული აქვს კანონმდებლობაში. კავკასიის რეგიონში ეკოტურიზმთან დაკავშირებით შემუშავდა ტრანსსასაზღვრო დოკუმენტი, რომელიც ამჟამად საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მოლაპარაკების საგანს წარმოადგენს.

სამთავრობო დონეზე ეკოტურიზმი რამდენიმე სამინისტროს აერთიანებს: გარემოს დაცვის და ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, შრომისა და სოციალური დაცვის, განათლების სამინისტროებს. ეკოტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია მოხდეს მათი ჰორიზონტალური ინტეგრაცია. [7]

საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ არსებული ბევრი პრობლემის მიუხედავად დაიწყო გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავება, რამაც ასახვა ჰპოვა კანონში „გარემოს დაცვის შესახებ“. ამ კანონის მთავარ პრინციპებს წარმოადგენს:

1. რისკის შემცირების პრინციპი;
2. მდგრადობის პრინციპი;
3. პრიორიტეტულობის პრინციპი;
4. ფასიანი ბუნებათსარგებლობის პრინციპი;
5. პრინციპი-დამბინძურებელი იხდის;
6. ნარჩენების მინიმალიზაციის პრინციპი;
7. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის პრინციპი;[19]

ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტში მუშავდება საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ეყრდნობა ტურიზმის მდგრადი განვითარების მსოფლიოში აღიარებულ პრინციპებს და აშკარა უპირატესობას ანიჭებს ბაზრის მოთხოვნის სტიმულირებას. მასში გამოკვეთილია ტურიზმის პრიორიტეტულობის შემდეგი კრიტერიუმები:

- ტურიზმის ექსპორტაბელურობის მაღალი დონე და აქედან გამომდინარე, ქვეყნის შემოსავლების ზრდაში მისი დიდი პოტენციალი;
- მოსახლეობის მასშტაბური დასაქმების შესაძლებლობა;
- რეგიონალური ეკონომიკური განვითარების დონის გათანაბრების რეზერვების არსებობა (ამის შესაძლებლობას იძლევა ტურისტული პოტენციალის ბუნებრივ გეოგრაფიული განლაგება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე);
- ეკონომიკის სხვა დარგების (ტურიზმის მომიჯნავე დარგების: ტრანსპორტი და კომუნიკაციის საშუალებები, დაზღვევა და საბანკო საქმიანობა, აგრარული სექტორი, კვების მრეწველობა, მშენებლობა) განვითარების მაღალი სტიმულირება ტურიზმის მაღალი მულტიპლიკატორულ-აქსელერატორული ეფექტით.
- ტურიზმის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებად მიჩნეულია: შემომყვანის ტურიზმის ხელშეწყობა და სტიმულირება; შიდა ტურიზმის განვითარება; საკონფერენციო ტურიზმის განვითარება;
- ტურისტული და ზოგადი ინფრასტრუქტურის განვითარება; კომპეტენტური კადრების მომზადება და გადამზადება; დარგის სახელმწიფო რეგულირება;
- საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან მისი ჰარმონიზაცია. [12]

ასევე აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ ტურიზმთან დაკავშირებით სახელმწიფო და კერძო სექტორს საერთო ინტერესები აქვთ. კერძო სექტორი სახელმწიფოზეა დამოკიდებული იქიდან გამომდინარე, გამოდის, ის რომ, რის გაკეთებასაც მთავრობისგან მოელიან ტურიზმის კომპანიები, მათ მიერ გადახდილი გადასახადებისგან შემოსული თანხებით უნდა დაფინანსდეს. ამიტომაც სწორედ მთავრობის ინტერესებშია ისეთი პირობებისა და ბიზნეს-

გარემოს შექმნა, რომელშიც კერძო ბიზნესს სერიოზული მოგების მოტანა შეუძლია. ძალიან ხშირად მოკლევადიან სარგებელს გრძელვადიანი ინტერესები ეწირება.

1995-1999 წლებში საქართველოს პარლამენტის მიერ გარემოსდაცვითი მიმართულებით მიღბული იქნა 22 საკანონმდებლო აქტი, რომელთაგანაც განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, „ცხოველთა სამყაროს შესახებ“, კანონი „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის შესახებ“, საქართველოს ტყის კოდექსი და საქართველოს წყლის კოდექსი.

საქართველოში ტურიზმის სფეროს შემდეგი კანონები არეგულირებს:

1. საქართველოს კანონი “ტურიზმისა და კურორტების შესახებ“;

2. საქართველოს კანონი “კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ”;

3. ტურიზმის ქარტია.[2]

მსოფლიოში აღიარებულია თითოეული ადამიანის დასვენების, თავისუფალი დროის გამოყენებისა და სამუშაო დღის გონივრული შეზღუდვის უფლება, 6 პერიოდული ხელფასიანი შვებულების ჩათვლით, აქედან გამომდინარე, ქარტიის მონაწილე თითოეული სახელწიფო, მათ შორის საქართველოც მოვალეა:

- იზრუნოს როგორც შიდასაქვეყნო, ისე საერთაშორისო ტურიზმის მოწესრიგებული და ჰარმონიული განვითარებისათვის;
- შეუფარდოს ტურიზმის პოლიტიკა საერთო განვითარების პოლიტიკას, რომელიც ხორციელდება ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე; გააფართოვოს თანამშრომლობა ტურიზმის სფეროში როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ საფუძველზე და ამ მიზნით გამოიყენოს საერთაშორისო ტურიზმის ორგანიზაციის შესაძლებლობებიც;

[2] https://matsne.gov.ge/ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

- განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ახალგაზრდული, ხანდაზმულთა და ფიზიკური ნაკლის მქონეთა ტურიზმის განვითარებას; სამუშაო და თავისუფალი დროის რეგულირებით, ხელფასიანი შვებულებების სისტემის გაუმჯობესებითა და ამ შვებულებათა დღეების მთელი წლის მანძილზე თანაზომიერი განაწილებით ხელი შეუწყოს თითოეული ადამიანის ჩართვას შიდასაქვეყნო და საერთაშორისო ტურიზმში;
- ტურიზმის სფეროში ეროვნული პოლიტიკისა და გეგმების შემუშავებისას (სადაც მიზანშეწონილია) გაითვალისწინოს "მსოფლიო ტურიზმის შესახებ" მანილის დეკლარაციის პრინციპები და აკაპულკოს დოკუმენტი;
- დაიცვას დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის ტურისტული გარემო, რომელიც კაცობრიობის კუთვნილებაა;
- ხელი შეუწყოს ტურისტული შეგნების ამაღლებას და დამთვალიერებელთა კონტაქტებს ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთგაგების გაღრმავებისა და ზნეობრივი ურთიერთგამდიდრების მიზნით;
- ხელი შეუწყოს ტურისტებს მოიძიონ საზოგადოებრივი მონაპოვრები მოგზაურობის ადგილებში და გაითვალისწინონ მოგზაურობათა შეზღუდვების გამუდმებული შემცირების ტენდენცია;
- უზრუნველყოს დამთვალიერებლების და მათი ქონების უსაფრთხოება;
- შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს ტურისტები საუკეთესო ჰიგიენური პირობებით და სამედიცინო მომსახურებით, დაიცვას ისინი ინფექციური დაავადებებისა და უბედური შემთხვევებისაგან;
- აღკვეთოს პროსტიტუციის მიზნით ტურიზმის გამოყენების ყოველგვარი შესაძლებლობა;
- ტურისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დაცვის მიზნით გააძლიეროს ღონისძიებანი ნარკოტიკების არალეგალური გამოყენების თავიდან ასაცილებლად;
- ტურისტებს მიეცეს ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების საშუალება ისე, რომ არ დაირღვეს ცალკეული რაიონების მიმართ ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით წაყენებული შეზღუდვები;
- არ დაუშვას რაიმე დისკრიმინაციული ზომები ტურისტთა მიმართ;

- ტურისტებს მიეცეს საშუალება შეუფერხებლად დაუკავშირდნენ ადმინისტრაციულ, იურიდიულ სამსახურებს, საკონსულოთა წარმომადგენლებს და ისარგებლონ კავშირის ადგილობრივი თუ საგარეო საშუალებებით;
- ტრანზიტისა თუ დროებითი გაჩერების ადგილებში ხელი შუწყოს ტურისტთა ინფორმირებულობას მკვიდრი მოსახლეობის ადათწესების შესახებ.
- ტურიზმის ქარტია ასევე მოიცავს ტურისტის კოდექსს, რომელშიც განსაზღვრულია ტურისტთა უფლება–მოვალეობები; ტურისტები ვალდებულნი არიან:
- პატივი სცენ ტრანზიტისა და დროებითი გაჩერების ადგილებში არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ, მორალურ და რელიგიურ წყობილებას და დაემორჩილონ იქ მოქმედ კანონებსა და წესებს;
- გაგებით მოეკიდონ და პატივი სცენ ადგილობრივი მოსახლეობის ადათწესებს, რწმენას, ბუნებრივ და კულტურულ ფასეულობებს;
- თავი შეიკავონ მათსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის არსებული ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული სხვაობების ხაზგასმისაგან;
- განსაკუთრებული გულისყურით მოეკიდონ ადგილობრივი მოსახლეობის კულტურას, რომელიც კაცობრიობის საერთო მონაპოვარია;
- არ დაუშვან ნარკოტიკებით და აკრძალული პრეპარატებით ვაჭრობა და სხვა პირთა ექსპლუატაცია პროსტიტუციის მიზნით. [2]

აუცილებელია საქართველომ დაიცვას ტურისტების უფლებები, რომელიც ჩამოყალიბებულია ქარტიაში. ტურისტებს უფლება აქვთ:

- ისარგებლონ ადმინისტრაციული და საფინანსო კონტროლის შემსუბუქებით;
- ისარგებლონ ქვეყანაში არსებული შესაძლებლობის ფარგლებში საუკეთესო მომსახურებით;
- თავისუფლად გადაადგილდებოდნენ როგორც საკუთარი ქვეყნის, ასევე მის ფარგლებს გარეთ დადგენილი წესებისა და შეზღუდვების დაცვით;
- მიიღონ ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია მათთვის შეთავაზებული მოგზაურობის პირობების შესახებ;

- უზრუნველყოფილნი იყვნენ პირადი ხელშეუხებლობისა და საკუთარ ქონების უსაფრთხოების გარანტიით;
- ისარგებლონ შესაბამისი საზოგადოებრივი ჰიგიენით, ინფორმაციით ინფექციურ დაავადებათა და უბედურ შემთხვევათა თავიდან აცილების მიზნით გატარებულ ღონისძიებათა შესახებ, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის სამსახურთან შეუფერხებელი დაკავშირების შესაძლებლობით;
- სწრაფად და ეფექტურად დაამყარონ კავშირი ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ;
- უზრუნველყოფილნი იყვნენ მათი უფლებების დასაცავად აუცილებელი ადმინისტრაციული და იურიდიული პროცედურებით და გარანტიებით;
- უზრუნველყოფილნი იქნან საკუთარი რელიგიური აღმსარებლობის შესაძლებლობით და ამ მიზნისათვის აუცილებელი შესაბამისი პირობებით. [3]

ერთ-ერთი უმთავრესი საფუძვლების შექმნას. დაცული ტერიტორიები საქართველოში იქმნება უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის – უნიკალური, იშვიათი და დამახასიათებელი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად, მათი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული და ბუნებრივი რესურსების დამზოგავი მეურნეობის განვითარების მიზნით გამოყენების უზრუნველსაყოფად.

2.2. ეკოტურიზმის როლი დანიშნულების ადგილის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში

ეკოტურიზმი მსოფლიო ინდუსტრიის ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადი დარგია. ყოველწლიურად დაახლოებით 30%-ით იზრდება ეკოტურისტების რაოდენობა. ეკოტურიზმის განვითარების ტენდენცია დადგენილია გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) მიერ. მათი პროგნოზით ეკოტურიზმი შედის 2020 წლამდე ტურიზმის სფეროს განვითარების 5 ძირითად სტრატეგიულ მიმართუკებათა რიცხვში.

როგორც პრაქტიკა ცხადყოფს ბიოლოგიური რესურსების ეკოტურისტულ ობიექტებად გამოყენება უფრო ადვილია, ვიდრე მათი უტილიტარული გამოყენება. ამდოსელის (კენია) პარკში ერთ ლომს მოაქს 27000 დოლარზე მეტი შემოსავალი, ხოლო სპილოების ჯოგს 61000 დოლარზე მეტი. მთლიანობაში ეს თანხა აღემატება იმ თანხას, რომელიც მათი ტყავისაგან ან ეშვებისაგან შეიძლება იქნას მიღებული. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ამართლებს ეკოტურისტული ატრაქციების დაცვასა და შენარჩუნებაზე გაწეულ ხარჯებს. [7]

აუცილებელია დავაკონკრეტოთ ეკოტურიზმის პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების თავისებურებები რეგიონის ეკონომიკის განვითარებაზე.

პირდაპირი ზემოქმედება ადგილობრივ ეკონომიკაზე გულისხმობს, რომ ეკოტურისტების მიერ გაწეული ხარჯები აყალიბებენ ამ სფეროს შემოსავლებს, ხოლო ირიბი ზემოქმედება გულისხმობს, რომ ეკოლოგიური პირდაპირი ზემოქმედება წარმოშობს მოთხოვნის ზრდას იმ დარგებში, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ეკოტურიზმთან.

ეკოტურიზმს შეუძლია ქვეყანაში მნიშვნელოვანი რესურსების შემოდინება უზრუნველყოს და დაეხმაროს ქვეყნის ეკონომიკას განვითარებაში. საქართველოში დაცული ტერიტორიების მიმდებარედ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მიღებულმა შემოსავალმა 2018 წლის განმავლობაში 6 435 774 ლარი, რაც 2017 წლის მონაცემებთან შედაბით 12%-ით არის გაზრდილი. 2018 წლის განმავლობაში 2017 წლის მონაცემებთან შედარებით დაცული ტერიტორიების

მიმდებარედ საოჯახო სასტუმროების რაოდენობა გაზრდილია 37%-ით, მაღაზიების რაოდენობა 20%-ით, კვების ობიექტების რაოდენობა 16%-ით. [10]

ჩვენი ქვეყნსი ტურიზმის პოლიტიკის ერთ-ერთი ნაკლი არის ის, რომ საბოლოოდ არ არის ჩამოყალიბებული აზრი იმის შესახებ თუ ქვეყანა და მისი ცალკე რეგიონები რა ტიპის ტურისტული მომსახურების ჩამოყალიბებას აპირებენ, ანუ რა უნდა იყოს მათი ძირითადი სპეციალიზაცია. გადრამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის ყველაზე სწორი იქნებოდა მომგებიანი სახეობების განვითარება, რამაც ასახვა უნდა ჰპოვოს საქართველოს ტურისტულ ბაზარზეც. ამ შემთხვევაში კი მნიშვნელობა ყველაზე მეტად ენიჭება პასიურიდან აქტიურ ტურიზმზე ორიენტაციის გადატანას, მოთხოვნს ინდივიდუალიზაციას, მომხმარებელთა აზროვნების ეკოლოგიზაციას, ინდივიდუალიზმის წინა პლანზე წამოწევას, აქტიურ მუშაობას ბაზრის სეგმენტაციასა და დივერსიფიკაციაზე. (მიქაშავიძე... 2012:35)

ეკოტურიზმის განვითარების ირიბი ზემოქმედება რეგიონულო და მუნიციპალურ დონეზე ხშირად არ არის შეფასებადი. ისინი შეიძლება გამოხატული იქნენ შემდეგი სახით: ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ინვესტიციების შემოდინება, ეკოლოგიური განათლება, მოსახლეობის კულტურის დონის ამაღლება, ინფრაქტრუქტურული ქსელის განვითარება, „ჩარომჩენილი“ რეგიონების განვითარება, ეკოტექნოლოგიების დანერგვა, კულტურათაშორისი ურთიერთობების განვითარება.

ეკოტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი უპირატესობა ბუნების დაცვის ასპექტებს ენიჭება, განსაკუთრებული ყურადღება კი ამ შემთხვევაში დაცულ ტერიტორიებზეა გადატანილი, რადგან ეს უკენასნელი უდიდეს როლს თამაშობს პლანეტის ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნებაში.

მაგალითადი განვითარებადი ქვეყნების გარკვეულ ნაწილში ეკოტურიზმი ბუნებრივი რესურსების გამოყენების არარაციონალური დარგების ალტერნატივას წარმოადგენს, ესენია: ხე-ტყის მასალის დამზადება, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, ბრაკონიერობა და ასე შემდეგ. ამ დარგებს თავდაპირველად რათქმაუნდა მოაქვთ დიდი მოგება, თუმცა მათი მასშტაბის ზრდასთან ერთად უარყოფითი ზემოქმედების მასშტაბების იზრდება.

არარაციონალურ ბუნებათსარგებლობას მივყავართ რეკრეაციული პოტენციალის განადგურებამდე. ამის ნათელი მაგალითია ჭიათურა, რომელიც ეკოლოგიური კატასტროფის ზღვარზე იმყოფება. უამრავი ასოციაცია გამოთქვავს აზრს, რომ ამ ადგილის გაუდაბნოების პროცესი შეუქცევადად მიმდინარეობს. ჭიათურაში ჰაერის დაბინძურების ხარისხი დასაშვებ ნორმებს მრავალჯერ აღემატება, მანგანუმის უწყვეტი რეჟიმით მოპოვების გამო იჩეხება უდიდესი ტყის მასივი,წაბლის და სხვა მერქნიანი მცენარეების, დაბინძურებულია წყალი, რომელშიც მანგანუმის, რკინის, ნიკელის და სხვადასხვა ნიტრატების დასაშვებზე გაცილებით მაღალი კონცენტრაციაა. ეკოსისტემის ასეთი ტემპით განადგურებას თან ახლავს ბალახისმჭამელთა გადაშენება, რომლებიც მტაცებლების საზრდოს წარმოადგენენ, შედეგად ყოველწლიურად უამრავი ფაქტი ფიქსირდება ადგილობრივ სოფლებში მტაცებლების შემოსვლის და ადგილობრივებისთვის საფრთხის შექმენის. ჭიათურის გარდა მწვავე ეკოლოგიური პრობლემების წინაშე დგანან სხვა მადანმომპოვებელი ქალაქებიც, ზესტაფონი, თერჯოლა, ტყიბული სადაც მადნის მოპოვება მიმდინარეობს ყოველგვარი ეკოლოგიური და არამარტო ეკოლოგიური ნორმების დაცვის გარეშე. ჭიათურის ეკოლოგიური მდგომარეობა მძიმეა, ეს კი იმის ფონზე, როდესაც წლის განმავლობაში უამრავი ადგილობრივი თუ უცხოელი ტურისტი სტუმრობს ჭიათურის სავიზიტო ბარათს, კაცხის სვეტს. [17]

საზღვარგარეთს ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეკოტურიზმს აქვს განსხვავებული შედეგები ადგილობრივ, რეგიონურ და ეროვნულ დონეზე, სასარგებლოდან-დამანგრეველ შედეგამდე. ყველა ამ დონეზე ეკოტურიზმის ეკოლოგიური, ეკონომიკური და სიციალური შედეგები შეიძლება განსხვავებულ იყოს, ქვეყნის რეგიონების ეკონომიკის, კულტურის თავისაბურებიდან გამომდინარე.

მიუხედავად იმისა რომ, ეკოტურიზმი ქვეყნისათვის დამატებით შემოსავალს ქმნის, მასზე მთლიანად დამოკიდებულება მაინც სარისკოა, რადგან ეკოტურიზმზე ისევე როგორც ტურიზმის სხვა დარგებზე გავლენას ახდენენ ისეთი შიდა ფაქტორები, რომლებიც არ ექვემდებარებიან კონტროლს. მაგალითად: არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა, ვალუტის კურსის არასტაბილურობა, ბუნებრივი კატაკლიზმები. კიდევ ერთი პრობლემა, სეზონურობაა. აღსანინავია ის ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა რომ ეკოტურიზმს შემოაქვს ქვეყანაში უცხოური

ვალუტა, მისი ძირითადი ნაწილი განვითარებადი ქვეყნიდან მაინც განვითარებულ ქვეყანაში გაედინება, რადგან ტურიზმი მოიხმარს დიდი რაოდენობთ უცხოურ საქონელს. რაც უფრო ნაკლების ქვეყნის გაანალიზებული ტერიტორიის სიდიდე და რაც უფრო დაბალია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, მით უფრო დიდია ქვეყანაში შემოსული ფინანსების გადინება.

ეკოტურისტული საქმიანობა სტიმულს აძლევს სხვა სფეროებს, მაგალითად: სოფლის მეურნეობას, მსუბუქ მრეწველობას, ტრანსპორტს, სამშენებლო მასალების წარმოებას და ა.შ.. ეკოტურიზმიდან შემოსული შემოსავალი გვაძლევს შესაძლებლობას ეფექტიანად გამოვიყენოთ რესურსები და დავნერდოთ თანამედროვე ეკოტექნოლოგიები, გამოვიყენოთ „მწვანე“ საწვავი, პოლიეთილენის პროდუქცია ჩავანაცვლოთ ბიოდეგრადირებადი პროდუქციით, ავამაღლოთ ადამიანთა ცნობიერება ეკოტუტურიზმის მდგრადი განვითარების მიმართულებით და სხვა. [15]

2.3. ეკოტურიზმით დაინტერესებული ვიზიტორების დინამიკა საქართველოში

თვალწარმტაცი ბუნება, მრავალფეროვანი ლანდშაფტი, კავკასიონის ქედი, შავი ზღვის სუბტროპიკული ზონა, მდინარეები და ჩანჩქერები, კლდეში ნაკვეთი ქალაქები, კურორტები და მინერალური წყლები, ისტორიული ძეგლები, ქალაქები და დასახლებები, ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობა და განთქმული ქართული სამზარეულო - ქმნის საქართველოს ტურისტულ ქვეყნად.

საქართველოს, როგორც ტურიზმისათვის საუკეთესო დანიშნულების ქვეყანას ბევრი რამის შეთავაზება შეუძლია მნახველთათვის. საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს მონაცემებით დღითიდღე იზრდება დაინტერესება დაცული ტერიტორიების მიმართ, როგორც უცხოელი ასევე ადგილობრივი ტურისტების მხრიდან. 2018 წელს დაცული ტერიტორიების მომნახულებელთან რიცხვა 2017 წელს 16%-ით გადააჭარბა. ვიზიტორთა სტატისტიკა დაცულ ტერიტორიებზე 2007 წლიდან 2018 წლამდე იხილეთ დიაგრამაზე:



[3]

[3] წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო - http://apa.gov.ge

აღნიშნული მონაცემებიდან ნათლად ჩანს რომ საქართველოს ეკოტურისტული პოტენციალი სწრაფი ტემპით იზრდება და მოსალოდნელია მისი მაღალ დონეზე განვითარება, მაგრამ აუცილებელია აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნებული იქნას და კარგად შედგენილი გეგმის ფარგლებში წარიმართოს, რათა ზიანი არ მიადგეს ქვეყნის ბიომრავალფეროვნებას.

სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში ეკოტურისტების რიცხვში, პროცენტულად ჭარბობს ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა. ცნობილია რომ 2018 წელს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორების 52 % შეადგენდნენ საქართველოს მოქალაქეები, ხოლო 48 % უცხოელი ვიზიტორები. ეს მონაცემები გვაჩვენებს რომ დაცული ტერიტორიები ადგილობრივი ვიზიტორებისთვის დაახლოებით ისეთივე მიმზიდველი და საინტერესოა, როგორც უცხოელი ვიზიტორებისათვის. 2012 წელს ადგილობრივების პროცენტული მაჩვენებელი 82%-ს აღწევდა, უცხოელების კი 18%-ს. გასულ წლებთან შედარებით აქტიური მარკეტინგის და უცხოელების ინფორმაციულობის დონის მატების პარალელურად მათმა რაოდენობამ იმატა.



[4]

ეკოტურიზმით დაინტერესებული უცხო ქვეყნის ვიზიტორებიდან საქართველოს ყველაზე ხშირად სტუმრობენ: პოლონეთი, გერმანია, ისრაელი, უკრაინა და დასავლეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რუსეთი. ვიზიტორთა რაოდენობა გერმანიიდან გაზრდილია 2-ჯერ, უკრაინიდან 36%-ით, ისრაელიდან 25%-ით, პოლონეთიდან 355-ით, რუსეთიდან 20-ით. რუსეთთან შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო და რუსეთის მიერ საქართველოში ფრენების შეჩერების გამო 2019 წლის პროცენტულ მაჩვენებლებში ცვლილებები იქნება მოსალოდნელი, თუმცა საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ეკონომიკის სამინისტროს დახმარებით წამოიწყო აქტიური კამპანია ალტერნატიული საბაზრო სეგმენტების მოსაძიებლად, რათა კვლავ დაფიქსირდეს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდა. ამ ქვეყნის ვიზიტორების სტატისტიკა 2018 წელს მოცემულია დიაგრამაზე.

[4] წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო - http://apa.gov.ge



[5]

უნდა აღნიშნოს საქართველოში ამ ტიპის სერვისი დამოუკიდებლად იშვიათად იყიდება. ეკოტურიზმის ეს პროდუქტი ძირითადად კულტურულ ტურებთან არის ტურ-ოპერატორების მიერ კომბინირებული. თვალსაჩინოებისთვის მაგ: კულტურული ტური მოიცავს ქუთაისის მონახულებას - ბაგრატი, გელათი, ქალაქის ექსკურსია და სხვა კულტურული ძეგლების მონახულება - პარარელურად ტურში გათვალისწინებულია სათაფლიის ეროვნული ნაკრძალის მონახულება. ან მეორე მაგალითი - კულტურული ტურის ფარგლებში სამცხე ჯავახეთის ტერიტორიაზე, სადაც ტურისტები მოინახულებენ კულტურულ ძეგლებს, მათ ასევე ეძლევათ საშუალება მოინახულონ ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკი. მსგავსი მაგალითები უამრავია. ამგვარად, რეგიონების მიხედვით კულტურულ ძეგლებთან ერთად შესაძლებელია იმ კუთხის დაცული ტერიტორიების მონახულებაც.

საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს სტატისტიკური მონაცემების დახმარებით გიჩვენებთ დიაგრამას სადაც ნაჩვენებია ვიზიტორთა მიერ ყველაზე ხშირად მონახულებადი ეკოტურისტული ობიექტები.

[5] წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო - http://apa.gov.ge



[6]

ამ დიაგრამაზე მოცემულია ვიზიტორთა სტატისტიკა დაცული ტერიტორიების მიხედვით 2018 წელს. როგორც ვხედავთ ყველაზე ხშირად მონახულებადი ტერიტორია პრომეთეს მღვიმეა.

რაც შეეხება ეკოტურიზმიდან მიღებულ შემოსავლების სტატისტიკას



[6] წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო - http://apa.gov.ge

2.4 საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია

ჩვენი სახელმწიფოსთვის ტურიზმის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რადგან ეს სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ აღმავლობას. ტურიზმის სფერო აერთიანებს მრავალ სხვადახვა დარგს, ამიტომ მისი განვითარებისთვის გადამწყვეტია მჭიდრო უწყებათაშორისი კოორდინაცია. ასევე, თანამშრომლობა კერძო და არასამთავრობო სექტორებთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, ტურიზმის სტრატეგიის შემუშავება მკაფიოდ წარმოაჩენს სფეროს წინაშე არსებულ გამოწვევებს და განსაზღვრავს იმ ძირითად მიმართულებებს, რომლებიც საფუძვლად დაედება ქვეყანაში ამ მნიშვნელოვანი სექტორის განვითარებას

სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, ქვეყნის პოპულარიზაცია უნიკალური ტურისტული მიმართულების მხრივ, ვიზიტორთა გამოცდილების გაუმჯობესება.

საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაცია აქტიურ მარკეტინგულ კამპანიას ახორციელებს სხვადასხვა ქვეყნებში, მაგალითად ივლისის თვეში დაგეგმილია 200-მდე უცხოური მედიის წარმომადგენლის ჩამოყვანა საქართველოში, მონაწილეობა მიიღო საქართველომ დუბაის და პეკინის მსოფლიო ტურისტულ გამოფენაში, საიმიჯო რგოლები კეთდება ისეთი წარმატებული ტელევიზიის მიერ როგორიცაა BLOOMBERG, ქართული სამზარეულოს შესახებ დოკუმენტური ფილმი მზადდება მსოფლიოს საერთაშორისო ქსელის “COOK CORNER”-ის მიერ, საიმიჯო რგოლები ტრიალებს CNN-ზე, BBC-სა და Euronews-ზე. საქართველო MICE ტურიზმის მხრივ ჟურნალმა MICE REVIEW-მ საქართველო რეგიონის ლიდერად დაასახელა. [24]

იმისთვის, რომ ქვეყნის ტურისტული კონკურენტუნარიანობა გაიზარდოს, აქტიურად უნდა ვითარდებოდეს ინფრასტრუქტურა. ამჟამად მიმდინარეობა მუშაობა ათ წლიან სტრატეგია - „ხედვა 2025“ -ზე. სტრატეგია შემუშავდა მთავრობასა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის მეშვეობით, დარგის მდგრადი მომგებიანობის და ზრდის უზრუნველსაყოფად და სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობების მაქსიმალურად გასაზრდელად. „ხედვა 2025“ კი შემდეგია: „2025 წლისთვის საქართველო კარგად იქნება ცნობილი როგორც პრემიერ კლასის,

ყველა სეზონის, მაღალი ხარისხის ტურისტული დანიშნულების ადგილი, გამორჩეული თავისი უნიკალური კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობით, მსოფლიო კლასის სერვისით და სტუმარ–მასპინძლობის უკვდავი ტრადიციით. ინფრასტრუქტურაში განხორციელებული სტრატეგიული ინვესტიციების, განათლების, მარკეტინგის და უნიკალური ქართული შთაბეჭდილებების შეთავაზების გზით საქართველო ტურიზმის დარგში კონკურენტუნარიანი ქვეყნების პირველ რიგებში იქნება და მსოფლიოს მასშტაბით ტურისტების ყველაზე მაღალი ხარჯვითი პოტენციალის მქონე სეგმენტს მოიზიდავს. ვიზიტორების მიერ დახარჯული თანხების ზრდის შედეგად ტურიზმის წვლილი საქართველოს ეკონომიკის ზრდასა და განვითარებაში მნიშვნელოვნად ამაღლდება. აქცენტი გაკეთდება ჩამოსული ვიზიტორების ხარისხსა და მრავალფეროვნებაზე და არა მათ რაოდენობაზე. [24]

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და ზოგადად საქართველოს მთავრობა დაინტერესებულია ტურისტულ ინფრასტრუქტურაში საინვესტიციო შესაძლებლობების გაფართოებით. ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს სამი ტურისტული ზონა: ქობულეთში, ანაკლიასა და განმუხურში. აღნიშნული ზონები სასტუმროს ბიზნესში ინვესტირებით დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მთელ რიგ შეღავათებს, თავისუფალ ტურისტულ ზონებში მოქმედებს შემდეგი საშეღავათო პირობები: ინვესტორი თავისუფლდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ქონების გადასახადისა და მოგების გადასახადის ვალდებულებისაგან 15 წლის ვადით კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ინვესტორი ასევე თავისუფლდება მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან. ინვესტორს შესაბამისი ფართობის მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადაეცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სიმბოლურ ფასად – 1 ლარად. გარდა ამისა საქართველოს საპარტნიორო ფონდთან თანამშრომლობით შესაძლებელია ინვესტიციების განხორციელება ტურისტულ სექტორში. ფონდი კერძო ინვესტორებს სთავაზობს თანადაფინასებას და თანამონაწილეობას. [3]

ეკოტურიზმის განვითარება ქვეყანაში არ წარმოადგენს ერთი რომელიმე კერძო პირის სარგებლის გაზრდას. სწორი დაგეგმარებისა შემთხვევაში ტურიზმის ეს დარგი ეხმარება დაცულ ტერიტორიებზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას ცხოვრების წესის

გაუმჯობესებაში. ამიტომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ დარგის ხელშეწყობა და იზრუნოს მის განვითარებაზე.

ეკოტურიზმის განვითარებისათვის მანამდეც და ახლაც ბევრი ქვეყანა ატარებს სპეციალურ ღონისძიებებს, აყალიბებს მოქმედების ახალი გეგმების განავითარებას დარგებსშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობის თვალსაზრისით. ბევრმა ქვეყანამ შეიმუშავა ეკოტურიზმის განვითარების ეროვნული სტრატეგია.

ბუნებრივია, ეს სტრატეგიები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ზოგიერთმა ქვეყანამ (ჰაიტი, კამბოჯა, მოლდოვა, ყაზახეთი, ეკვადორი, შვედეთი, ურუგვაი) ეკოტურიზმი ძირითად სეგმენტად წარმოაჩინა ტურიზმის ზოგად სტრატეგიაში; ზოგიერთმა (ლიტვა) _ ეკოტურიზმი ეკონომიკის განვითარების ეროვნულ სტრატეგიაში ჩართო. პორტუგალიაში ის ბუნებრივი ტურიზმის სტრატეგიის ნაწილია, მაროკოში კი სოფლის ტურიზმის სტრატეგიისა. ზოგიერთ ქვეყანაში (ესპანეთი, საქართველო, არგენტინა) ეკოტურიზმის პოლიტიკა დაცული ტერიტორიების მენეჯმენტით დაკავებული ხალხის მიერ განისაზღვრება. [7]

ზოგიერთი ქვეყანა (სირია) «მწვანე ადგილებისათვის» უპირატესობის მინიჭებას, ან კიდევ ტურისტული ადგილებისათვის «მწვანე» პროგრამის შემუშავებას არჩევს. სხვა ქვეყნებს (ბანგლადეში, ეგვიპტე, იამაიკა, ომანი), მართალია ერთიანი ეროვნული გეგმა არა აქვთ, მაგრამ იყენებენ ეკოტურიზმის რეგიონალურ ან ადგილობრივ სტრატეგიებს ან პროგრამებს. არის ისეთი ქვეყნებიც (მადაგასკარი, ლიბანი და პანამა), სადაც არ არსებობს ეკოტურიზმის სტრატეგია, მაგრამ ახლო მომავალში აპირებენ ამგვარი სტრატეგიის პროექტის შექმნას.

ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა მაგალითად ბოლივია, რუსეთი და ჰონ-კონგი, შემუშავებულია ტურიზმის მდგრადი განვითარების ზოგადი სტრატეგია, რომელიც მოიცავს ეკოტურიზმის საკითხებსაც გაეროს პროგრამაში გაერთიანებული ქვეყნების დაახლოებით 20% მაინც წარმართავს ეკოტურიზმთან დაკავშირებული გლობალური თვითშეგნების ამაღლების კამპანიას. [8]

რაც შეეხება საკანონმდებლო მხარეს, სულ რამდენიმე ქვეყანამ მიიღო სპეციალური კანონები ეკოტურიზმთან დაკავშირებით. სამმა ქვეყანამ (ეკვადორი, პუერტო რიკო და ფილიპინები)

ეკოტურიზმთან დაკავშირებით სპეციალური საკანონმდებლო აქტები შეიმუშავა. ზოგიერთმა ქვეყანამ (კოლუმბია, მექსიკა, კამბოჯა, ესპანეთი და ბანგლადეში) კი ეკოტურიზმის ცნება უბრალოდ მოიხსენიება კანონმდებლობაში. ამას გარდა, ქვეყნების 20%-მა განაცხადა, რომ ისინი გეგმავენ ამგვარი კანონმდებლობის შემუშავებას. უფრო მეტიც, კავკასიის რეგიონში ეკოტურიზმის საკითხებთან დაკავშირებით შემუშავდა ტრანსსასაზღვრო საკანონმდებლო დოკუმენტი, რომელიც ამჟამად საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მოლაპარაკების საგანს წარმოადგენს.

არის ისეთი ქვეყნები, რომლებსაც ეკოტურიზმზე სპეციფიკური კანონმდებლობა არ გააჩნიათ. ისინი თვლიან, რომ ეკოტურიზმის საკითხების რეგულირება სხვადასხვა აქტებითა და კანონებითაა შესაძლებელი. მაგალითად, გარემოს დაცვითი კანონები ან დადგენილება ეროვნულ პარკების შესახებ განსაზღვრავენ ტურიზმისა და ეკოტურიზმის განვითარებას და მენეჯმენტს.

ზოგიერთი ქვეყანას აქვს კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას, მიწის დაგეგმარებას და სპეციალურ კანონსაც კი ტურიზმის მდგრად განვითარებაზე (მაგალითად ჩეხეთისა და კორეის რესპუბლიკებში). ამ სახის კანონმდებლობა როგორც წესი განიხილავს ტურიზმის სხვა სახეობებს, რომლებიც შინაარსობრივად ახლოს დგანან ეკოტურიზმთან: აგროტურიზმი და სოფლის ტურიზმი (კვიპროსი, ურუგვაი, მაროკო), ბუნებრივი ტურიზმი (პორტუგალია) ან კიდევ სათავგადასავლო ტურიზმი (ჩილე). [7]

ზოგადად, ეკოტურიზმი შემდეგ ცნებებთან ასოცირდება: არქეოლოგია, მიწის გამოყენების დაგეგმარება, ნადირობა, არქიტექტურა, ბუნებრივი რესურსები, ტყე, წყალი, სოფლის მეურნეობა, კულტურული მემკვიდრეობა, ცოცხალი ბუნება და სანაპიროები. [1]

ეკოტურიზმი სამთავრობო დონეზე რამდენიმე სამინისტროს ინტერესებს აერთიანებს: გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, განათლების, ტრანსპორტის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროები. აშკარაა, რომ სამინისტროებს შორის აუცილებელია მოხდეს ჰორიზონტალური ინტეგრაცია ეკოტურიზმთან დაკავშირებით.

ასევე აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ ტურიზმთან დაკავშირებით სახელმწიფო და კერძო სექტორს საერთო ინტერესები აქვთ. კერძო სექტორი სახელმწიფოზეა დამოკიდებული იქიდან გამომდინარე, გამოდის, ის რომ, რის გაკეთებასაც მთავრობისგან მოელიან ტურიზმის კომპანიები, მათ მიერ გადახდილი გადასახადებისგან შემოსული თანხებით უნდა დაფინანსდეს. ამიტომაც სწორედ მთავრობის ინტერესებშია ისეთი პირობებისა და ბიზნეს-გარემოს შექმნა, რომელშიაც კერძო ბიზნესს სერიოზული მოგების მოტანა შეუძლია.

ძალიან ხშირად მოკლევადიან სარგებელს გრძელვადიანი ინტერესები ეწირება. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მაგალითზე, სადაც მოსახლეობა იძულებულია შეეგუოს გრძელვადიანი „ეკოციდს“ მოკლევადაში გადარჩენის მიზნით.ზოგიერთ ქვეყნის ტურისტულ ინდუსტრიაში აგროტურიზმის და ეკოტურიზმის ცნებები პრაქტიკულად იდენტურია. სხვა ქვეყნებში სოფლის და ეკოლოგიური ტურიზმი ტურისტული მომსახურების ერთ პაკეტშია გაერთიანებული (მაგალითად, იტალიაში ამ მიმართულებას “ბუნება და ჯანმრთელობა” ჰქვია. მეორეს მხრივ, ბევრ ქვეყანაში აგროტურისტული პროდუქტის პაკეტში “არაეკოლოგიური” ტიპის მომსახურებაც შედის (მაგალითად, ნადირობა, თევზაობა). საქართველოს აგროტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი რესურსები გააჩნია: სტუმართმოყვარეობის მდიდარი ტრადიციები, საინტერესო ტურისტული მარშრუტები, ადრეული და შუასაუკუნეების ისტორიული ძეგლები, ლამაზი ბუნება. [16]

თავი 3. ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების ძირითადი მიმართულებები და პრობლემატიკა საქართველოში

3.1. ეკოტურიზმის სფეროში არსებული პრობლემები საქართველოში

საქართველო ერთ–ერთი გამორჩეული ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც შედარებით მცირე ტერიტორიაზე წარმოდგენილია თითქმის ყველა კლიმატური ზონისათვის დამახასიათებელი ბუნება. სულ რამდენიმე საათსა ან თუნდაც წუთში შესაძლებელია ტურისტი უდაბნოდან მოხვდეს სუბტროპიკებში, ან ზღვაზე იცურაოს და შემდეგ სამთო–სათხილამურო სპორტით დაკავდეს. ბოლო წლებში საქართველოში დიდი ყურადღება ექცევა დაცული ტერიტორიების განვითარება/ათვისებას, თუმცა ამ მიმართულებითაც კიდევ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი ინფრასტრუქტურული განვითარების თვალსაზრისით.

ინფრასტრუქტურული პრობლემები შეიძლება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად ჩაითვალოს დღესდღეისობით საქართველოში. ეს პრობლემები გამოიხატება გზების, სასტუმროების, აეროპორტების და სხვ. ნაკლებობაში. ამ პრობლემების გადასაწყვეტად ძალიან დიდი სამუშაოებია შესასრულებელი და საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის ახალი გზების/ბილიკების დაგება აუცილებლად უნდა იყოს კარგად დაგეგმილი და შესწავლილი, საქართველოს დაცული ტერიტორიების სტატუსის მიხედვით არსებული რეგულაციების სრული დაცვით, რათა შემდგომ თავიდან იქნას აცილებული ხე-ტყის არასაჭირო ჭრა, ფლორასა და ფაუნაზე უხეში ზემოქმედება. [5]

დღეისათვის კვლავ პრობლემას წარმოადგენს ტურისტული დანიშნულების ადგილებამდე უსაფრთხოდ გადაადგილება. წელს კიდევ ერთი შემზარავი ფაქტი დაფიქსირდა საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ტერიტორიაზე, კერძოდ თუშეთში. ტელეკომპანია BBC-იმ ეს გზა 2013 წელს ყველაზე ექსტრემალური გზების სიაში შეიტანა. ამ გზის გავლას ყოველწლიურად უამრავი ადამიანი ეწირება, ეს მხოლოდ მაქსიმუმ 5 თვის განმავლობაში ხდება, რადგან ზვავსაშიშროების და დიდთოვლობის გამო წელიწადის სხვა დროს ეს გზა ჩაკეტილია.

რამოდენიმე წელის მიმდინარეობს საუბარი ალტერნატიული გზის გაყვანაზე პანკისის და ხადორის ხეობების გავლით თუშეთში გომეწრის ხეობაში შესვლაზე, თუმცა ფაქტია, რომ პანკისი-თუშეთის და ხევსურეთი-თუშეთის პროექტები ჩავარდა. თუშეთი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ეროვნული პარკია და მასთან წვდომის გაიოლება ტურიზმთან ერთად ადგილობრივების ყოფასაც წაადგებოდა. თუშეთის მომავალი არა მხოლოდ ტურიზმი, არამედ ტრადიციული სოფლის მეურნეობა, მეცხვარეობა, მომთაბარე მესაქონლეობაა. უზარმაზარი საძოვრებია აუთვისებელი იმ მიზეზით, რომ სამანქანო გზის არარსებობის გამო მეცხვარეები დაგროვილი დოვლათის კახეთამდე ჩამოტანას ვერ ახერხებენ. [21]

ამჟამად ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში ტურისტული ინფრასტრუქტურის დიდი დეფიციტია. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების დონით საქართველოს 133 ქვეყნიდან მხოლოდ 115 ადგილი უკავია. ბოლო პერიოდში ტურისტების მხრიდან მოთხოვნა იზრდება, რასაც ინფრასტრუქტურა შესაბამისად ვერ პასუხობს.

ტურიზმის განვითარება საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი უპირველესი გაცხადებული პრიორიტეტია და ეკონომიკისთვის მის უდიდეს სარგებელზე ბევრს საუბრობენ. თუმცა, სექტორი, რომელსაც უდიდესი შემოსავლების მოტანა შეუძლია, საკუთარი პოტენციური შესაძლებლობების მინიმალური დოზით არის ათვისებული და მისი გათვლა, მხოლოდ რაოდენობრივ ზრდაზე ხდება. ხოლო ექსპერტების აზრით ტურისტული ინფრასტრუქტურის ასე დაუგეგმავად მშენებლობა და მხოლოდ რაოდენობრივ ზრდაზე გათვლა შეცდომაა.

ბოლო წლებში საქართველოში დაცული ტერიტორიების განვითარება/ათვისებას, დიდი ყურადღება ექცევა თუმცა ამ მიმართულებით კიდევ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი ინფრასტრუქტურული განვითარების თვალსაზრისით. ტურისტებისათვის შესაძლებელი უნდა იყოს რაც შეიძლება მრავალფეროვანი დასვენების შეთავაზება – ტურისტული ლაშქრობები და ექსკურსიები როგორც ტრანსპორტით, ასევე ქვეითად, ველოსიპედებით, ცხენებით, სხვადასხვა სახის წყლის ტრანსპორტით (გასაბერი ნავები, ბაიდარები, კანოე, იალქნიანი იახტები და ა.შ.). ტურისტული მარშრუტები უნდა უზრუნველყოფილ იქნას სათანადო ინფრასტრუქტურით. ინფრასტრუქტურა სხვადასხვა სახისაა, პირველ რიგში ინფრასტრუქტურა გულისხმობს გზების

არსებობას, განთავსების საშუალებების არსებობას, აეროპორტების არსებობას, პირობების არსებობას დასვენებისთვის, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში სწრაფად აღმოჩენას, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის აუცილებელი პირობების არსებობას, ექსტრემალური კომუნიკაციების არსებობას. ასევე მთავარია, რომ ტურისტები უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს ნებისმიერ ადგილას სადაც იმყოფებიან. ტურისტული ინფრასტრუქტურა ასევე გულისხმობს ტურისტებისთვის საორიენტაციო საშუალებების მოწყობას, ანუ ტურისტებს უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება რომ უპრობლემოდ მიაღწიონ იმ ადგილებს რომლებიც მათ ესაჭიროებათ. ამისათვის საჭიროა საგზაო ნიშნების და საინფორმაციო ბანერების მრავლად არსებობა, რომლებიც ტურისტებს მიანიშნებენ მათთვის სასურველი ადგილების მდებარეობაზე და ა.შ. ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ასევე ტურისტული მარშრუტების მოწყობას, მომსახურების მაღალ კულტურას, გიდის ინსტიტუტის შექმნას, ტურისტული ოპერატორების არსებობას და სხვა სახის ღონისძიებებს გულისხმობს. [1]

საქართველოში ინფრასტრუქტურის პრობლემები როგორც აღვნიშნეთ მრავლად არის. საჭიროა გაგრძელდეს ტურისტულად მნიშვნელოვანი ობიექტების მანიშნებლების ქსელის დახვეწა, აღდგენა და შემდგომი განვითარება, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან გაგრძელდეს საინტერპრეტაციო-საორიენტაციო დაფების მოწყობა. (მსგავსი დაფები მოწყობილია რიგ ადგილებში, თუმცა მათი რაოდენობა საკმარისი არ არის). საჭიროა პოპულარული მარშუტების (საფეხმავალო, საცხენოსნო, ველო) მარკირება მარტივი სტანდარტიზირებული მანიშნებლებით. ამისთვის შესაძლებელია კონტრაქტორი სპეციალიზირებული ორგანიზაციების გამოყენება.

ტურისტებისათვის შესაძლებელი უნდა იყოს რაც შეიძლება მრავალფეროვანი დასვენების შეთავაზება – ტურისტული ლაშქრობები და ექსკურსიები როგორც ტრანსპორტით, ასევე ქვეითად, ველოსიპეტებით, ცხენებით, სხვადასხვა სახის წყლის ტრანსპორტით (გასაბერი ნავები, ბაიდარები, კანოე, იალქნიანი იახტები და ა.შ.). ტურისტული მარშრუტები უზრუნველყოფილ უნდა იქნას სათანადო ინფრასტრუქტურით (უსაფრთხოების საშუალებები (დამცავი, საორიენტაციო და სხვა), პირობები დასვენების, კვების, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, ექსტრემალური კომუნიკაციის და გადაუდებელი

სამედიცინო დახმარების საშუალებები და ა.შ.) ინფრასტუქტრული შეუსაბამობა ტურისტულ პოტენციალთან. ნებისმიერი ტურისტისათვის უმთავრესია დასვენების დროს საკუთარი მოლოდინების მაქსიმალურად დაკმაყოფილება. ეს მოლოდინები ძირითად შემდეგია: შეპირებულის თანმთხვევა მიღებულთან, სერვისების ხარისხი და შესაბამისობა ფასთან, საკუთარი სურვილების მაქსიმალური დაკმაყოფილების შესაძლებლობა (სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისათვის ცხადია ეს მოთხოვნილებები განსხვავებულია), დასვენება უნდა იყოს ისეთი საინტერესო (არასტანდარტული), რომ დარჩეს განუმეორებელ მოგონებად და დამოკიდებულება თითოეული კონკრეტული პიროვნებისადმი უნდა იყოს იმგვარი, როგორც განსაკუთრებული სტუმრისადმი. რამდენად შესწევს დღეს საქართველოს მასიურად დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნები?

მივყვეთ დეტალურად ანალიზს ტურისტის მოგზაურობის ყველა ეტაპზე.

მოგზაურობის დაგეგმვა – მსოფლიო მასშტაბით საქართველოს შესახებ ტურისტული ინფორმაცია გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა, როგორც ზოგადად, ასევე კონკრეტულ საერთაშორისო ტურისტულ სააგენტოებში. საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაცია საქართველოს სხვადასხვა კუთხის საიმიჯო რგოლებს აქტიურად აშუქებს სხვადასხვა ქვეყნის ტელე არხებზე. 2019 წელს რუსეთის მხრიდან შეჩერებული ფრენების გამო აქტიური კამპანია წამოიწყო სახელწოდებით „დაისვენე საქართველოში“, რომელიც არა მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, არამედ საქართველოს მოქალაქეებსაც მოუწოდებს დასვენების დრო საქართველოს ფარგლებში გაატარონ, რათა თანხა მაქსიმალურად იქნას აკუმულირებული ქვეყნის შიგნით. ავიაკომპანიებმა ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით ევროპის მიმართულებებზე პირდაპირი ფრენები დაამატეს.

მგზავრობა ქვეყნის შიგნით – მართალია ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გზების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საქართველოს ტურისტული თვალსაზრისით სრული მაშტაბით ასათვისებლად მაინც კიდევ დიდი მოცულობის სამუშაოების ჩატარებაა აუცილებელი. თანაც გზა მხოლოდ მანქანების გადაადგილებას არ გულისხმობს, აუცილებლად უნდა იყოს კარგად განვითარებული, სტანდარტების შესაბამისი გზის თანმდევი

ინფრასტრუქტურა (სასტუმროები, კემპინგები, დასასვენებელი არეები, სავაჭრო ქსელები, კვების და ჰიგიენის) ასევე პრობლემურია ტურისტების მომსახურებისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გაუმართავობა – ბოლო წლებში ტექნიკური დათვალიერების გაუქმების შედეგად, ქვეყნის სატრანპორტო ქსელში საკმაო რაოდენობით გამოჩნდა ტექნიკურად გაუმართავი და საფრთხის შემცველი ტრანსპორტი, რაც ტურისტული გადაზიდვების შემთხვევაში დიდ ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს. თავისთავად სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობა ანალიზის შემდეგი პუნქტის არეალშიც ხვდება; [5]

განთავსება – საქართველოში ყველა სხვა პრობლემასთან ერთად განთავსების საშუალებების არქონაც ერთ-ერთ დიდ პრობლემას წარმოადგენს. ეს გამოიხატება მათ არ არსებობაში, ან მცირე რაოდენობით არსებობაში. ასევე პრობლემებია ფასებთან მიმართებაშიც, ანუ ფასების შეუსაბამობა ხარისხთან, განსაკუთრებით სასტუმროებში. განთავსების საშუალებების არასათანადო დონე და რაოდენობა თავს იჩენს განსაკუთრებით რეგიონებში. უპირველეს ყოვლისა საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთ პილოტურ რეგიონებს, სადაც ვიზიტორთა ნაკადები არსებობს და მოთხოვნა ჭარბობს შეთავაზებას. ასეთია მაგ.: ხევსურეთი, თუშეთი, კახეთის ზოგიერთი რეგიონი, იმერეთი, აჭარა. საჭიროა სასტუმრო საოჯახო სახლების განვითარების ხელშეწყობა სერვისის სწავლებით, იაფი სესხით, ბიზნეს დაგეგმვის სწავლებით, ვიზიტორთა დატვირთვის ორგანიზებით და სხვ. [5]

ტურისტების პირადი მოთხოვნებიდან და სურვილებიდან გამომდინარე მათი განთავსება სრულიად განსხვავებულ პირობებში არის შესაძლებელი–დაწყებული ფეშენებელური მრავალვარსკვლავიანი სასტუმროებით და დამთავრებული კემპინგებით და კარვებით ან თუნდაც ოჯახებში. მთავარია ყველა ეს განთავსების ადგილი შეესაბამებოდეს გარკვეულ სტანდარტებს და მოქცეული იყოს ერთიან საინფორმაციო სისტემაში, რათა წინასწარ იყოს შესაძლებელი შერჩევა. ბოლო წლებში საქართველოში აღინიშნება გარკვეული წინსვლა განთავსების საშუალებების რაოდენობისა და ხარისხის ზრდის თვალსაზრისით, თუმცა ეს ნამდვილად არ იქნება საკმარისი ტურისტების მზარდი ნაკადის დასაკმაყოფილებლად, თანაც როგორც უკვე აღვნიშნეთ არა აქვს მნიშვნელობა საცხოვრებლის დონეს, მთავარია შეესაბამებოდეს გარკვეულ სტანდარტებს და წინასწარი (სარეკლამო) ინფორმაცია ემთხვეოდეს

არსებულ რეალობას. სამწუხაროდ დღეს საქართველოში ამის უზრუნველყოფა შეუძლებელია ხარისხის რეგულირების და ერთიანი საინფორმაციო სისტემის არ არსებობის გამო. თანამედროვე ეკოტურიზმი ავთენტურ გარემოში დასვენებას ეფუძნება, ამიტომ სოფლად, გლეხის კეთილმოწყობილ მარანში ვიზიტიც კი მათთვის სასიამოვნო გამოცდილებაა.

თანმხლები ინფრასტრუქტურა – ცხოვრების გარდა ტურისტისათვის მნიშვნელოვანია როგორც ბაზისური (კვება, უსაფრთხოება), ასევე დამატებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება (ინტერესების მიხედვით – აქტიური თუ პასიური დასვენება, გართობა, შოპინგი და ა.შ.), ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანმხლები ინფრასტრუქტურის მდგომარეობასაც. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც განთავსების საშუალებების განხილვისას, ვაწყდებით იგივე პრობლემებს – გარკვეული გამონაკლისების გარდა, საქართველოს ტერიტორიაზე არ არის საკმარისი რაოდენობით და ხარისხით წარმოდგენილი თანმხლები სერვისები. კვების ობიექტებსა და მაღაზიებში არანაირი გარანტიები არ არსებობს სურსათის უვნებლობისა, ტრანსპორტის მოძრაობის განრიგი თითქმის არასდროს არ არის დაცული, გზებზე აღინიშნება თანმხლები ინფრასტრუქტურის ასიმეტრიულობა, დაცულ ტერიტორიებზე საპიკნიკე ადგილების მოწყობა და ა.შ. ეს ის ელემენტარული საკითხებია, რაც მინიმალურ დანახარჯებს ითხოვს და კომფორტს უქმნის ტურისტებს, თუმცა არ არსებობის შემთხვევაში გაღიზიანების და უკმაყოფილების სერიოზული მიზეზი ხდება (ყოველდღიური დისკომფორტის ეს შესაძლო მცირე დეტალები საბოლოო ჯამში საერთო დიდი უკმაყოფილების სახით ილექება დამსვენებლის მეხსიერებაში).

უსაფრთხოება – თუმცა კრიმინალური თვალსაზრისით საქართველოში მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესებულია, ვიდრე თუნდაც ყველაზე ტურისტულად განვითარებულ ქვეყნებში, მაინც ბევრი რამაა კიდევ გასაუმჯობესებელი ტურისტების ფიზიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით. მაგ. იმ გზებზე, სადაც ხშირია ქვის ცვენა, მოსაწყობია დამცავი ბადეები, ტრასიდან გადავარდნის დამცავი ჯებირები, დაცული ტურისტული ბილიკები და ა.შ. ტურისტებთან მომუშავე სატრანსპორტო საშუალებებს უნდა ჰქონდეთ პირველადი დახმარების კიტები, ხოლო მომუშავე პერსონალი უნდა მომზადდეს გადაუდებელი, პირველადი არასამედიცინო დახმარების აღმოჩენაში.

მომსახურების ხარისხი – როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მომსახურების ხარისხს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი განსაზღვრავს – შესაბამისობა შეპირებულისა მიღებულთან და შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან და სერტიფიცირებით მინიჭებულ კატეგორიასთან. ამ შესაბამისობების ბაზისს წარმოადგენს ინფრასტრუქტურა (შენობა–ნაგებობები და აღჭურვილობა), მაღალკვალიფიციური მომსახურე პერსონალი და სერვისების მრავალფეროვნება. ინფრასტრუქტურა საქართველოში აშკარად არაა საკმარისი დიდი რაოდენობით ეკოტურისტების მიღებისათვის როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხის თვალსაზრისით. მომსახურე პერსონალი ძირითადად დაკომპლექტებულია არა პროფესიონალებისაგან და ხშირ შემთხვევაში თავის სამუშაოს არა მარტო არაკომპეტენტურად ასრულებს, არამედ კლიენტს უარყოფითად განაწყობს საკუთარი განწყობის გამო. **კომუნიკაციური ბარიერები** – ფაქტია, რომ გარდა რამდენიმე უკვე გამოცდილი ტურისტული ადგილისა, საქართველოს ნებისმიერ სხვა კუთხეში ჩამოსულ სტუმარს გაუჭირდება კომუნიკაცია ენობრივი ბარიერების არსებობის გამო. ალბათ ტურისტულ ბიზნესში კერძო სექტორის ჩართვისას ეს პრობლემაც უნდა იქნას გათვალისწინებული.[7]

სამწუხაროდ ყველა ამ პრობლემას ემატება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დაცულ ტერიტორიებზე სამართალდარღვევის ფაქტები. ძირითადად ეს სამართალდარღვევა მდგომარეობს შემდეგში: უკანონო ჭრა, უკანონო ნადირობა, უკანონო ძოვება, უკანონო თევაზაობა და სხვა სამართალდარღვევები.

აღნიშნული პრობლემები მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმისა რაც დღეისათვის საქართველოში, ზოგადად ტურიზმის ინდუსტრიაში არსებობს. იმისათვის რომ ეკოტურიზმი წარმატებული დარგი გახდეს საქართველოში უნდა მოხდეს მისი განვითარების წარმატებული გეგმის შემუშავება და შემდეგ მისი განხორციელება. დღეისათვის ეკოტურიზმში ამ მხრივ დიდი ძვრები შეინიშნება.

---

[7] საქართველოს ტურიზმისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოკლევადიანი და გრძელვადიანი განვითარება/ ლევან კობალაძე, თბილისი 2010.

3.2. საქართველოს ეკოტურისტულ მარშრუტებზე არსებული მდგომარეობა

მიუხედავად იმისა რომ ეკოტურიზმი დღეისათვის საქარათველოში ტურიზმის არც ისე განვითარებულ სახეობად ითვლება, აქტიურად მიმდინარეობს მისი განვითარებისთვის საჭირო პროგრამების შემუშავება და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა.

ცნობილია რომ საქართველოს ფართობის 9.55 % დაცულ ტერიტორიებს უჭირავს. ეს რიცხვი წინა წლებთან შედარებით 1%-ით გაიზარდა. 2017 წლის მონაცემებთან შედარებით საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობა 16%-ით გაიზარდა. 2018 წელს წინა წელთან შედარებით ეკოტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 87%-ით იმატა. [14]

მთავარია მოხდეს ამ ტერიტორიების შემდგომი დაგეგმარება და ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა, ისე რომ ტურისტებმაც მაქსიმალური სიამოვნება მიიღონ ბუნების ამ ულამაზესი ძეგლების ნახვისას და ეკოლოგიური გარემოც შეძლებისდაგვარად ხელუხლებელი და ჯანსაღი იყოს.

შესაბამისი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე 2007 წლიდან დღემდე შეიქმნა შემდეგი დაცული ტერიტორიები: მტირალას ეროვნული პარკი, ჯავახეთის დაცული ტერიტორიები, მაჭახელას ეროვნული პარკი, თბილისის ეროვნული პარკი, იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორია, ნეძვის აღკვეთილი.

2018 წელს საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტომ რიგი ცვლილებები განახორციელა დაცული ტერიტორიების განვითარებისათვის. ეს ცვლილებები შემდეგში მდგომარეობს:[8]

- აჯამეთის აღკვეთილში დაიწყო იმერული და ქართული მუხის აღდგენის პროექტი
- ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს ჯეირნის რეინტროდუქციის პროექტი
- გარემოსდაცვით საქმიანობებში ჩაერთო დაახლოებით 96 000 ადამიანი

[8] „დაცული ტერიტირიების სააგენტოს“ 2018 წლის ანგარიში

- საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო ევროპარკების ფედერაციაში გაერთიანდა
- UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად წარდგენილ იქნა კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები
- 12 დაცული ტერიტორიისთვის გაეროს განვითარების პროგრამამ და ლობალური განვითარების ფონდმა გრანტი გამოყო
- ნავენახევის მღვიმის, საწურბლიის მღვიმისა და ოკაცეს კანიონის ტერიტორიაზე აშენდა ვიზიტორთა ცენტრი და მოეწყო ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა. აშენდა ყაზბეგის და ალგეთის ვიზიტორთა ცენტრები და ადმინისტრაციული შენობები.
- ახალი დაცული ტერიტორიების დაარსების მიზნით პარლამენტს დასამტკიცებლად გადაეგზავდა კანონპროექტი 6 დაცული ტერიტორიის შექმნის შესახებ
- 4 დაცულ ტერიტორიაზე ეკოტურისტული ბილიკების მარკირება განხორციელდა
- მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სატესტო რეჟიმში ჩაეშვა ბილეთების ელექტრონულად გაყიდვის პროგრამა [14]

2011 წელს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მიერ შეთავაზებულ ახალ ეკოპროდუქტს წარმოადგენს სპელეო (ნატურალური) ტურიზმი იმერეთის რეგონში. განახლებულია სათაფლია. სათაფლია 9 კმ-ის დაშორებით ქუთაისის ჩრდილო-დასავლეთით დაცულ ტერიტორიაზე მდებარეობს, სადაც 354 ჰა-ზე არის კოლხეთის ტყის ნაკრძალი. აქვეა კარსტული მღვიმეები და დინოზავრის ნაკვალევი, რომელიც ზღვის დონიდან 300მ-ზე მდებარეობს. სათაფლიის ნაკრძალზე ამოქმედდა ონლაინ საბილეთო სისტემა.[9]

განახლებულია „პრომეთეს მღვიმე“ ერთ-ერთი უმდიდრესი განზომილებით, გამკვრივების მრავალსახეობით, მიწისქვეშა მდინარეების მნიშვნელობით და პეიზაჟის მრავალფეროვნებით.

[9]დაცული ტერიტორიების სააგენტო- http://apa.gov.ge

განახლებულ მღვიმეში წარმოდგენილია მინის პანორამული გადმოსახედი, სიგრძით 1450მ. და საინფორმაციო დაფები. ტურისტებისათვის შესაძლებელია 300 მ-იანი ნაკვეთის გავლა ნავით. ასევე საინტერესოა საფეხმავლო ბილიკები, ხელოვნური განათება, ლაზერ-შოუ, უნიკალური ხედები და რაც მთავარია, თერაპია ასთმით დაავადებული ადამიანებისათვის. აღნიშნული სერვისი ასევე ონლაინ საბილეთო სისტემას. 2011 წელს დაცულ ტერიტორიებს შეემატა ჯავახეთის ეროვნული პარკი.

რეკლამა დიდ როლს თამაშობს მომხმარებელთა მიზიდვისათვის და ამგვარად აიძულებს ინდუსტრიას იმუშაოს ახალი პრინციპებით. ეს აუცილებელია რეალიზებულ იქნას თვითმფრინავებსა და აეროპორტებში ვიდეოფილმების ჩვენებით, მგზავრობის დროს საკითხავი ჟურნალების პუბლიკაციებით, განცხადებებით, სამგზავრო ბილეთზე სასარგებლო რჩევების განთავსებით, საგზაო აქსესუარებით და ბროშურებით, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას დამსვენებელთათვის. მოხდა სააგენტოს ლოგოს განახლება და კორპორატიული სტილის ჩამოყალიბება.

ყოველწლიურად ხორციელდება საინფორმაციო ტურები და აქციები ეროვნული პარკების პოპულარიზაციის მიზნით. ხორციელდება რეკლამა სოციალურ ქსელებში, რადიოში, სატელევიზიო სივრცეში, კინოთეატრებში, ქართულ და საერთაშორისო გამოცემებში. მზადდება და ვრცელდება ბეჭდვითი სარეკლამო, საგანმანათლებლო მასალები და სპეციალური ნივთები (სუვენირები). მომზადდა ეკო-საგანმანათლებლო ხასიათის ფლეშ-თამაში. განთავსებულია გარე რეკლამა მონიტორებზე, ავტობუსებსა და ბანერებზე.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ზრუნავს ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციაზე, როგორც ქვეტნის ფარგლებს გარეთ, ასევე მიშ შიგნით. აქტიურად მზადდება საიმიჯო ვიდეო რგოლები, რომლებიც სხვადასხვა სეზონზე სხვადასხვა რეგიონის პოპულარიზაციას ახდენენ, კლიპები აქტიურად ტრიალებენ მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან არხებზე. აღსანიშნავია რუსეთთან მიმდინარე სიტუაციის ფონზე ტურისტული სეზონის წარმატებით ჩასავლელად წამოწყებული კამპანია “Spend your summer in Georgia”. ამ პამპანიამ

მილიონობით ადამიანი გააერთიანა სოციალურ ქსელში საქართველოში ტურისტული სეზონის გადასარჩენად.

ტურიზმის ეროვნული სააგენტო შიდა ბაზარზე ტურიზმის პრომოციის მიზნით ანხორციელებს სხვადასხვა სახის პროექტებს, რომლებიც მიმართულია კონკრეტულ მიზნობრივ სეგმენტზე (სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები).

საქართველოს ეკოტურისტული მარშუტებს რეალიზაციას უკეთებს და გეგმავს ტურისტულ ბაზარზე არსებული დაახლოებით 10-მდე ტურისტული კომპანია, რომლებიც ქმნიან საქართველოში ჩამოსულ ეკოტურისტთა ძირითად ბაზას, თუმცა ასეთ ტურებზე მოთხოვნა არც ისე დიდია და კომპანიათა საერთო სერვისის 10-20%-ზე მეტს არ იკავებს. ისინი აქტიურად თანამშრომლობენ საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტთან, გარემოს დაცვის სამინისტროსა და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან, აწვდიან მათ ინფორმაციას საქართველოში ჩამოსული ტურისტების შესახებ, სარგებლობენ ზემოაღნიშნული სახელმწიფო ერთეულების მომსახურებით, რათა გააუმჯობესონ თავისი მომსახურების ხარისხი და საქართველოში მოგზაურობა გახადონ უფრო მიმზიდველი და საინტერესო უცხოელი ტურისტებისათვის. თუ გადავხედავთ მათ მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ ინფორმაციას, აღმოვაჩენთ, რომ საქართველოზე დიდი მოთხოვნაა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით იკვეთება გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ფინეთი, ამერიკა, რუსეთი, უკრაინა, იტალია, ესპანეთი, პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი. ასევე მიმზიდველია საქართველო აშშ-სთვის, სამხრეთ კორეისთვის, ისრაელისთვის, ირანისა და არაბეთის ქვეყნებისათვის. [11]

განსაზღვრულია საქართველოს კანონი ,,გარემოს დაცვის შესახებ‘‘, რომლის მიხედვითაც დაცულ ტერიტორიებზე შესვლა ძირითადად ფასიანია, მაგრამ განსხვავებული მარჟა აქვს დაწესებული ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ბილეთების პროგრამის გამო გაიზარდა ბილეთების ღირებულება და დაემატა საკომისიო მომსახურების გადასახადი, დაცული ტერიტორიების სერვის ცენტრებში დამონტაჟდა გამშვები ტურნიკები, ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა, სალაროსთან ლოდინის დროის შემცირების გამო ბილეთის მეჭდვილ აპარატები. აღნიშნულმა ცვლილებებმა ბილეთების ფასის 10-15 % -ით ზრდა

გამოიწვია. ფასების ზრდა ასევე გამოწვეულია დაცულ ტერიტორიებზე ტურისტული ნაკადების მატებით. ვიზიტორმა რიცხვი დაცულ ტერიტორიებზე მნიშვნელოვნად გასცდა ნორმალურ მაჩვენებელს, ამიტომ ბუნებრივი მდგომარეობის გაუარესების თავიდან ასაცილებლად ფასები გაორმაგდა. მაგალითად პრომეთეს მღვიის გამტარუნარიოანობის გათვალისწინებით ვიზიტორთა დასაშვები რაოდენობა დღიურად 2000 შეადგენს, მაშინ როცა სეზონზე აქ მინიმუმ 2300 ვიზიტორი ფიქსირდება დღეში.[10] რაც შეეხება ბილეთის ფასს, მარტვილის კანიონში შესვლა საქართველოს მოქალაქეებისათვის 9 ლარიდან 10,35 მდე გაიზარდა, უცხოელებისათვის კი 15-დან 17,25-მდე, პრომეთეს მშვიმეში საქ. მოქალაქეებისათვის 10-დან 11,25-მდე გაიზარდა, უცხოელებისათვის კი 20-დან 23 ლარამდე გაიზარდა. [15]

რაც შეეხება ტურისტული სააგენტოების გადასახადებს, ისინი ექვემდებარებიან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას და იხდიან საშემოსავლოსა და მოგების გადასახადს. როგორც საქართველოს ტურ-ოპერატორების ასოციაციის წარმომადგენლები ამბობენ, ეკოტურიზმიდან მიღებული შემოსავალი მთლიანი ტურიზმის დაახლოებით 20-25%-ია.

ეკოტურიზმის ხელშეწყობის მიზნით დაცულ ტერიტორიებზე აქტიურად მიმდინარეობს ეკოტურისტული ბილიკების მარკირება, თეორიული სწავლება და პრაქტიკული საველე სამუშაოები ჩატარდა ფშავ-ხევსურეთის, ალგეთის, ყაზნეგის და კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე. დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარებას დიდი წვლილი შეაქვს ტურიზმისა და ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. იგი განსაკუთრებით კარგად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. დაცული ტერიტორიების მიმდებარედ ყოველწლიურად იზრდება ტურისტული ინფრასტრუქტურისა და დასაქმებული ადამიანების რაოდებობა. გერმანელი ექსპერტების მიერ 2017 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, მხოლოდ 5 დაცული ტერიტორიიდან მიღებული შემოსავალი საქართველოში 87 მლნ ლარდ შეადგენს. [10]

ნავენახევი განსხვავებული და ლამაზი ფორმის სტალაგმიტებით, სტალაგნატებითა და სტალაქტიტებით გამორჩეული 250 მეტრი სიგრძის ორსართულიანი და 4 სადარბაზოიანი

[10] საქართველოს კანონი ,,გარემოს დაცვის შესახებ''.

მღვიმეა. მსოფლიოში მესამე მღვიმეა ნაღვენთი ფორმების სიმრავლით. გასულ წელს მღვიმეში მოეწყო ვიზიტორთა ცენტრი, თანამედროვე განათება და ეკოტურისტული ბილიკი, გამოიყო ეკო-საგანმანათლებლო და სათამაშო სივრცე.

ოკაცეს ჩანჩქერი ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ კინჩხაში მდებარეობს, იგი საქართველოს ერ-ერთი უდიდესი, სამ საფეხურად გადმომავალი ჩანჩქერის კასკადია. ოკაცეს ჩანჩქერი ტურისტებისათვის 2019 წლის მაისში გაიხსნა და იგი ოკაცეს კანიონიდან კომფორტულად მისასვლელი 7 კილომეტრიანი გზის მონაკვეთითაა დაშორებული.

მტირალას ეროვნული პარკი ბათუმიდან 25 კილომეტრში, ქობილეთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს და განსაკუთრებული ბიომრავალფეროვნებით გამოირჩევა. წლის ნებისმიერ დროს მთა ნისლშია გახვეული და აქ ყოველთვის წვიმს, მთის მიკროკლიმატი მთელს ევროპაში ყველაზე ნესტიანია. 2019 წელს მტირალას ეროვნულ პარკში თოკების პარკი მოეწყო, რომელიც ეკო-საგანმანათლებლო, შემეცნებით, გასართობ ადგილს წარმოადგენს. ეს ეკოტურისტული ობიექტი განკუთვნილია სხვადასხვა ვიზიტორთა სეგმენტებზე და გასნაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გარემოს დაცვის პოპულარიზაციის თვალსაზრისით.

2018 წელს, პირველად ისტორიაში საქართველოს პარკებს რეკორდულად ბევრი 1 000 000-ზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა, რაც შეეხევა 2019 წლის სტატისტიკას წინა წლის 6 თვესთან შედარებით ვიზიტორთა რაოდენობა 10%-ით არის გარდილი, უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა კი 27%-ით არის მომატებული. ვიზიტორებისათვის ყველაზე პოპულარული დანიშნულების ადგილებია პრომეთეს მღვიმე, მარტვილის კანიონი, თბილისის ეროვნული პარკი, ყაზბეგის ეროვნული პარკი, ოკაცეს კანიონი. [10]

ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა განვითარებულია 14 დაცულ ტერიტორიაზე: ვაშლოვანის, თუშეთის, ბორჯომ-ხარაგაულის, ჯავახეთის, პრომეთეს, სათაფლიის, მარტვილის, ოკაცეს, ნავენახევის, კოლხეთის, მტირალას, კინტრიშის, ლაგოდეხის, მაჭახელას დაცულ ტერიტორიებზე. აქ ვიზიტორებს შეუძლიათ დაგეგმონ სხვადასხვა სირთულის სალაშქრო, საცხენოსნო, ველო, თოვლის ფეხსაცმელების, ექსტრემალური სპელეოლოგიური, სათავგადასავლო, სანაოსნო და ფრინველებზე დაკვირვების ტურები. აგრეთვე აქვთ

შესაძლებლობა ისარგებლონ ვიზიტორთა ცენტრებში არსებული სხვადასხვა სერვისებით და განთავსების საშუალებებით, საპიკნიკე და საკარვე სერვისებით, ვიზიტორთა ცენტრის სასტუმრო ნომრებითა და ტურისტული თავშესაფრებით. [10]

2018 წლის ნოემბერში გაიხსნა ნავენახევის მღვიმე, მოეწყო ინფრასტრუქტურა, აშენდა ვიზიტორთა ცენტრი, კაფეტერია და სუვენირების მაღაზია, საგანმანათლებლო სივრცე და ტურისტული ბილიკი.

საწურბლიას მღვიმეზე აშენდა ვიზიტორთა ცენტრი, ამბულატორია, მღვიმეში დამონტაჟდა განათების სისტემა. მღვიმე გაიყო ორ-აქტიურ და პასიურ ზონად. აქტიურ ზონაში მოეწყო სათამაშო მოედანი ბავშვებისათვის, პასიურ ზონაში განთავსდა შეზლონგები. საწურბლიის მღვიმე პირველი საერთაშორისო სტანდარტების სპელეოგამაჯანსაღებელი მღვიმე იქნება კავკასიის რეგიონში, სადაც სასუნთქი გზების პრობლემების მქონე ადამინები გაივლიან რეაბილიტაციას.

მზარდი მოთხოვნის გამო კოლხეთის ეროვნული პარკის პალიასტომი-ფიჩრის მარშრუტს დაემატა მოტორიანი ნავი, გარემონტდა ვიზიტორთა ცენტრში არსებული სასტუმროს ნომრები და ადმინისტრაციის ეზო, სადაც მოეწყო ცეცხლის დასანთები ადგილები და საპიკნიკე ადგილები.

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე დამონტაჟდა ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა ადაპტირებული სველი წერტილებით, მზის ენერგიაზე მომუშავე პანელებით, დამხმარე ნაგებობებით-სამზარეულოთი და ხის სასადილო კოტეჯებით. მოეწყო საკარვე ტერიტორია ჩვეულებრივი და ინკლუზიური ჯგუფებისთვისაც. ლაგოდეხის ნაკრძალში ასევე იგეგმება ხის კენწეროების ბილიკის დაომნტაჟება. [14]

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ დაცულ ტერიტორიაზე უკვე არსებობს ექსტრემალური ტურიზმის ზოგიერთი სახეობისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა, მაგალითად მტირალას ეროვნულ პარკში ბოლო წლებია არსებობს ზიპლაინ ბილიკები, ასევე თითქმის ყველა დაცულ ტერიტორიაზეა შესაძლებელი სამთო ველოტურის ბილიკით სარგებლობა, საწყლოსნო

სახეობებიდან შესაძლებებლია კაიაკით, პონტომითა და კატერით გასეირნება. თუმცა არსებული ჩამონათვალი მნიშვნელოვნად მცირეა ჩვენი ქვეყნის დაცული ტერიტორიების პოტენციალთან შედარებით. ექსტრემალური ტურიზმის ორი სახეობის კლდეზე ცოცვის და ხის კენწეროების ბილიკის განვითარების უდიდესი პოტენციალი გააჩნია ბორჯომ-ხარაგულის ეროვნულ პარკს. პარკში მდინარე ქვაბისხევის მიმდებარედ უამრავი კანიონია ბუნებრივი სიმაგრითა და მდგრადობით, საიდანაც ულამაზესი ხედით ტკბობა არის შესაძლებელი. მდინარე ქვაბისხევის ხეობა სამივე სირთულისგზის განვითარების შესაძლებლობას იძლება. დღევალდელ ტურისტულ ბაზარზე კლდეზე ცოცვლის ყველაზე მოთხოვნადი ადგილი ალპების მიდამოებია, იტალიაში. მსგავსი ბუნებრივი პირობები გააჩნიათ ვაშლოვანის, თბილისის, ალგეთის, ყაზბეგისა და ფშავ-ხევსურეთის ეროვნულ პარკებს. [10]

რაც შეეხება ხის კენწეროების ბილიკს, მისი მოწყობა ლაგოდეხის ეროვნულ ნაკრძალში იგეგმება, საფეხმავლო ბილიკი დედამიწის ზედაპირიდან წამორენიმე მეტრის დაშორებით, თითქმის ხის სიმაღლეებს უტოლდება, მოიცავს კოშკურებს, საჰაერო ბილიკებს, ხიდებს, საგანმანათლებლო პორტალებს. ბილიკის მოწყობა შესაძლებელია ასევე მტირალას პარკშიც, ბილიკის ყველაზე დადებითი მხარე არის ის, რომ მას გარემოზე უარყოფითი გავლენის მოხდენა არ შეუძლია. ხის კენწეროების ბილიკი ყველაზე კარგად განვითარებულია კანადის დაცული ტერიტორიების სიტემაში.

ზამთრის ექსტრემალური სახეობების განვითარების უდიდესი პოტენციალი გააჩნიათ ფშაც-ხევსურეთისა და თუშეთის ეროვნულ პარკებს, სადაც დაახლოებით 6 თვე გრძელდება ზამთრის სეზონი, სამწუხაროა ის ფაქტი, რომ სწორედ ამ პერიოდშია ეს ტერიტორია მოწყვეყიტილი გარე სამყაროს, ზამთრის სახეობებში ამ მხრივ შესაძლებელია გაუკვალავ თოვლში თხილამურებით სრიალი და ბურანებით გადაადგილება გრძელ მარშრუტზე. ვაშლოვანის ეროვნული პარკი კი საცხენოსნო ან საფარი ტურების განვითარების შესაძლებლობას იძლება თავისი თითქოს აფრიკული უდაბნოების ლანდშაფტით.

3.3 საქართველოში ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების პერსპექტივები

საქართველოს გააჩნია ეკოტურიზმია განვითარების კოლოსალური რესურსი, მრავალფეროვანი ბუნებრივი ზონებით, ესთეტიკურად მიმზიდველი ლანდშაფტებით, ხელუხლებლად შემორჩენილი ფლორითა და ფაუნით, მრავალფეროვანი ადგილობრივი კულტურითა და ტრადიციებით, სამზარეულოს უნიკალურობით და ჩვეული სტუმართმოყვარეობით. ამ პოტენციალის გამოყენება კი ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, ბუნებრივი კომპლექსების მთლიანობისა და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის შესანიშნავი შესაძლებლობაა. საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყანათა რიცხვს, რომელთაც ტურიზმის განვითარების მრავალფეროვანი პირობა აქვს,ა მიტომ ქვეყანაში არსებული პოტენციალის გამო, ტურიზმისა მომსახურების სფეროს კომპლექსური ინდუსტრია დარგის ეკონომიკური ზრდის იდეალური საფუძველია (ცეცხლაძე...2011:525).

ეკოტურიზმს ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლია მაშინ, როდესაც ჯანსაღია როგორც ბუნებრივი ასევე ბიზნეს გარემოც. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტურიზმი გარეზე გარკეული ზეგავლენის მოხდენის გარეშე ვერ განვითარდება, თუმცა აქცენტი სწორად უნდა იყოს გაკეთებული არა მხოლოდ ტურიზმის განვითარებაზე, არამედ მისი გარემოზე უარყოფითად ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანაზე. სწორედ ამიტომ ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების მთავარი პრინციპი ამ პროცესში მოსახლეობის მაქსიმალურად ჩართვას გულისხმოს.

ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების მთავარ რგოლს ძირითადად დაცული ტერიტორიები წარმოადგენენ, რადგან მათ გააჩნიათ მთელი რიგი უპირატესობები.

-შემეცნებითი თვალსაზრისით მდებარეობენ შედარებით ლამაზ, საინტერესო ადგილებში

-ფლობენ საჭირო ინფრასტრუქტურას და კვალიფიცირებულ პერსონალს

-ფლობენ ტურისტული ჯგუფების მომსახურებისა და ტურისტული მარშრუტების მომზადებულ სისტემას

-აყალიბებენ ადგილობრივების დამოკიდებულებას დაცული ტერიტორიისა და მისი შენარჩუნებისათვის, ზრუნავენ დაცული ტერიტორიების სტატუსის მიხედვით რეჟიმის დაცვაზე. [7]

დღეისათვის საქართველოსი არსებობს იურიდიულად 88 დაცული ტერიტორია, (14 სახელმწიფო ნაკრძალი, 12 ეროვნული პარკი, 19 აღკვეთილი, 40 ბუნებრივი ძეგლი, 1 დაცული ლანდშაფტი და 2 მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია). თუმცა სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიხედვით 86 დაცული ტერიტორიაა საქართველოში. ეს სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ დაცული ტეიროტირიების სააგენტო არ ითალისწინებს ორ მრავალმხრივი გამოყენების დაცულ ტერიტორიას, ჯავახეთისას და ფშავ-ხევსურეთისას. მათი საერთო ფართობი 627104.7255 ჰა-ს უდრის (9% ქვეყნის ტერიტორიისა). ფაქტობრივად კი საქართველოში დაცული ტერიტორიების რიცხვი შეადგენს 94-ს, რადგაც 6 ნაკრძალი საქართველოს კუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობს, მათი საერთო ფართობი 67.141 ჰა-ს შეადგენს (გუმისთის ნაკრძალი, ფსხუს ნაკრძალი, სკურჩის ნაკრძალი, რიწის ნაკრძალი, ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალი, ლიახვის ნაკრძალი). [6]

უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს როლი ქვეყანაში ეკოტურიზმის განვითარების საკითხში. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფოს ჩართულობის მაღალი დონე, რათა მოხდეს აღნიშნული დარგის ერთ-ერთ წამყვან დარგად გადაქცევა. ეს სარგებელს მოუტანს როგორც ქვეყნის ეკონომიკას ასევე ეკოლოგიასაც.

დაცული ტერიტორიების განვითარებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მითუმეტეს ისეთ ქვეყანაში როგორიც საქართველოა. ჩვენს ქვეყანას ამ მხრივ ძალიან დიდი პოტენციალი გააჩნია და საჭიროა ამ პოტენციალის სათანადოდ გამოყენება. ამისათვის სახელმწიფოს ჩართულობას ძალიან დიდი მნიშვნელობა გააჩნია. ეს ჩართულობა უნდა გამოიხატოს სახელმწიფოს მიერ მიზნების დასახვით და შემდეგ ამ მიზნების შესრულებისთვის განხორციელებული ღონისძიებებით.

ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე მზარდი ინდუსტრიაა მსოფლიოში და მას საქართველოშიც პრიორიტეტული ადგილი უკავია. კონკურენტული გარემო მუდმივად საჭიროებს ინოვაციებს.

ეკოტურიზმის განვითარებისა და წინსვლისთვის აუცილებელია მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით ახალი ეკოტურისტული პროდუქტების შექმნა.

ეკომუზეუმი წარმოადგენს გარკვეულ ტერიტორიაზე არსებული მემკვიდრეობითი ძეგლების ერთობლიობას, რომლის მიზანია რეგიონის ყოფითი ცხოვრების წარმოჩენა და პოპულარიზაცია. ეკომუზეუმები რეგიონის უნიკალურობას წარმოაჩენენ ბუნებრივი პირობების, ადგილობრივების წარსულის დანატოვარითა და დღევანდელი ყოფით. ეკომუზეუმი ტრადიციული მუზეუმისაგან განსხვავეით ორიენტირდება ტერიტორიაზე, მოსახლეობასა და მემკვიდრეობით რესურსებზე. მსოფლიოს 300-მდე ეკომუზეუმიდან 200 ევროპაში მდებარეობას, ამათგან ყველაზე წარმატებული საფრანგეთის, ხორვატიის, იტალიის, პოლონეთისა და ესპანეთის ეკომუზეუმები. ამ ეკოტურისტულ პროდუქტს რიგირ დადებითი მხარეები გააჩნია:

-ახდენს რეგიონისა და ქვეყნის პოპულარიზაციას

-ხაზს უსვავს კონკრეტული რეგიონის უნიკალურობას

-აქცენტს აკეთებს ავთენტურობაზე, რომლელიც არ საჭიროებს ზედმეტ დანახარჯებს

-იწვევს ადგილობრივების დაინტერესებას და მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას

-შეაქვს წვლილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებაში

-პოპულარიზაციას უკეთებს ინ სატრანსპორტო საშუალებებს, რომელიც ნაკლებ უარყოფი გავლენას ახდენს გარემოზე. [9]

რაც შეეხება საქართველოს პერსპექტივას ამ მიმართულებით, ჩვენი მდიდარი კულტურა და ბუნება ხელს გვიწყობს მრავალ ადგილას ეკომუზეუმის შექმნაში.

ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დაცული ტერიტორიების სისტემის პარალელურად, უნდა მომზადდეს დამხმარე ზონის პროექტები, რაც ხელს შეუწყობს შემოსავლის ალტერნატიული წყაროს შექმნას (მაგ.,

ეკოტურიზმის განვითარება, ოჯახური სასტუმროების და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მოწყობა, გიდების დაქირავება და ა.შ.)

რეგიონის ადმინისტრაციის მიერ უნდა მოხდეს შესწავლა დაცული ტერიტორიების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის შესაძლო ჩართვისა ამ ტერიტორიების ფარგლებში განვითარებულ ტურისტულ საქმიანობაში; რეგიონის განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტებში ტურისტულ საქმიანობებში ადგილობრივი მოსახლეობის როლის მკაფიოდ ჩამოყალიბება.

დაცული ტერიტორიების განვითარების მთელი სტრატეგია მდგომარეობს იმაში, რომ შენარჩუნებული იქნას ეროვნული პარკები თუ ნაკრძალები, ასევე ამ დაცულ ტერიტორიებში არსებული ფლორა და ფაუნა, არ უნდა იქნეს განადგურებული იშვიათი მცენარეები თუ ცხოველები, რაც მიღწეული იქნება სახელმწიფოს აქტიური ჩარევით. სახელმწიფოს ჩარევა დაცული ტერიტორიების განვითარებაში გამოიხატება მის მიერ გარკვეული სანქციების და სხვ. შემოღებით ამ დაცულ ტერიტორიებზე. სახელმწიფო უნდა ეცადოს, რომ ამ დაცულ ტერიტორიებს რაც შეიძლება მეტი ტურისტი ეწვიოს, რაც შესაბამისად დაცული ტერიტორიების განვითარებას გამოიწვევს.

 აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ დაცულ ტერიტორიაზე უკვე არსებობს ექსტრემალური ტურიზმის ზოგიერთი სახეობისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა, მაგალითად მტირალას ეროვნულ პარკში ბოლო წლებია არსებობს ზიპლაინ ბილიკები, ასევე თითქმის ყველა დაცულ ტერიტორიაზეა შესაძლებელი სამთო ველოტურის ბილიკით სარგებლობა, საწყლოსნო სახეობებიდან შესაძლებებლია კაიაკით, პონტომითა და კატერით გასეირნება. თუმცა არსებული ჩამონათვალი მნიშვნელოვნად მცირეა ჩვენი ქვეყნის დაცული ტერიტორიების პოტენციალთან შედარებით. ექსტრემალური ტურიზმის ორი სახეობის კლდეზე ცოცვის და ხის კენწეროების ბილიკის განვითარების უდიდესი პოტენციალი გააჩნია ბორჯომ-ხარაგულის ეროვნულ პარკს. პარკში მდინარე ქვაბისხევის მიმდებარედ უამრავი კანიონია ბუნებრივი სიმაგრითა და მდგრადობით, საიდანაც ულამაზესი ხედით ტკბობა არის შესაძლებელი. მდინარე ქვაბისხევის ხეობა სამივე სირთულისგზის განვითარების შესაძლებლობას იძლება. დღევალდელ

ტურისტულ ბაზარზე კლდეზე ცოცვლის ყველაზე მოთხოვნადი ადგილი ალპების მიდამოებია, იტალიაში. მსგავსი ბუნებრივი პირობები გააჩნიათ ვაშლოვანის, თბილისის, ალგეთის, ყაზბეგისა და ფშავ-ხევსურეთის ეროვნულ პარკებს. [8]

რაც შეეხება ხის კენწეროების ბილიკს, მისი მოწყობა ლაგოდეხის ეროვნულ ნაკრძალში იგეგმება, საფეხმავლო ბილიკი დედამიწის ზედაპირიდან წამორენიმე მეტრის დაშორებით, თითქმის ხის სიმაღლეებს უტოლდება, მოიცავს კოშკურებს, საჰაერო ბილიკებს, ხიდებს, საგანმანათლებლო პორტალებს. ბილიკის მოწყობა შესაძლებელია ასევე მტირალას პარკშიც, ბილიკის ყველაზე დადებითი მხარე არის ის, რომ მას გარემოზე უარყოფითი გავლენის მოხდენა არ შეუძლია. ხის კენწეროების ბილიკი ყველაზე კარგად განვითარებულია კანადის დაცული ტერიტორიების სიტემაში.

ზამთრის ექსტრემალური სახეობების განვითარების უდიდესი პოტენციალი გააჩნიათ ფშაც-ხევსურეთისა და თუშეთის ეროვნულ პარკებს, სადაც დაახლოებით 6 თვე გრძელდება ზამთრის სეზონი, სამწუხაროა ის ფაქტი, რომ სწორედ ამ პერიოდშია ეს ტერიტორია მოწყვეყიტილი გარე სამყაროს, ზამთრის სახეობებში ამ მხრივ შესაძლებელია გაუკვალავ თოვლში თხილამურებით სრიალი და ბურანებით გადაადგილება გრძელ მარშრუტზე. ვაშლოვანის ეროვნული პარკი კი საცხენოსნო ან საფარი ტურების განვითარების შესაძლებლობას იძლება თავისი თითქოს აფრიკული უდაბნოების ლანდშაფტით. [8]

ეკოტურიზმი სამთავრობო დონეზე რამდენიმე სამინისტროს ინტერესებს აერთიანებს: გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, განათლების, ტრანსპორტის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროები. აშკარაა, რომ სამინისტროებს შორის აუცილებელია მოხდეს ჰორიზონტალური ინტეგრაცია ეკოტურიზმთან დაკავშირებით.

ზემოთ ხსენებული ინფრასტრუქტურული პრობლემები პირველ რიგში სახელმიფოწო ხელშეწყობით უნდა მოხერხდეს. სახელმწიფომ უნდა მოახერხოს ამ პრობლემის გადაჭრის

გზების მოძებნა. ამ საკითხების გადაჭრა შესაძლებელია მოხერხდეს შემდეგი პოლიტიკის გატარებით:

მოგზაურობის დაგეგმვა – ტურისტული ბიზნესის განვითარებისათვის გასაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიო მასშტაბით საქართველოს შესახებ ტურისტული ინფორმაციის ეფექტიანი გავრცელება, რათა პოტენციურ ტურისტებს თავისი დასვენების საწყის ეტაპზევე ჰქონდეთ ჩვენთვის პოზიტიური გადაწყვეტილების მიღების საშუალება. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ სრულყოფილი ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის საშუალებითაა შესაძლებელი. სწორად გათვლილი და დაგეგმილი მარკეტინგული სტრატეგია მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ტურიზმის ბაზარზე წარმატებას, თუმცა იმისათვის, რომ მოხდეს მარკეტინგის ბაზისური ელემენტების (ბრენდინგი, სეგმენტაცია, მიზნობრივი ბაზრის შერჩევა და პოზიციონირება) ეფექტიანი გამოყენება, აუცილებელია წინასწარი, სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება – ყოვლისმომცველი მარკეტინგული კვლევების საფუძველზე შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა. ამ საქმეში მაღალკვალიფიციური, პროფესიული პოტენციალის გარდა არ უნდა მოვერიდოთ ზოგ შემთხვევაში არაპროფესიული, თუმცა კრეატიული და არასტანდარტული მიდგომის გამოყენებას, ვინაიდან არსებულ მაღალკონკურენტულ მარკეტინგულ–სარეკლამო ბაზარზე ყოველი ახალი ხედვა შეიძლება ბევრად უფრო მეტი წარმატების მომტანი იყოს, ვიდრე კლასიკური, ტიპიური ხედვები. [3]

მგზავრობა უცხოეთიდან – როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში ჩამოსვლის ალტერნატივები გამრავალფეროვნებას უნდა მიექცეს ყურადღება, სახმელეთო, საჰაერო და საღვაო ტრანსპორტირების თანაბარი შესაძლებლობა უნდა მიეცეთ ტურისტებს. რუსეთთან კონფლიქტის შედეგად პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა ფაქტიურად ჩიხში მოექცა, თუმცა ყარსი–ახალქალაქის დაგეგმილ ახალ რკინიგზას შეუძლია ამ პრობლემის ნაწილობრივ გამოსწორება. ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მომხმარებლებისათვის ავიატრანსპორტით სარგებლობის გაადვილებას და გაიაფებას – რეისების უმეტესობა უფრო მოსახერხებელ დროს უნდა იყოს და არა ძირითადად ღამით, ხოლო ამ ტიპის მგზავრობის გაიაფებას ხელს შეუწყობს საქართველოში Southwest ან Easy Jet ტიპის

იაფიანი რეისების ფართოდ დანერგვა. ამ კომპანიების დევიზია "ნაკლები ბევრად ნაკლებად", ანუ მგზავრები მინიმალური კომფორტის პირობებში (ასეთ რეისებზე, როგორც წესი, არ უზრუნველყოფენ საკვებით, არ არსებობს პირველი და ბიზნესკლასის ადგილები, ადგილები დანომრილი არ არის), თუმცა მინიმალურ ფასად (ეს ფასი ხშირად სტანდარტულზე მინიმუმ 5–6–ჯერ უფრო იაფია) მგზავრობენ. მსოფლიო კრიზისის და მზარდი ტერორიზმის პირობებში, იმ დროს, როდესაც წამყვანმა ავიაკომპანიებმა უზარმაზარი ზარალი ნახეს, მხოლოდ ამ ტიპის რამდენიმე ავიაკომპანიამ არამარტო შეინარჩუნა, არამედ გაზარდა კიდეც მოგება. მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებ კომფორტს იღებენ, მგზავრებს ხიბლავთ ძალზედ დაბალი ფასი და სტაბილური, დროული მომსახურება, რის გამოც ჩვეულებრივ მგზავრთა რიგებს ხშირად ისინიც ემატებიან, ვინც ადრე მანქანით ან ავტობუსით მგზავრობდნენ. იაფი რეისები ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნის შიგნით მგზავრობის თვალსაზრისითაც.

მგზავრობა ქვეყნის შიგნით – ქვეყნის შიგნით მგზავრობის გაუმჯობესებისათვის, რასაკვირველია, პირველ რიგში გასაუმჯობესებელია გზების მდგომარეობა (რაზეც ჩვენი მთავრობა აქტიურად მუშაობს და მისასალმებელია), ისევე როგორც მისი თანმდევი ინფრასტრუქტურა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გზებზე უსაფრთხოებას (გზის მონიშვნა, საგზაო ნიშნები და საინფორმაციო ბანერები, დამცავი ჯებირები, ქვის ვარდნისგან დამცავი ბადეები, ზვავსაწინააღმდეგო კონსტრუქციები, ავარიული დამუხრუჭების ჩიხები და ა.შ.), რაც გზების გარდა გულისხმობს ტურისტების მომსახურე ტრანსპორტის ტექნიკურ გამართულობას და მძღოლების პროფესიონალიზმს. იგივე შეიძლება ითქვას საჰაერო და სარკინიგზო ტრანსპორტზეც. უნდა გაფართოვდეს მცირე ავიაციის გამოყენების არეალი, განსაკუთრებით, ძნელად მისადგომ მთიან რეგიონებში, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ამ რეგიონების ტურისტული პოტენციალის უტილიზაციას. ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია ყველა ამ სახის ტრანსპორტის გამოყენებისას სარეისო მარშუტებზე განრიგის მკაცრი დაცვა, რომ შეზღუდული დროის პირობებში ტურისტს შეეძლოს მგზავრობის ეფექტური დაგეგმვა და უპრობლემოდ მგზავრობა; [3]

განთავსება - ტურისტების განთავსების საშუალება განისაზღვრება როგორც "ნებისმიერი ობიექტი, რომელიც ტურისტებს რეგულარულად ან ხანდახან სთავაზობს ადგილს ღამის

გასათევად.“ მოცემულ ობიექტში, ყველა ადგილი უნდა ემორჩილებოდეს კომერციული ტიპის ერთიან ხელმძღვანელობას, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც იგი მიზნად არ ისახავს მოგების მიღებას.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად, ტურისტთა განთავსების ობიექტები დაყოფილია 2 კატეგორიად: ინდივიდუალური და კოლექტიური.

განთავსების სექტორი დრესდღეობით თავის მომხმარებლებს უამრავი სხვადასხვა ტიპის მომსახურებას სთავაზობს რათა შეძლოს ბაზარზე არსებული უამრავი მომხმარებლის მოთხოვნების მაქსიმუმის დაკმაყოფილება. განთავსების ობიექტების განსხვავება შთამბეჭდავია: 5 ვარსკვლავიანი სასტუმროდან დაწყებული, რომელიც თავის მომხმარებელს 24 საათიან სერვისს, საცურაო აუზებსა და სატრენაჟორო დარბაზებს და ა.შ სთავაზობს, უბრალო კარვებით დამთავრებული. განთავსების ობიექტების ხარისხობრივი თუ სხვა სახის კლასიფიკაციები განსხვავებულია ყველა ქვეყნისთვის. [1]

ტურისტების ეფექტიანი განთავსების უზრუნველყოფისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია ქვეყნის მასშტაბით სრული ინვენტარიზაცია (გეოგრაფიული არეალის მიხედვით), ანუ იმ პოტენციალის დადგენა თუ ერთდროულად რამდენი ტურისტის მიღება შეგვიძლია და რა პირობებში (მათ შორის სასტუმროები, პანსიონატები, ჰოსტელები, კემპინგები, გესთჰაუსები, კერძო სახლები და ა.შ.). ამ ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი იქნება ტურისტების მზარდი ნაკადის პირობებში ოპტიმალურად დაიგეგმოს, თუ რამდენი, რა ტიპის განთავსების ადგილი გვჭირდება კონკრეტულ ადგილას ტურისტული მოთხოვნილებების შესაბამისად. ამგვარი გეგმაზომიერი მიდგომის გარეშე შეიძლება არაერთი პრობლემა შეიქმნას და, როგორც შედეგი, ზოგ ტურისტულ წერტილში ადგილების დეფიციტი აღმოჩნდეს და ზოგან კი. პირიქით. დაუტვირთავი (და შესაბამისად წამგებიანი) ადგილების ზედმეტობა. მთლიანობაში ეს ტურიზმის განვითარებაზე და ეკონომიკურ მაჩვენებლებზე მოახდენს ნეგატიურ ზეგავლენას. როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ პუნქტის პრობლემების განხილვისას, უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს განთავსების ადგილების შესახებ სრულყოფილი საინფორმაციო ბაზის არსებობას, რაც ინტერნეტის საშუალებით მოძიებისა და დაჯავშნის საშუალებას მისცემს ტურისტებს და ტუროპერატორებს. ტურისტული მგზავრობის ამ მეტად მნიშვნელოვანი ასპექტის გაადვილება

ხელს შეუწყობს ინფორმაციულ ექსპანსიას და ტურისტების მოზიდვას.ეკოტურიზმისთვის კი მნიშვნელოვანია შედარებით დაბალი ფასების ტურისტული ბანაკებისა და კოტეჯების მოწყობა დაცულ ტერიტორიებზე. რაც შეეხება განთავსების ადგილების სტანდარტებს და ხარისხს, ეს დეტალურად შესაბამის პუნქტში არის განხილული;

თანმხლები ინფრასტრუქტურა – თანხმლები ინფრასტრუქტურის განვითარებასაც იგივე მიდგომა სჭირდება, რაც განთავსების ინფრასტრუქტურას

უსაფრთხოება – ბოლო წლებში კრიმინალური თვალსაზრისით საქართველოში მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესებულია, თუმცა ტურიზმის გააქტიურებასთან ერთად აუცილებელი იქნება დამატებითი უსაფრთხოების ზომების გატარებაც, მაგ. ტურისტულ ობიექტებზე უცხო პირების შესვლის გამკაცრება. როგორც უკვე წინა თავებში აღვნიშნეთ, კიდევ ბევრი რამაა გასაუმჯობესებელი ტურისტების ფიზიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით. მაგ. იმ გზებზე, სადაც ხშირია ქვის ცვენა, მოსაწყობია დამცავი ბადეები, ტრასიდან გადავარდის დამცავი ჯებირები, დაცული ტურისტული ბილიკები, სამაშველო სამსახურები და ა.შ. ჯანდაცვის სისტემას უნდა ჰქონდეს სათანადო სწრაფი რეაგირების საშუალებები (დაწყებული სანავიათი და დამთავრებული ფართო პროფილის ხარისხიანი მომსახურებით), ტურისტებთან მომუშავე სატრანსპორტო საშუალებებს უნდა ჰქონდეთ პირველადი დახმარების კიტები, ხოლო მომუშავე პერსონალი უნდა მომზადდეს გადაუდებელი, პირველადი არასამედიცინო დახმარების აღმოჩენაში. [5]

მომსახურების ხარისხი – ამერიკის ხარისხის საზოგადოება (American Society for quality) ხარისხს განმარტავს, როგორც პროდუქტისა და მომსახურების მახასიათებელ ნიშანს, რომლის მიზანი მომხმარებლის მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებაა. წარმატებული სერვის პროვაიდერები ყურადღებას ამახვილებენ როგორც მომხმარებელზე, ასევე თავის მომსახურე პერსონალზე. ისინი აღიქვამენ მომსახურებ–მოგების ჯაჭვს, როგორც სერვისის მიმწოდებელი კომპანიების მოგებების კავშირს მომსახურე პერსონალთან და მომხმარებლის კმაყოფილებასთან. როგორც ვხედავთ, ხარისხის ერთ–ერთი მთავარი დეტერმინანტი მაღალკვალიფიციური, მოტივირებული მომსახურე პერსონალია, რომლის მომზადება მნიშვნელოვანი პრიორიტეტი უნდა გახდეს ტურიზმის განვითარების სტრატეგიისა. განათლების სფეროში ადეკვატურად უნდა აისახოს ტურიზმის სექტორში პროფესიული კადრების აღზრდის საკითხი, რაც

მოითხოვს როგორც უმაღლესი, ასევე პროფესიული განათლების მიმწოდებელი დაწესებულებების რაოდენობრივ და ხარისხობრივ განვითარებას. მომზადებული კადრები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს და იყოს კონკურენტუნარიანი, მოტივირებული და წარმატებულ საქმიანობაზე ორიენტირებული. ხარისხიანი კადრების მომზადების სფეროში სახელმწიფოს, კერძო სექტორისა და პროფესიული ასოციაციების მჭიდრო თანამშრომლობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნა განსაზღვრავს მიწოდებას, მხოლოდ კერძო სექტორი ვერ უზრუნველყოფს კადრების პრობლემის გადაჭრას და საწყის ეტაპებზე სწორედ მაღალკვალიფიციურ კადრებზე ამ მოთხოვნის განმტკიცებას უნდა შეუწყოს ხელი ტურიზმის მარეგულირებელმა გარემომ, ხოლო სახელმწიფომ (მათ შორის ადგილობრივმა თვითმმართველობებმა) – მიზნობრივი პროგრამების და დაფინანსების საშუალებით საჭირო კადრების კრიტიკული მასის მოკლე ვადებში ფორმირებას.

კომუნიკაციური ბარიერები – უდავოა, რომ ტურიზმის სფეროში მომსახურე კადრებისათვის აუცილებელია უცხო ენების ცოდნა (თუნდაც თავის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მინიმუმის), რაც მათი მომზადების დროს უნდა იქნას გათვალისწინებული. ასევე, ძალზედ სასარგებლო იქნება თუ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელთანაც შეხება ექნებათ ტურისტებს (მაგ. ეთნო, კულტურული, სოფლის ან გურმან ტურების დროს) ასევე დაეუფლება უცხოურ ენებს და ამის ხელშეწყობა დაჩქარებული და იაფი კურსების საშუალებით შეიძლება ადგილობრივი თვითმმართველობების და სკოლის უცხო ენის პედაგოგების ხელშეწყობით.

ეკოტურიზმის განვითარება ქვეყანაში არ წარმოადგენს ერთი რომელიმე კერძო პირის სარგებლის გაზრდას. სწორი დაგეგმარებისა შემთხვევაში ტურიზმის ეს დარგი ეხმარება დაცულ ტერიტორიებზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას ცხოვრების წესის გაუმჯობესებაში. ამიტომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ დარგის ხელშეწყობა და იზრუნოს მის განვითარებაზე.

დასკვნა და რეკომენდაციები

საქართველო შეიძლება ითქვას რომ, ერთ-ერთია იმ იშვიათი ქვეყნებიდან, რომლებშიც ასეთ მცირე ტერიტორიაზე ამდენი სახის ფლორას და ფაუნას შეხვდებით. ეს აძლევს ჩვენს ქვეყანას დიდ პოტენციალს იმისა, რომ ძალიან კარგად განავითაროს ეკოტურიზმი და საჭიროა ამ პოტენციალის სწორად გამოყენება.

ეკოტურიზმის განვითარებას სახელმწიფოში ყველამ უნდა შეუწყოს ხელი, დაწყებული უბრალო მოქალაქიდან დამთავრებული ნებისმიერი თანამდებობის პირით. განსაკუთრებით საჭიროა ისეთი ორგანოების ჩართულობა ეკოტურიზმის განვითარებისთვის, როგორებიცაა გარემოს დაცვის სამინისტრო და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ქვეყნისა და მისი ხელისუფლების მხრიდან საჭიროა შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რათა უფრო განვითარდეს ეკოტურიზმი. სახელმწიფო სტრატეგიას ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა გააჩნია. ამით შეიძლება სახელმწიფოსთვის დიდი სარგებლის მოტანა, რადგან ნებისმიერი მცირე ბიზნესიც კი ქვეყნისთვის შემოსავლის მომტანია. განსაკუთრებით ეკოტურიზმი შეიძლება გახდეს ტურიზმის ის დარგი, რომელიც დიდი შემოსავლის მომტანი შეიძლება გახდეს.

დაცული ტერიტორიები ეკოტურიზმის მამოძრავებელი ძალაა და მათ განვითარებას ეკოტურისტების რიცხვის ზრდა მოჰყვება. საქართველოში ძალიან ბევრი დაცული ტერიტორიაა და შესაძლებელია ამ რიცხვის კიდევ უფრო გაზრდა. ჩვენს ქვეყანაში დაცულ ტერიტორიებს დიდი ისტორია და მნიშვნელობა გააჩნია. ჩვენ შეგვიძლია არსებული დაცული ტერიტორიების სწორად განვითარება და მართვა, რაც ნათლად ჩანს კოლხეთის ეროვნული პარკის მაგალითზე. ეს პარკი ერთ-ერთი ყველაზე კარგად ორგანიზებული პარკია დღეს საქართველოში და საჭიროა სხვა პარკების მხრიდან ამ მაგალითის გადაღება, რაც მათ უკეთ განვითარებას და მათ ტერიტორიაზე უფრო მეტი ტურისტის მისვლას შეუწყობს ხელს.

ეკოტურიზმის განვითარებას აფერხებს რიგი პრობლემები. ერთ-ერთი მათგანია ინფრასტრუქტურის გაუმართაობა. ინფრასტრუქტურული პრობლემები ძალიან დიდ ზიანს აყენებს ეკოტურიზმს და ზოგადად ტურიზმსაც. ეს პრობლემები ძირითადად ვლინდება გზების,

კომუნიკაციების და საინფორმაციო ბანერების ნაკლებობაში. ასევე დიდ პრობლემას წარმოადგენს განთავსების საშუალებების ნაკლებობა. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა რეგიონებში. დიდი სამუშაობის და ღონისძიებების ჩატარებაა საჭირო ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად. ამ პრობლემების არარსებობა დიდად შეუწყობს ხელს ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას.

ინფრასტურუქტურის თვალსაზრისით კვლავ მძიმე ვითარება რჩება გზების მხრივ. ტურისტული ბაზარი უკვე მიმართულია უფროდაუფრო მეტის შემეცნებასა და ნახვაზე, ისინი დაინტერესებულნი არიან ავთენტური, ხელუხლებელი გარემოთი, სადაც მისვლა რათქმაუნდა შესაძლებელი უნდა იყოს.

ეკოტურიზმის განვითარება კი ეკოლოგიის ხელსეწყობის გარეშე შეუძლებელია. აუცილებელია ყველამ კარგად გაიაზროს ბუნებასთან სათანადო მოპყრობის წესები. სახელწიფომ კარგად უნდა გათვალოს თუნდაც ჰესების მშენებლობის დადებითი და უარყოფითი მხარეები, მოსახლეობამ კი უნდა იზრუნოს რაც შეიძლება მინიმუმდე დაიყვანონ მათი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სალექციო კურსი - ეკოტურიზმი;
2. ტურიზმის ეკონომიკა - მ. მარგველაშვილი, თბილისი 2012.
3. სალექციო კურსი - ტურიზმის პოლიტიკა;
4. ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი / ა. ოქროცვარიძე, მ. ვადაჭკორია, ლ.ოქროცვარიძე, თბილისი 2011
5. საქართველოს ტურიზმისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოკლევადიანი და გრძელვადიანი განვითარება/ ლევან კობალაძე, თბილისი 2010
6. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი დაცულ ტერიტორიებში / ი. მაჭარაშვილი, თ. არველაძე
7. მდგრადი ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი / III საერთშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია
8. როგორ შევქმნათ ეკოტურისტული პროდუქტი / ნ. ბახტაძე-ენგლენდერი, ნ. მარჯანიძე, ი.ოქრომელიძე, ნ. რობიტაშვილი
9. Ecotourism in the less Developed World – D. B. Weaver
10. „ბუნების ყველა ფერი 2013“ დაცული ტერიტორიების სააგენტო, საქართველოს გარემოს დაცვის სააგენტო 2013.
11. დაცული ტერიტორიების სააგენტოს ანგარიში 2011-2019
12. ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და სტრატეგიული მიზნები / საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
13. შემომყვან ტურ-ოპერატორთა ასოციაცია www.gitoa.ge
14. გარემოს ეროვნული სააგენტო - http://moe.gov.ge/files/licenzia/bsap_ge.pdf
15. დაცული ტერიტორიების სააგენტო- http://apa.gov.ge
16. http://ekofact.com
17. http://tourism-georgia.blogspot.com/
18. http://www.financial.ge
19. http://nplg.gov.ge

20. https://www.ecotourism.ge/viewpost/55

21. https://mtisambebi.ge/news/people/item/414-sheiqmna-turistuli-marshrutebis-pirveli-eleqtronuli-ruka

22. https://mtisambebi.ge/news/people/item/913

23. https://mtisambebi.ge/news/people/item/1022-sikvdilis-gza

24. www.gnta.ge